



ცოდნა და ღირებულებითი განათლება შესავალი

ეკატერინე შავერდაშვილი და თამარ მოსიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2018



With the support of the
Erasmus+ Programme
of the European Union

კურიკულუმის რეფორმა სამოქალაქო განათლებისა და დემოკრატიის პრინციპების
ხელშეწყობისათვის მასწავლებელთა მომზადების პროგრამებში ისრაელსა და
საქართველოში

Curricularer Reform For Democratic and Civic Education in Teacher-Training Programs in
Israel and in Georgia (CURE)

ცოდნა და ღირებულებითი განათლება შესავალი

ეკატერინე შავერდაშვილი და თამარ მოსიაშვილი

თბილისი 2018



With the support of the
Erasmus+ Programme
of the European Union

მასალა შეიქმნა ერაზმუს+ პროექტის „კურიკულუმის რეფორმა სამოქალაქო განათლებისა და დემოკრატიის პრინციპების ხელშეწყობისათვის მასწავლებელთა მომზადების პროგრამებში ისრაელსა და საქართველოში“.

რიდერის გამოცემაზე ევრო კომისიის მხარდაჭერა არ ნიშნავს მისი შინაარსის მხარდაჭერასაც. იგი ასახავს მხოლოდ ავტორთა მოსაზრებას და ევროკომისია არ შეიძლება პასუხისმგებელი იყოს რიდერში გამოყენებული ნებისმიერი ინფორმაციისათვის.

პროექტის ნომერი: 573322-EPP-1-2016-IL-EPPKA2-CBHE-JP, ფარგლებში

პროექტის ხელმძღვანელი: **რონდა სოფერი**, გორდონის აკადემიური კოლეჯი, ისრაელი.

პროექტის კოორდინატორი საქართველოდან: **შორენა მაღლაკელიძე**, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო.

რედაქტორები: ეკატერინე ქუთათელაძე
გვანცა ბურდული

The Course was developed in the framework of ERASMUS+ project „Curricular Reform For Democratic Principles and Civic Education in Teacher-Training Programs in Israel and in Georgia(CURE)”

The European Commission's support for the production of this publication does not constitute an endorsement of the contents, which reflect the views only of the authors, and the Commission cannot be held responsible for any use which may be made of the information contained therein.

Project number: 573322-EPP-1-2016-IL-EPPKA2-CBHE-JP

Project Coordinator: Rhonda Sofer, Gordon Academic Colledge of Education, Israel

Project Local Coordinator from Georgian side: Shorena Maglakelidze, Professor, School of Arts and Sciences, Ilia State University, Tbilisi, Georgia

Editors: Ekaterine Kutateladze,

Gvantsa Burduli

სარჩევი:

წინასიტყვაობა	6-8
შესავალი	
VaKE: ცოდნა და ღირებულებითი განათლება	8-9
1 კონსტრუქტივისტური გაკვეთილი	9
1.1 ტრადიციული გაკვეთილი vs კონსტრუქტივისტური გაკვეთილი	9-12
1.2 კონსტრუქტივისტური გაკვეთილის მახასიათებლები	12-13
1.3 ცოდნა	13
1.3.1 ცოდნა ბლუმის მიხედვით	14-15
1.3.2 ცოდნა და VaKE	15-16
1.4 ღირებულებითი განათლება და კონსტრუქტივიზმი	16
1.4.1 ღირებულებები	16-19
1.4.1.1 კოლბერგი და ღირებულებების აღქმის განვითარება	19-22
1.4.1.2 ღირებულებითი განათლება	22-23
1.5 VaKE: ღირებულებებისა და ცოდნის კომბინირება	23-25
1.6 მასწავლებლისა და მოსწავლის პასუხისმგებლობა VaKE-ში	25-26
1.7 პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა, შემსწავლელის ავტონომია და VaKE	
1.7.1 პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა	
1.7.2 შემსწავლელის ავტონომია	
2 VaKE-მეთოდის მიზნები და მისი გამოყენება	
2.1 VaKE-ის გაკვეთილის პროცესი (მოკლე გზამკვლევი)	
3 დილემებით მუშაობა გაკვეთილზე	
3.1 პრაქტიკული მითითებები I: VaKE-გაკვეთილის პროცესი (დეტალური აღწერა)	
3.2 პრაქტიკა II: VaKE - გაკვეთილის დაგეგმვა	
3.2.1 მომზადება	
3.2.2 წინაპირობები	
3.3 ღირებულებითი კონფლიქტი და წინააღმდეგობრივი ისტორიები	
3.4 დიფერენცირებული სწავლება და VaKE+	
4 პრაქტიკაზე ორიენტირებული მინი-კვლევა VaKE-ით მუშაობისას	
დანართები	
დანართი 1: დაკვირვების ფურცელი/ანკეტა	
დანართი 2: მოსწავლის კითხვარი	
დანართი 3: პრეზენტაციის ნიმუში	
დანართი 4: ინდივიდუალური ანგარიშის ფორმა	
დილემის მაგალითები	
ტერმინების განმარტებები/მინილექსიკონი	
გამოყენებული ლიტერატურა	

Table of content

Introduction

VaKE: Value and Knowledge Education

1 Constructivist lesson

1.1 Constructivist lessons vs traditional lesson

1.2 The characteristics of constructivist lesson

1.3 Knowledge

1.3.1 VaKe and Knowledge by Bloom

1.3.2 Knowledge and VaKE

1.4 Value education

1.4.1 values

1.4.1.1 *Kohlberg's Stages of Moral Development.*

1.4.1.2 Value education

1.5 VaKE: Combination of values and knowledge acquisition

1.6 Value education and responsibilities of teachers and learners

1.7 VaKE, Problem Based Learning and Learners autonomy

1.7.1 Problem Based Learning

1.7.2 Learners autonomy

2. The goals and use of VaKE method

2.1 VaKE Lesson Process (Brief Guide)

3 Dilemma introduction in the lesson

3.1 Practical Guidelines I: VaKE-Lesson Process (Detailed Description)

3.2 Practice II: VaKE - Lesson Planning

3.2.1 Preparation

3.2.2 Prerequisites

3.3 Value conflict and contradictory stories

3.4 Differential teaching and VaKe +

4. Practice Exploration Project (PEP) in VaKE lesson

Annexes

Annex 1: Observation template

Annex 2: Student questionnaire

Appendix 3: Presentation sample

Annex 4: An individual report form

Examples of dilemma

Glossary

References

წინასიტყვაობა

წიგნში წარმოდგენილია სწავლა-სწავლების ერთ-ერთი თანამედროვე მეთოდი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელს ხდის ცოდნის შეძენასთან ერთად მოსწავლეებში ღირებულებების გამჭოლ კომპეტენციად ჩამოყალიბებას.

მეთოდის სახელწოდებაა VaKE¹ (Values and Knowledge Education), რაც ღირებულებებისა და ცოდნის შეძენას ნიშნავს.

VaKE-ის კონცეფცია ეფუძნება კონსტრუქტივისტური სწავლების პრინციპებს და მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, საგნის ცოდნის მიღებასთან ერთად განივითარონ ეთიკური ფასეულობები და ღირებულებები.

VaKE თავდაპირველად შეიქმნა სასკოლო საფეხურისათვის, თუმცა მისი გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა საგანმანათლებლო ინსტიტუციის გარკვეულ დისციპლინებში (მაგ. უცხოური ენის შესწავლისას და სხვ.).

VaKE გამოიყენება

- ერთი რომელიმე კონკრეტული საგნის და/ან
- ინტეგრირებული სწავლებისას.

წარმოდგენილი მასალა ქართულ ენაზე მომზადებულია VaKE-მოდელის ავტორების მიერ ბოლო ათწლეულში შედგენილ სასწავლო თუ კვლევით მასალებზე დაყრდნობით. მასალაზე მუშაობისას გამოყენებულია, უპირველეს ყოვლისა, წიგნები:

- Alfred Weinberger; Jean-Luc Patry; Sieglinde Weyringer: Das Unterrichtsmodell VaKE (Values and Knowledge Education): *Ein Handbuch für Lehrer*. Verlag: Studienverlag Gmbh, 2008;
- Alfred Weinberger: *Kombination von Werterziehung und Wissenserwerb*. Evaluation des konstruktivistischen Unterrichtsmodells VaKE (Values and Knowledge Education) in der Sekundarstufe 1. Didaktik in Forschung und Praxis, Band 33. Verlag Dr. Kovac, Hamburg 2006.

მუშაობისას გაანალიზდა მოდელის ავტორების მიერ VaKE მოდელთან დაკავშირებული ჩატარებული კვლევის შედეგები და მათ მიერ დაბეჭდილი სტატიები თუ მონოგრაფიები, რომლებიც გამოყენებული ლიტერატურის სახით ერთვის მასალას.

მასალაზე მუშაობა და მისი პილოტირება მიმდინარეობდა 2017-2018 სასწავლო წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე. პილოტირების პროცესში მონაწილეობდნენ საბაკალავრო საფეხურის, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისა და სადოქტორო საფეხურის სტუდენტები, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდით.

¹ იმ ქვეყნებში, რომლებშიც ეს მეთოდი დანერგილია, ინგლისურ ენაზე იხმარება მისი სახელწოდება. ქართულ ენაშიც ასევე დავტოვეთ (ეკატერინე შავერდაშვილი და თამარ მოსიაშვილი)

ვფიქრობთ, მასალა გარკვეულ დახმარებას გაუწევს როგორც გამოცდილ, ასევე დაძწეებ პედაგოგებს ღირებულებითი განათლების მიმართულებით.

ეკატერინე შავერდაშვილი და თამარ მოსიაშვილი

Preface

The book presents the modern methods of teaching and learning, which allows to develop transversal competence related to values along with knowledge acquisition.

VaKE² (Values and Knowledge Education) is a method which combines values education and knowledge construction. The concept of *VaKE* is based on the principles of constructivism and allows learners to develop ethics and values in conjunction with subject content acquisition.

VaKE was originally elaborated for school level, but it can be used in a number of disciplines at different educational institutions (eg. Foreign language teaching / learning etc.).

VaKE is used in the teaching / learning process of:

- One specific subject (except arts, sports and similar subjects) and / or
- Integrated learning.

The presented material in Georgian is prepared based on research and studies conducted by the *VaKE* model authors during last decade, notably:

- Alfred Weinberger; Jean-Luc Patry; Sieglinde Weyringer: Das Unterrichtsmodell VaKE (Values and Knowledge Education); Ein Handbuch für Lehrer. Verlag: Studienverlag GmbH, 2008;
- Alfred Weinberger: Kombination von Werterziehung und Wissenserwerb. Evaluation des konstruktivistischen Unterrichtsmodells VaKE (Values and Knowledge Education) in der Sekundarstufe 1. Didaktik in Forschung und Praxis, Band 33. Verlag Dr. Kovac, Hamburg 2006.

While working on the materials, the results of the research conducted by *VaKE* model authors, as well as the articles and monographs published by them were analyzed. Readers can find this literature in the bibliography.

We would like to thank the project CURE within which the material was prepared.

We would like to express our gratitude to BA and PhD students, students of Teachers Preparation Certification Program at School of Arts and Sciences of Ilia State University who participated in the piloting process of the material during 2017-2018.

We believe that the material will provide valuable assistance both to experienced and beginner teachers in terms of values education.

Ekaterine Shaverdashvili and Tamar Mosiashvili

² In the countries where this method is implemented, its English name is remained in use. This led our decision to use the same name in Georgian.

შესავალი

VaKE: ცოდნა და ღირებულებითი განათლება

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს, შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაგანობრივი ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ამასთან ერთად, განათლების სისტემა ... მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში. (ესგ 2004. 1)

არსებობს მოსაზრება, რომ ღირებულებითი განათლება უმეტესად რელიგიის გაკვეთილების პრიორიტეტია და მხოლოდ რელიგიაზე საუბრის დროსაა შესაძლებელი ისეთი თემების შეპირისპირება, როგორიცაა, მაგალითად, შემწყნარებლობა და სამაგიეროს გადახდა; ბიოლოგიის, გეოგრაფიის, ფიზიკის ან მათემატიკის გაკვეთილებზე კი კონკრეტული ცოდნის მიწოდებას ენიჭება უპირატესობა (Weinberger და სხვები, 2008, 9).

VaKE (Values and Knowledge Education, ღირებულებებისა და ცოდნის შეძენა) არის სწავლა-სწავლების მეთოდი, რომელიც ცოდნის შეძენასთან ერთად მოსწავლეებს ღირებულებებს უვითარებს, სასწავლო პროცესს საინტერესოს ხდის და სწავლა-სწავლების მიზნების მიღწევას აიოლებს. VaKE-ის დახმარებით მასწავლებელს შეუძლია არა მარტო რელიგიის გაკვეთილზე, არამედ ნებისმიერ საგანში ცოდნის მიწოდებასთან ერთად მოსწავლეებს ღირებულებების ჩამოყალიბებაში დაეხმაროს. ეს კი მოსწავლეებს ღირებულებების ჩამოყალიბებასთან ერთად საგნის კონკრეტული ცოდნის შეძენას უიოლებს.

ამ მიდგომით მოსწავლეებს შეუძლიათ:

- შეიძინონ გაცილებით მეტი ცოდნა საგანში, ვიდრე ისინი ამას ტრადიციულ გაკვეთილებზე ახერხებენ;
- სათანადო წარმოდგენა შეიქმნან და განივითარონ სხვადასხვა ღირებულება და, ამასთან,
- ითანამშრომლონ ერთმანეთთან ახალი ცოდნის შეძენის პროცესში.

VaKE კონსტრუქტივისტურ პრინციპებზე აგებული სასწავლო მეთოდია და მისი გამოყენება შესაძლებელია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სამივე საფეხურზე. ის, შესაძლოა, მოერგოს განსხვავებული მახასიათებლების (ჯგუფის ჰეტეროგენულობა; განსაკუთრებული ინტერესებისა და აკადემიური მიღწევების მქონე მოსწავლეების ჩართულობა და სხვა) მქონე მოსწავლეებს განსხვავებულ გარემოსა და სხვადასხვა სიდიდის კლასებში. თუ ტრადიციულ გაკვეთილზე მოსწავლე იძენს მხოლოდ ცოდნას და მას „ასწავლიან“ ღირებულებებს, VaKE-ის გამოყენებისას მოსწავლე დამოუკიდებლად ცდილობს ცოდნის შეძენას (კონსტრუქტივისტური მიდგომა) და, ამასთანავე, ივითარებს მნიშვნელოვან ღირებულებებს.

VaKE არის სწავლების მეთოდი, რომლის კონცეფცია ეფუძნება კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპებს და მოსწავლეებს აძლევს
--

1 კონსტრუქტივისტური გაკვეთილი

1.1 ტრადიციული გაკვეთილი vs კონსტრუქტივისტური გაკვეთილი

ტრადიციულ გაკვეთილებზე მასწავლებელი მოსწავლეებს „ასწავლის“ ღირებულებებს და/ან ცდილობს, ფასეულობები განუვითაროს მათ. ეს არის ტრადიციული, ე.წ. დომინანტური სწავლება, რომლის თეორიული საფუძვლები ბიჰევიორიზმისა და კოგნიტივიზმის სახელითაა ცნობილი. დარგის სპეციალისტები ადგენენ სწავლა-სწავლების შინაარსს, ქმნიან სასწავლო გეგმებსა და სახელმძღვანელოებს, მასწავლებელი კი მოსწავლეებს გადასცემს სახელმძღვანელოებში არსებულ შინაარსს. სწავლების ეს სტილი მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლების სახელითაა ცნობილი. ამ შემთხვევაში მასწავლებელი აქტიურია; წარადგენს, განმარტავს და ხსნის ახალ მასალას; პასუხისმგებელია სწავლებისა და სწავლის ყველა დეტალზე, ხოლო მოსწავლეები პასიურები არიან. სასწავლო პროცესსა და მოსწავლეებს მასწავლებელი მართავს. ასეთი გაკვეთილები ნათლად სტრუქტურირებულია და იყოფა ცოდნის გადაცემის, სავარჯიშოებისა და გამეორების ფაზებად (მასწავლებელ-მოსწავლეს შორის კითხვა-პასუხი). ასეთი გაკვეთილის ტიპური მაგალითია ფრონტალური გაკვეთილი.

ამ ტიპის გაკვეთილის დადებითი მხარეებია:

1. დროის ეკონომიურობა

შესაძლებელია ბევრი მასალის საკმაოდ მოკლე დროში მიწოდება. მასწავლებლები თვლიან, რომ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დიდი მოცულობის მასალის დროის შეზღუდულ მონაკვეთში მისაწოდებლად არ გამოდგება ბევრი მეთოდის გამოყენება;

2. სწავლა-სწავლების პროცესის კონტროლი

მასწავლებლები თვლიან, რომ ამ მიდგომის დროს სწავლა-სწავლების პროცესის კონტროლი მასწავლებელს უკეთ შეუძლია. მათ მიაჩნიათ, რომ დისციპლინის შენარჩუნება ასე გაცილებით იოლია და შედეგიც - უკეთესი.

ამ ტიპის გაკვეთილის უარყოფითი მხარეებია:

1. მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროების (სხვადასხვა აკადემიური მოსწრება, განვითარების საფეხურები, სწავლისთვის საჭირო დრო) ნაკლებობა.

ცოდნის გადაცემისას მასწავლებელი ყოველთვის ვერ პასუხობს მოსწავლის ინდივიდუალურ მოთხოვნებს (მაგ., მეტი/ნაკლები წინარე ცოდნა, მოკლე/სწრაფი გააზრების უნარი). ტრადიციული გაკვეთილის ეფექტიანობის წინაპირობა ჰომოგენური კლასებია, რომლის არსებობაც პრაქტიკულად შეუძლებელია - ყველა მოსწავლეს აქვს სწავლის განსხვავებული უნარი.

2. ნასწავლის პრაქტიკაში გამოყენების მწირი შესაძლებლობა

სწავლება ნაკლებად ითვალისწინებს ცოდნის ახალ სიტუაციებში გამოყენებას. საკითხები ისწავლება თეორიულად; უპირატესობა ენიჭება კანონებისა და მხატვრული ნაწარმოებების დაზოგვისას. „ისწავლება“, ასევე, ღირებულებები. სკოლაში და სკოლის გარეთ ღირებულებების (მაგ., სიკეთე, ტოლერანტობა, დახმარების უნარი) „ისწავლებას“ რომ იშვიათად აქვს დადებითი შედეგი, ეს მრავალჯერაა დადასტურებული (შდრ. Weinberger და სხვები, 2006; Weinberger და სხვები, 2008).

3. ინდოქტრინაციის საფრთხე

მოსწავლეებს მხოლოდ ერთ მოსაზრებასთან უწევთ შეხება და ეს მოსაზრება მასწავლებლის მიერ მიწოდებულია. ისინი სწრაფად სწავლობენ იმის თქმას, რისიც სჯერათ, ანუ რასაც მასწავლებელი მათგან ელის. მათ არ იციან, რომ არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებული სხვა მოსაზრებებიც. ინდოქტრინაცია ეწინააღმდეგება აღზრდის ყველაზე მნიშვნელოვან მიზანს - კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქის ჩამოყალიბებას.

კონსტრუქტივისტური გაკვეთილი, ტრადიციული სწავლებისგან განსხვავებით, არ გულისხმობს ცოდნის ან ღირებულებების მოსწავლისთვის სალექციო გზით სწავლებას. კონსტრუქტივისტები მიიჩნევენ, რომ წარმატებული სწავლა სასწავლო მასალის პასიური მიღება კი არ არის, არამედ ის ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესია. ცოდნის კონსტრუირების პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის გამოცდილებას, ცოდნასა და ემოციებს. არსებითია სასწავლო გარემო. (შდრ. Weinberger და სხვ., 2008, 18) კონსტრუქტივისტული მიდგომა, ამდენად, სწავლა-სწავლების მოსწავლეზე ორიენტირებული თეორიაა.

კონსტრუქტივისტური სწავლებისას

❖ მოსწავლეები

- აქტიურად ერთვებიან სასწავლო პროცესში და ხდება ნასწავლი საკითხის რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირება;
- სწავლობენ დამოუკიდებლად და ასევე დამოუკიდებლად აფასებენ მიღწეულ წარმატებას;
- თანამშრომლობენ ერთმანეთთან და საზოგადოებასთან;
- თავად მართავენ ცოდნის აგების პროცესს (ანუ მათ არაფერია მართავთ) და, შესაბამისად, სწავლის პროცესში აქტიურად არიან ჩართულები.

❖ მასწავლებელი

- არის დამხმარე და მოსწავლის აქტიურობას უწყობს ხელს;
- უზრუნველყოფს მოსწავლის დამოუკიდებელ სწავლას გაკვეთილზე, ინდივიდუალურად ეხმარება მოსწავლეებს, უსვამს კითხვებს და ასწავლის კითხვების დასმას;
- ქმნის გარემოს, რომელშიც მოსწავლეს თვითშეფასების შესაძლებლობა ეძლევა.

კონსტრუქტივისტური გაკვეთილის დადებითი მხარეებია:

1. *მოსწავლეთა დიფერენცირება*: მოსწავლეებს შეუძლიათ ისწავლონ საკუთარი სწავლის უნარიდან გამომდინარე;
2. *სასწავლო მასალის მოსწავლეზე მორგება*: მოსწავლეები აქტიურად და დამოუკიდებლად განიხილავენ მათთვის საინტერესო თემას; ისინი იაზრებენ ყველაფერს და შეუძლიათ ნასწავლის სხვა სფეროებში გამოყენებაც;
3. *კრიტიკული აზროვნების განვითარება*: სწავლა განიხილება, როგორც პრობლემის სხვადასხვა პერსპექტივიდან განხილვის პროცესი.

კონსტრუქტივისტური გაკვეთილის უარყოფითი მხარეებია:

1. *გაკვეთილის გეგმის მომზადება - ინტენსიური, რთული და შრომატევადი პროცესი*. გაკვეთილის გეგმის მომზადებისას გათვალისწინებულია ყოფითი პრობლემები და ცოდნის ტრანსფერის აუცილებლობა, რაც მასწავლებლისგან უფრო მეტ შრომას მოითხოვს, ვიდრე ტრადიციული გაკვეთილი. მაგალითად, დამატებით საჭიროა ისეთი მასალების მომზადება, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა ცოდნის ინდივიდუალურ დონეს და ა.შ.;
2. *გაკვეთილისათვის მეტი დროის დათმობა*. ტრადიციულისგან განსხვავებით, კონსტრუქტივისტურ გაკვეთილზე მოსწავლეებს პრობლემების გადაჭრა თავად უხდებათ. ისინი ხშირად უშვებენ შეცდომებს და/ან მცირე დროში ვერ იღებენ შესაბამის შედეგს. დამოუკიდებლად, შეცდომების გათვალისწინებით სწავლა იმაზე მეტ ხანს გრძელდება, ვიდრე ეს მასწავლებლის მიერ მართულ გაკვეთილებზე ხდება. ტრადიციული გაკვეთილებისგან განსხვავებით, კონსტრუქტივისტურ გაკვეთილზე მასწავლებელი მოსწავლეებს არ აწვდის მზა პასუხებს და ამ პასუხებამდე მისვლის გზებს. მოსწავლემ თავად უნდა მიაგნოს სწორ პასუხს.

მასწავლებელი თავად იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე:

- როგორ გაკვეთილს ჩაატარებს,
- რა დროს დაუთმობს საკითხის შესწავლას,
- როგორ დაძლეოს კონსტრუქტივისტური სწავლების პრაქტიკაში დანერგვის სირთულეებს და ა.შ.

1.2 კონსტრუქტივისტური გაკვეთილის მახასიათებლები

❖ *სწავლა პრობლემების გადაჭრის გზით*

პრობლემა დავალებისგან იმით განსხვავდება, რომ პრობლემის გადაჭრის აშკარა და ცალსახა გზები არ არსებობს. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ რასაც

ერთი ადამიანი პრობლემად მიიჩნევს, მეორისთვის ის რუტინულ მდგომარეობას წარმოადგენს და პრობლემა არ არის. მნიშვნელოვანია, გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებელმა გაითვალისწინოს, რომ საკითხი მოსწავლეებისთვის პრობლემური იყოს. იმ შემთხვევაში კი, თუ ისინი პრობლემის იდენტიფიცირებას იოლად ვერ შეძლებენ, დაეხმაროს მათ პრობლემის იდენტიფიცირებაში.

❖ *შეცდომების გათვალისწინებით სწავლა*

პრობლემის გადაჭრისას სწავლება და სწავლა მიმდინარეობს „ცდისა და შეცდომის“ საფუძველზე. მოსწავლეები ეძებენ საკუთარ შეცდომებს და დამოუკიდებლად ამოწმებენ პასუხებს. თუ პირველი ცდისას ვერ იღებენ სასურველ შედეგს, ცდილობენ სწორი პასუხის პოვნას და ა.შ. შეცდომები სტიმულის ფუნქციას ასრულებს. მოსწავლეები ცდილობენ, სწორ პასუხამდე მივიდნენ და იმდენჯერ გაიმეორონ ეს პროცესი, სანამ სწორ პასუხს არ მიიღებენ.

თუ საკლასო გარემოში შეცდომები დაშვებულია (რა თქმა უნდა, მასწავლებლის უკუკავშირის გათვალისწინებით!), ეს კონსტრუქტივისტური გაკვეთილის კარგი წინაპირობაა.

სწავლის პროცესში დაშვებული „შეცდომები“ შეფასებისას გათვალისწინებული არ უნდა იყოს.

❖ *თანამშრომლობითი სწავლება*

სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება ჯგუფში მუშაობა. ჯგუფებში მოსწავლეები თანამშრომლობენ და პრობლემას სხვადასხვა პერსპექტივიდან აფასებენ. მოსწავლეები პრობლემის სხვადასხვა პერსპექტივას ეცნობიან; საპირისპირო მოსაზრებებს უზიარებენ ერთმანეთს; ცდილობენ სწორ პასუხამდე მისვლას.

❖ *დამოუკიდებლად სწავლა და სწავლის ავტონომია*

პრობლემას ერთი კონკრეტული პასუხი არ აქვს, მოსწავლე ცდილობს, თავისი ახსნა მოძებნოს და პრობლემა საკუთარი მოსაზრების საფუძველზე გადაჭრას. ყოველი მოსწავლე ამ დროს ეყრდნობა საკუთარ ცოდნას, გამოცდილებას, სტრატეგიასა და ტექნიკას. ის პრობლემის გადასაჭრელად ყველა ხერხის გამოყენებას ცდილობს.

❖ *კვლევაზე დაფუძნებული სწავლა*

პრობლემების გადაჭრა შეიძლება ჩავთვალოთ კვლევაზე დაფუძნებულ სწავლად. პრობლემის შესწავლისას მოსწავლეები ბევრ სიახლეს აგნებენ და მოულოდნელ პასუხებს იღებენ.

❖ *რეალური/ყოფითი პრობლემები*

მოსწავლეები აბსტრაქტულ თემებს კი არ შეისწავლიან, არამედ სწავლობენ იმ პრობლემებს, რომლებიც მათ ყოველდღიურობას უკავშირდება. ასე აცნობიერებენ მოსწავლეები საკუთარი ცხოვრების არსს.

❖ *ცოდნის კონსტრუირების ხელშეწყობა*

მასწავლებელი მოსწავლეებს სწავლაში ეხმარება იმით, რომ

- ა) აწვდის დიფერენცირებულ სასწავლო მასალას;

ბ) აძლევს მითითებებს რთულ და მათთვის ნაკლებ გასაგებ საკითხზე;

გ) აძლევს თვითშეფასების საშუალებას.

მასწავლებელი მუდმივად უსვამს მოსწავლეებს კითხვებს, რათა მათ გაიაზრონ საკუთარი მიღწევები.

1.3 ცოდნა

1.3.1 ცოდნა ბლუმის მიხედვით

ბლუმი (Bloom 1972) განასხვავებს აზროვნების ექვს დონეს (ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება). ეს დონეები საფეხურებად არის განლაგებული. ცოდნა, გაგება და გამოყენება აზროვნების დაბალ დონეებად არის მიჩნეული, ხოლო ანალიზი, სინთეზი და შეფასება აზროვნების მაღალ დონედ ითვლება.



ილუსტრაცია 1. ბლუმის აზროვნების ექვსდონიანი მოდელი

ცოდნა: რაღაცის *გახსენების* შესაძლებლობა (მაგ. ჩერნობილის შესახებ ატომური ელექტროსადგურის აფეთქება);

გაგება: რაღაცის *დამუშავების* შესაძლებლობა (საკუთარი სიტყვებით ამბის გადმოცემა) (მაგ. ენერგიის მოპოვების ალტერნატიული ფორმების დასახელება);

გამოყენება: ცნებების, წესების, თეორიების კონკრეტულ სიტუაციებში *გამოყენების* შესაძლებლობა (მაგ. ენერგიის შესაძლებელი ფორმების საკუთარ სამშობლოში გამოიმუშავება);

ანალიზი: ინფორმაციის ელემენტების/ნაწილების შედარება-შეპირისპირების შესაძლებლობა (მაგ. ატომური ენერგიის შესახებ გამოთქმული მოსაზრებებიდან გამომდინარე ფაქტობრივი დასკვნების);

სინთეზი: ელემენტებისგან/ნაწილებისგან ახალი მთელის შედგენის შესაძლებლობა (მაგ. ატომური ელსადგურის მშენებლობის შესახებ განსხვავებული ფაქტების საფუძველზე საკუთარი არგუმენტების შემუშავება).

შეფასება: გადაწყვეტილებების მიღების უნარი (მაგ. ფაქტებზე დაყრდნობით ატომური ენერგიის გამომუშავების საწინააღმდეგო და მომხრე არგუმენტების დაცვა და საკუთარი პოზიციის წარდგენა).

ტრადიციული გაკვეთილი ეყრდნობა ბლუმის ქვედა სამ დონეს (ცოდნა, გაგება, გამოყენება), რაც სასწავლო პროცესის მიზნად ფაქტებისა და ცოდნის ათვისებას, გაგებას და გამოყენებას ითვალისწინებს (მაგალითად, როდესაც მასწავლებელი მოსწავლეს უხსნის პითაგორას თეორემას, მოსწავლეს შეუძლია პითაგორას თეორემის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა და მისი გამოყენებით ამოცანების ამოხსნა).

კონსტრუქტივისტურ გაკვეთილზე მოსწავლეებს უვითარდებათ აზროვნების მაღალი დონე (ანალიზი, სინთეზი, შეფასება), ხოლო VaKE-ის გაკვეთილებზე ბლუმის მეექვსე დონე - „შეფასება“ ჭარბობს. ამ დროს გააზრება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ცოდნის დაგროვება.


1.3.2 ცოდნა და VaKE

ცოდნის შეძენის პროცესი VaKE-ის გაკვეთილზე განსხვავდება ცოდნის შეძენის პროცესისგან ტრადიციულ გაკვეთილზე.

VaKE -ის გაკვეთილზე ცოდნის შეძენა შემდეგი ნაბიჯებით მიმდინარეობს:

1. *აქტივობები*: ცოდნის შეძენის წინაპირობაა რომელიმე საკითხთან დაკავშირებული აქტიური მსჯელობა/დებატები.
2. *პრობლემა*: რომელიმე საკითხთან დაპირისპირებისას ადამიანები მუდმივად აწყდებიან ისეთ სიახლეებს, რომლებსაც მანამდე საკუთარი ცოდნით ვერ ხსნიდნენ და უჩნდებათ კითხვები, ანუ აღიარებენ პრობლემას. კითხვები და პრობლემები სწავლის პროცესისთვის ბუნებრივია, განსაკუთრებით, ბავშვების შემთხვევაში, რომელთაც უამრავი კითხვა აქვთ სამყაროსა და საკუთარი ქმედებების შესახებ.
3. *სწავლის ფაზა (ცოდნის შეძენა)*: შესაძლებელია, კითხვებსა და პრობლემებზე პასუხი მოსწავლემ სხვადასხვა გზით მიიღოს (მაგ., მზა პასუხების მიწოდება; დამოუკიდებლად ძიება). კონსტრუქტივისტური გაკვეთილისათვის მნიშვნელოვანია შემსწავლელის ავტონომიურობა და ინფორმაციის დამოუკიდებლად ძიება. მოსწავლეებს ინდივიდუალური კითხვებისა და პრობლემების გადაჭრის დიდი სურვილი აქვთ და ეს პროცესი მათ დამოუკიდებლად უნდა მართონ;

4. *პრობლემის გადაჭრის სანდოობა*: მოსწავლეები ამოწმებენ მათ მიერ პრობლემის გადაჭრის სანდოობას ორი კრიტერიუმით:
 - ა. გამოყენების ხარისხი საკუთარი პერსპექტივიდან: გამოვიყენებ თუ არა მიღებულ შედეგს?
 - ბ. გამოყენების ხარისხი სოციალურ კონტექსტში: მიიღეს თუ არა სხვებმა მსგავსი შედეგი?
5. *გადაწყვეტილება*: თუ პასუხი გამოუსადეგარია, მაშინ სასწავლო პროცესი იწყება ხელახლა. ამდენად, საქმე ეხება სწავლის ისეთ ტიპს, რომლის დროსაც გამოიყენება ცდისა და შეცდომის მეთოდი.



ილუსტრაცია 2: სწავლის პროცესი (Weinberger და სხვები, 2008, 30)

1.4 ღირებულებითი განათლება და კონსტრუქტივიზმი

კონსტრუქტივისტური მიდგომის მიხედვით, ცოდნის შეძენა, აზროვნების განვითარება და ღირებულებების ჩამოყალიბება გარედან კი არ უნდა იმართებოდეს, არამედ ბავშვის მიერ მისსავე შინაგან სამყაროში უნდა აიგოს. ამგვარი კონსტრუქტივიზმი მატერიალურ და სოციალურულ გარემოსთან ინტერაქციით მიმდინარეობს, თუ ორი პროცესის (ასიმილაცია და აკომოდაცია) ერთობლივ მუშაობასთან გვაქვს საქმე.

მოსწავლე „საკუთარი ძალებით“ და მასწავლებლის ხელშეწყობით უნდა ცდილობდეს ღირებულებების ჩამოყალიბებას, რომელიც სწავლა-სწავლების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს.


1.4.1 ღირებულებები

ღირებულებები მორალურად ან ეთიკურად ჩამოყალიბებული კონკრეტული ადამიანის სასურველი მახასიათებლებია, რომელსაც აღიარებს როგორც ინდივიდი, ასევე ჯგუფი ან მთლიანად საზოგადოება.

ღირებულებები გამოხატავენ, ამდენად, ადამიანის შეხედულებებს/წარმოდგენებს, მორალურ თუ ეთიკურ სტანდარტებს, რომლებიც საფუძვლად უდევს მისი ცხოვრების სტილს, და რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, განსაზღვრავენ მის ქცევას სხვადასხვა სიტუაციაში და გავლენას ახდენენ მის გადაწყვეტილებებზე.

მაგალითად, თუ ჩვენთვის ფასეულია მუშაობის ეფექტიანობა, მაშინ პროფესიულ საქმიანობაში განსაკუთრებით მუყაითები და საქმიანები ვართ, ან საკუთარ თავს ვთხოვთ, რომ ასეთები ვიყოთ; თუ ჯანმრთელობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ვიკვებებით ბევრი ხილითა და ბოსტნეულით, ან გვჯერა ამგვარი კვების სარგებლიანობის; თუ ჩვენთვის მნიშვნელოვანია სხვების დახმარება, ვუერთდებით ან გვსურს, შევუერთდეთ იმ სოციალურ ჯგუფებს, რომლებიც სხვებს ეხმარებიან.

შესაძლებელია ისეთი ღირებულებების რანჟირება, როგორებიცაა შრომისმოყვარეობა, ჯანმრთელობა და დახმარება. წესრიგი და ჯანმრთელობა, უპირველეს ყოვლისა, მხოლოდ ერთ ადამიანთან ან მის ცხოვრების წესთან ასოცირდება, ხოლო დახმარება სხვა პირებსაც შეეხება და სხვა ადამიანებისთვისაც სარგებლის მომტანია. Höffe-ს (1984) მიხედვით, ეთიკურ ღირებულებათა იერარქიაში დახმარება უფრო მაღალი ღირებულებაა, ვიდრე შრომისმოყვარეობა და ჯანმრთელობა (შდრ. ილუსტრაცია 3)



ილუსტრაცია 3. ღირებულებათა იერარქია (Weinberger და სხვები, 2008, 24)

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ადამიანები, როგორც წესი, აბსოლუტურ უპირატესობას დაბალ საფეხურზე მდგომ ღირებულებებს (ინსტრუმენტური და პრაგმატული) ანიჭებენ (შდრ. Oser&Althof 2001, გვ. 426). ამდენად, ეფექტიანობა ან ჯანმრთელობა მნიშვნელოვანი ღირებულებებია ჩვენს საზოგადოებაში, თუმცა, მათი შეფასება ყოველთვის მართებული არ არის. მაგალითად, ადამიანებს ვერავინ მოსთხოვს, სალათა მიირთვან ჰამბურგერის ნაცვლად. ეს მათი გადასაწყვეტია.

ინსტრუმენტური და პრაგმატული ღირებულებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მორალურ ღირებულებებს. მაგ., ადამიანი არის შრომისმოყვარე, მაგრამ მისმა ქცევამ შეიძლება სხვა ადამიანს ზიანი მიაყენოს. ამ შემთხვევაში კავშირი მორალურ ღირებულებასთან გაწყვეტილია.

კვლევებმა დაადგინა, რომ არსებობს ყველა საზოგადოებისა და კულტურისთვის მისაღები ე.წ. უნივერსალური ღირებულებები (შდრ. Vgl. Colby&Kohlberg, 1987. S.167). ესენია:

1. სიცოცხლე
 - ა. მისი დაცვა და შენარჩუნება
 - ბ. მისი ხარისხი და ხანგრძლივობა
2. საკუთრება
3. სამართლიანობა
4. ადამიანებს შორის ურთიერთობა
5. სიყვარული
6. ავტორიტეტი
7. კანონი
8. შეთახმება
9. ადამიანის უფლება
10. რელიგია
11. სინდისი
12. სასჯელი

გასათვალისწინებელია, რომ მორალურ ღირებულებებს სხვადასხვა კულტურაში განსხვავებული დატვირთვა აქვს. მაგალითად, კომუნისტურ და ბაზარზე ორიენტირებულ საზოგადოებაში საკუთრების ღირებულება განსხვავებულია.

1.4.1.1 კოლბერგი და ღირებულებების აღქმის განვითარება

ღირებულებების აღქმა ლოურენს კოლბერგის მიხედვით 6 საფეხურად ვითარდება (შდრ. Kolberg 1981, 1984). ყოველ საფეხურს განსაზღვრავს განსხვავებული მოტივი და აღქმა.

მორალური განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ადამიანებს განვითარებული აქვთ მორალური ღირებულებების დიფერენცირებული და განზოგადებული აღქმა. გთავაზობთ კოლბერგის მორალური განვითარების საფეხურებს:

1. დასჯა და ავტორიტეტისადმი მორჩილება
6 წლამდე პატარები ორიენტირებულნი არიან, თავიანთი ქმედები შეაფასონ დასჯისა და მორჩილების კრიტერიუმებით. მათი მოქმედება მაშინაა სწორი, თუ

ისინი არ დაისჯებიან და ავტორიტეტების (მაგ. მოზარდების) წესებს დაემორჩილებიან. მაგალითად,

- არ დავარტყამ, თორემ დამსჯიან;
- არ დავარტყამ, რადგან მშობლებმა მითხრეს, არაფერი გააფუჭო;
- მივცემ ფულს ამ უსახლკაროს, რადგან ჩემს მშობლებს ასე უნდათ;
- არ მივცემ ფულს ამ უსახლკაროს, რადგან ჩემმა მშობლებმა ამიკრძალეს ვინმესთვის ფულის მიცემა.

2. გარიგება

5-დან 10 წლამდე ასაკის ბავშვები ორიენტირებულნი არიან სტრატეგიულ გარიგებაზე. აქ იგულისხმება შემდეგი ტიპის მსჯელობა: „შენც და მეც“, „რასაც შენ იზამ, იმავს ვიზამ მეც“. მაგალითად,

- არ დავარტყამ, რადგან თუ დავარტყი, ისიც დამარტყამს და ის ჩემზე ძლიერია;
- დავარტყამ, რადგან მანაც დამარტყა;
- მივცემ ფულს ამ უსახლკაროს, რადგან მის ადგილას რომ ვიყო, მეც გამიზარდებოდა, თუ ვინმე ფულს მომცემდა;
- არ მივცემ ამ უსახლკაროს ფულს, რადგან მეც არავინ მომცემს, მის ადგილას რომ ვიყო.

3. სოციალური ჯგუფის მოლოდინები

მოზარდობის ასაკში აზროვნება ისე ვითარდება, რომ ის რომელიმე სოციალურ ჯგუფს უკავშირდება:

- არ დავარტყამ, რადგან ამას არ აკეთებენ;
- დავარტყამ, რადგან არ მადარდებს, მათ მოეწონვარ თუ არა;
- მივცემ ფულს ამ უსახლკაროს, რადგან გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანებს უნდა დაეხმარო. ამას ჩემგან ყველა ელოდება;
- არ მივცემ ფულს ამ უსახლკაროს, რადგან ლაჩარს დამიძახებს ყველა.

4. კანონები და წესრიგი

ამ საფეხურზე გამართლებულია ვაჭრობა. გარიგება ორიენტირებულია საზოგადოებასთან ხელშეკრულების დადებაზე. მნიშვნელოვანია, რომ კანონი და წესრიგი იყოს შენარჩუნებული იმისთვის, რომ ერთიანი სისტემა შენარჩუნდეს. მაგალითად:

- ძალადობის მოწინააღმდეგე ვარ, რადგან თუ ყველა იძალადებს, მაშინ საზოგადოებრივი წესრიგი არასდროს დამყარდება;
- ძალადობის მომხრე ვარ, რადგან ეს აუცილებელია საზოგადოებრივი წესრიგის აღსადგენად (მაგ. პოლიციის ძალების გამოყენება აყალმაყალის ამტეხი დემონსტრანტების საპირისპიროდ);
- გავცემ მოწყალებას ამ უსახლკაროზე, რადგან, ბოლოსდაბოლოს, ის საზოგადოების წევრია და ყველა პასუხისმგებელია საზოგადოების წინაშე;
- არ გავცემ მოწყალებას ამ უსახლკაროზე, რადგან ადამიანებს ამით უსაქმურეობისკენ ვუბიძგებ. თუ ყველა ასე მოიქცევა, ჩვენი საზოგადოების ფუნქციონირება შეუძლებელი გახდება.

5. ფუნდამენტური (ძირითადი) უფლებები

ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს წარმოადგენს სიცოცხლე ან თავისუფლება. ადამიანები იღებენ ერთნაირ თანამიმდევრულ გადაწყვეტილებებს ამ საფეხურზე. მაგალითად:

- ძალადობის მოწინააღმდეგე ვარ, რადგან ეს ადამიანებს ვნებს. ზოგადად, ძალადობა ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებებს და არ არის კონფლიქტების მოგვარების უნივერსალური საშუალება;
- მხარს ვუჭერ უსახლკარო ადამიანებს, რადგან ყველას აქვს უფლებები (მაგალითად, ყველაზე მნიშვნელოვანი საჭიროებების დაკმაყოფილების უფლება) და თუ ამ უფლებების დაცვაში ვინმეს წვლილის შეტანა შეუძლია, მაშინ ყველამ უნდა გააკეთოს ეს.

6. უნივერსალური მორალური პრინციპები







ინდივიდუალური მორალური პრინციპები ემსახურება შინაგად უნივერსალურ სტანდარტებს. იმ შემთხვევაში დაემორჩილებიან ისინი წესებსა და კანონებს, თუ ეს წესები და კანონები მათ პრინციპებს ეთანხმება. ამ მოსაზრებიდან გამომდინარეობს სოციალური წესრიგიც. მაგალითად:

- ძალადობის წინააღმდეგი ვარ, რადგან ის ზიანს აყენებს სხვა ადამიანებს და არ არის კონფლიქტების მოგვარების უნივერსალური საშუალება. ადამიანის ღირსების პატივისცემა უნივერსალური პრინციპია, რომელიც უნდა დაიცვა ნებისმიერ სიტუაციაში და პატივი მიაგო საზოგადოების თითოეულ წევრს;
- მხარს ვუჭერ უსახლკარო ადამიანებს, რადგან მათი არსებობა არ შეესაბამება ადამიანურ ღირსებებს. ადამიანი საბოლოო მიზანს თავის თავში ატარებს და რადაც არ უნდა დაუჯდეს, მიზანს აღწევს. ეს უნივერსალური პრინციპია და ეს უნდა იყოს ორიენტირი.

ყოველი ადამიანი ვერ აღწევს ღირებულებების აღქმის მაღალ საფეხურს. მოზარდების უმეტესობა მე-3 და მე-4 საფეხურზე იმყოფება (შდრ. Colby&Kohlberg 1987). აღზრდის მნიშვნელოვან პრინციპს დღეს წარმოადგენს ღირებულებების ჩამოყალიბება და მაღალ მორალურ საფეხურამდე ასვლის ხელშეწყობა. ადამიანს შეუძლია იმ ღირებულებებზე/ფასეულობებზე მსჯელობის გაგება/აღქმა, რომელიც მის ცოდნაზე ერთი საფეხურით მაღლა დგას. ეს ნიშნავს იმას, რომ ბავშვს რომელიც მეორე საფეხურზეა, შეუძლია გაიგოს მესამე საფეხურის ღირებულებების შესახებ მსჯელობა, მაგრამ მისთვის გაუგებარის მეოთხე საფეხურის ფასეულობები. (შდრ. Vygotsky 1978)

გამოცდილება აჩვენებს, რომ მსჯელობა და ქმედება ყოველთვის არ თანხვდება (შდრ. Patry და სხვ. 2004). მაგალითად, ადამიანებს შეუძლიათ, მაღალხარისხიან ღვინოზე გექადაგონ, მაგრამ წყალგარეული ღვინო დაგისხან; სახელმწიფო მოხელეებმა, რომლებიც მშვიდობაზე თავდავიწყებით ლაპარაკობენ, იმავე წამს შეიძლება ქვეყანა ომის საშიშროების წინაშე დააყენონ და ა.შ. მაგრამ, რამდენადაც მაღალია ღირებულებების აღქმის საფეხური, იმდენად უფრო უახლოვდება მსჯელობა და ქმედება ერთმანეთს (შდრ. Blasi 1995) აქედან გამომდინარე, ღირებულებებზე მსჯელობის ზედა საფეხურზე ასვლა ასევე მორალური ქმედების განვითარების ტოლფასია.

საფეხური	სამართლიანად ყოფნის მიზეზები	სოციალური პერსპექტივები
----------	------------------------------	-------------------------

1.	სასჯელი და უფლებამოსილება/ავტორიტეტობა	 ეგოიზმი
2.	გარიგება	ეგოიზმი, მაგრამ სხვისი ინტერესების გათვალისწინება 
3.	ჯგუფთან კუთვნილება	ჯგუფში მისაღები წესების დაცვა 
4.	კანონი და წესრიგი	 სოციალური კონტრაქტი
5.	ფუნდამენტური / ძირითადი უფლებები	 სოციალურად უკეთესი აზროვნება
6.	უნივერსალური პრინციპები	 მორალური აზრი

ცხრილი 1. ღირებულებების აღქმის განვითარება კოლბერგის მიხედვით (შდრ. Weinberger და სხვ. 2008, 28)

1.4.1.2 ღირებულებითი განათლება

შესაძლოა, მოსწავლეებს დავეხმაროთ ღირებულებების მაღალ საფეხურზე ასვლაში, თუ მორალურ ღირებულებით კონფლიქტებზე დისკუსიებს გავმართავთ. დისკუსიების დროს მოსწავლეები ცდილობენ საკუთარი აზრის დასაცავად დამაჯერებელი არგუმენტების ფორმულირებას, უმეტესწილად მოტივირებული არიან და მათი პროცესში აქტიურად ჩართვა საკმაოდ იოლია.

კოლბერგის მაღალ საფეხურზე ასვლისთვის გადამწყვეტია:


1. დისკუსიების/დებატების გამართვა, საკუთარი არგუმენტების მუდმივი მიება, საპირისპირო არგუმენტების განხილვა და ღირებულებებზე მსჯელობა;
2. სხვადასხვა როლისა და ხედვის გააზრება, განსხვავებული პერსპექტივით პრობლემის განხილვა, სხვის არგუმენტებზე რეაგირება.

ღირებულებითი კონფლიქტებისა და საპირისპირო ღირებულებების ნიმუშებს წარმოადგენს:

- ევთანაზია: სიცოცხლის გადარჩენა/შენარჩუნება;
- ტესტის გადაწერა: დახმარება მასწავლებლის მორჩილების საპირისპიროდ;
- სასიკვდილო განაჩენი: მოსახლეობის დაცვა სიცოცხლის ხელყოფისგან;
- კომპიუტერული თამაშების ძალადობა: პირადი თავისუფლება სიცოცხლის დაცვის საპირისპიროდ;
- რესტორნებში მოწევის აკრძალვა: პირადი თავისუფლება სხვების ჯანმრთელობის დაცვის საპირისპიროდ;
- ქურდობა: იმ მეგობრების მიმართ ლოიალობა, რომლებმაც სხვისი საკუთრება მიითვისეს.

1.5 VaKE: ღირებულებებისა და ცოდნის კომბინირება

VaKE-ის მიხედვით ჩატარებულ გაკვეთილზე მოსწავლე იღებს ცოდნას და მსჯელობს მორალური განვითარების მაღალი საფეხურის ღირებულებებზე. (Weinberger და სხვები, 2008, 30)



ილუსტრაცია 4: სწავლის პროცესი Vake-ის დახმარებით (შდრ. ილუსტრაცია 2)

1. *აქტივობა:* შესასწავლ თემასთან დაკავშირებულ რომელიმე მორალურ ღირებულებაზე შესაძლებელია დებატების გამართვა. მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს პრობლემურ სიტუაციას. მოსწავლეებმა ორ ღირებულებას შორის უნდა შეარჩიონ ერთი. ასეთი დებატები და სწორი პასუხის მიღება მოსწავლეთა მაღალ ემოციურ ჩართულობას იწვევს (შდრ. Feger 1978);
2. *პრობლემა:* დებატების დროს მოსწავლეებს პრობლემები ექმნებათ, რადგან არ აქვთ საჭირო ცოდნა და ვერ იღებენ გადაწყვეტილებას ღირებულებათა იერარქიაში მაღალი მორალური განვითარების სასარგებლოდ.
 - ა. პრობლემები ცოდნის სფეროში: საკუთარი აზრის დამაჯერებლად ჩამოყალიბებისთვის მოსწავლემ საკითხთან დაკავშირებით მეტი უნდა იცოდეს. მასწავლებელი მოსწავლეს ეხმარება, გაარკვიოს რა უნდა ისწავლოს და სწორედ ამ მიმართულებით უსვამს კითხვებს;
 - ბ. პრობლემები, რომლებიც უკავშირდება ღირებულებათა იერარქიას: მოსწავლეებს საკუთარი მოსაზრების ეჭვქვეშ დაყენება უწევთ,

საწინააღმდეგო არგუმენტებისა და სხვა მოსაზრებების გააზრების გამო ისინი მუდმივად აწყდებიან მაღალი საფეხურის ღირებულებებს;

3. *სწავლის ფაზა*: შინაარსთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის გაცემა და ცოდნის შეძენა თავისთავად მიმდინარეობს (მაგ. ინტერნეტში ინფორმაციის მოძიება-დამუშავება);

მოსწავლეები მაღალ ღირებულებებამდე მიდიან და აღმოაჩენენ მათთვის ახალს (მაგ. სოციალური პერსპექტივის გაფართოებით, სხვების მოთხოვნებისა და ინტერესების გათვალისწინებით);

4. *უნარების სანდოობის გადამოწმება*:

ა. ათვისებული ცოდნა მოწმდება მოსწავლეების მიერ ინფორმაციების გაცვლით;

ბ. დებატების დროს მოსწავლეები იღებენ სწორ გადაწყვეტილებებს ღირებულებებზე დაყრდნობით („კიდევ ხომ არ გაქვთ პასუხგაუცემელი კითხვები?“).

5. *პრობლემის გადაჭრა*: იმ შემთხვევაში, თუ კითხვები აღარ არის, მოსწავლეები საკუთარ პასუხებს წარადგენენ. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ინფორმაციების ხელახლა მოძიება, შესაბამისად, დებატების გამართვა და საწინააღმდეგო მოსაზრებების განხილვა.

4.1 მასწავლებლისა და მოსწავლის პასუხისმგებლობა VaKE-ში

ტრადიციულ გაკვეთილზე პასუხისმგებლობას ძირითადად მასწავლებელი იღებს. ის გეგმავს და წარმართავს მოსწავლეების სწავლის პროცესს. კონსტრუქტივისტურ გაკვეთილზე კი მასწავლებელი თავისი პასუხისმგებლობის ნაწილს თმობს და მოსწავლეებთან ინაწილებს მას (შდრ. ცხრილი 2):

1. მასწავლებელი პასუხისმგებელია:

- მართოს სასწავლო პროცესი (მოსწავლეებს შესთავაზოს პრობლემაზე ორიენტირებული სიტუაციები);
- ინდივიდუალური დახმარება გაუწიოს მოსწავლეებს და ჩააბას სწავლის პროცესში (მაგ., მაპროვოცირებელი კითხვებით ან საჭირო ინფორმაციების მიწოდებით);
- მისცეს შესაძლებლობა მოსწავლეებს, გადაამოწმონ შეძენილი უნარები.

2. მასწავლებელსა და მოსწავლეებს ერთობლივი პასუხისმგებლობა აქვთ:

- სწავლის წესების დადგენასა და მათ დაცვაზე;
- უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნაზე;
- სასწავლო მასალისა და სწავლის მეთოდების შერჩევაზე;

3. მოსწავლეები პასუხისმგებელნი არიან:

- ჩაერთონ სასწავლო პროცესში;
- შეასრულონ დავალებები;
- შეამოწმონ საკუთარი სწავლის შედეგები.

	პასუხისმგებლობის სფერო	აქტივობები VaKE-ის გაკვეთილზე
მასწავლებელი „სწავლის საშუალებების მიცემა“	სწავლის პროცესის ხელშეწყობა	<ul style="list-style-type: none"> • VaKE-ის გაკვეთილის დაგეგმვა • ღირებულებითი კონფლიქტის შეტანა • დებატების ორგანიზება • მოსწავლეთა ინტერაქციის ხელშეწყობა • ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსის მქონე ამბის მომზადება და წარდგენა • მაპროვოცირებელი კითხვების დასმა
	ინდივიდუალურად დახმარება და გამოწვევა	<ul style="list-style-type: none"> • მაპროვოცირებელი კითხვების დასმა • ყურადღების მიღმა დარჩენილ სფეროებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება • მოსწავლეებისთვის სწავლის ახალ სტრატეგიებში დახმარება • საგანმანათლებლო პროდუქტზე (ესსე, ბლოგი, პრეზენტაცია და ა.შ) წინადადებების შეთავაზება • საგანმანათლებლო პროდუქტის წარდგენის მხარდაჭერა (სურვილის შემთხვევაში)
	საჭირო ინფორმაციის შეთავაზება	<ul style="list-style-type: none"> • რთული საინფორმაციო მასალის შეთავაზება
	უნარების სანდოობის შემოწმება	<ul style="list-style-type: none"> • სწავლების სხვადასხვა სოციალური ფორმის შეთავაზება • შემენილი ცოდნის წარდგენის შესაძლებლობა
მასწავლებელი და მოსწავლე „გარემო პირობები“	წესების შემუშავება და შესრულება	<ul style="list-style-type: none"> • დისკუსიებისა და დებატების წესების შემუშავება • მოსწავლეთა საუბრისა და პასუხების მოსმენა • მოსწავლეთა პასიურობის შემთხვევაში, ჩარევა
	სასიამოვნო და უსაფრთხო გარემოს შექმნა	<ul style="list-style-type: none"> • მოსწავლეთა დისკუსიებისა და პასუხების დროს პირადი კომენტარებისგან თავის შეკავება • მოსწავლეთა დისკუსიებისა და პასუხების დროს შეფასებებისგან თავის შეკავება
	სასწავლო მასალის და მისი შეტანის მეთოდების შერჩევა	<ul style="list-style-type: none"> • მიზნის დასახვა • გაკვეთილის პროდუქტის დადგენა • დროის გრაფიკის დადგენა
	ყველა მოსწავლისთვის ინფორმაციის თანაბარი ხელმისაწვდომობა	<ul style="list-style-type: none"> • კლასში ინფორმაციის გაცვლის პირობების შექმნა • ყველა დოკუმენტზე თანაბარი ხელმისაწვდომობა
მოსწავლე „სწავლა“	კონსტრუქტუვისტური სწავლება	<ul style="list-style-type: none"> • პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება • კონსტრუქციული თანამშრომლობა

	კონკრეტული სამუშაოს ორგანიზება და შესრულება	<ul style="list-style-type: none"> • ჯგუფის შემადგენლობის განსაზღვრა • შესაბამისი ინფორმაციის მოძიება და დამუშავება • გაკვეთილის პროდუქტის ერთობლივად შემუშავება
	საკუთარი წარმატების შემოწმება უნარების შეფასების გზით	<ul style="list-style-type: none"> • დებატების დროს ურთიერთსაწინააღმდეგო არგუმენტების ერთმანეთთან გაცვლა და მათი განხილვა • წარმოდგენილი ღირებულებებისა და შეძენილი ცოდნის წარდგენა და კითხვების დასმა

ცხრილი 2. პასუხისმგებლობების სფეროები VaKE-ის გაკვეთილზე (Weinberger-ს მიხედვით 2008, 32)

მასწავლებლის, როგორც “ხელშემწყობის” პასუხისმგებლობა:

- სწავლის პროცესის ხელშეწყობა

წარმატებული VaKE-გაკვეთილისთვის გადამწყვეტია ღირებულებების კონფლიქტი. ღირებულებების კონფლიქტი არის ერთ რომელიმე ამბავში, თუ: ა) ერთმანეთს უპირისპირდება ორი ან მეტი თანასწორი ღირებულება; ბ) ღირებულებათა კონფლიქტი მოსწავლის პერსპექტივიდან არის ჩამოყალიბებული. VaKE-გაკვეთილების გულდასმით და დეტალურად მომზადება (ღირებულების შესახებ კითხვების მოზადება, ინფორმაციის წყაროების წარდგენა) წარმატებული გაკვეთილის საწინდარია. ღირებულების კონფლიქტის შემოტანისას მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა გაიგონ, რომელი ღირებულებები უპირისპირდება ერთმანეთს.

ღირებულებები მეტ-ნაკლებად თანაბარია, ამიტომ მოსწავლეებს მხოლოდ ერთის არჩევის საშუალება აქვთ; ისინი შეუდგებიან არგუმენტების ძიებას, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეები რაციონალურად ფიქრს იწყებენ. დებატების წარმართვისა და დაპირისპირებული მოსაზრებების განხილვის გარდა, აუცილებელია, მასწავლებელმა მოსწავლეებს შესაძლებლობა მისცეს, ღირებულებებზე სათანადოდ იმსჯელონ და რაც შეიძლება უკეთესი და მეტი არგუმენტი მოიძიონ. გარდა ამისა, სასურველია, თუ მასწავლებელი შეაჯამებს მნიშვნელოვან კითხვებს, არგუმენტებს, დასვამს დამატებით კითხვებს, რათა არცერთი სფერო არ დარჩეს უწყურადღებოდ.

- ინდივიდუალური მხარდაჭერა

VaKE-მიდგომა ჰეტეროგენულ ჯგუფში მოითხოვს მოსწავლეთა უფრო მეტ ინდივიდუალურ მხარდაჭერას, ვიდრე ჰომოგენურ ჯგუფში. მასწავლებელმა სხვადასხვა უნარის მქონე მოსწავლესთან დიფერენცირებული მიდგომა უნდა გამოიყენოს და, ასევე, გაითვალისწინოს შემსწავლელის ტიპი.

დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებს მეტი მხარდაჭერა სჭირდებათ, რადგან პროცესში ჩართვა მათთვის უფრო რთულია, ვიდრე მაღალი აკადემიური მიღწევების

მქონე მოსწავლეებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა მათ მზა პასუხი კი არ შესთავაზოს, არამედ მიუთითოს პასუხის პოვნის გზები. ამ პროცესს სტრატეგიული დახმარება შეიძლება ეწოდოს.

სტრატეგიული დახმარება გულისხმობს:

- დამაზუსტებელი კითხვების დასმას (მაგ. „დარწმუნებული ხარ, რომ ეს სწორია?“ „შეგიძლია, ერთხელ კიდევ ამიხსნა გარკვევით, ამ პასუხამდე როგორ მიხვედი?“);
- უყურადღებოდ დარჩენილი საკითხების შესახებ მითითებების მიცემას (მაგ. „ამ თემასთან დაკავშირებით კიდევ არსებობს სხვა ინფორმაცია და ის თუ ნახე?“ „იქნებ, არის რაიმე სხვა ხერხიც, რომლის გათვალისწინებაც შეიძლებოდა?“);
- სწავლის ახალი სტრატეგიების დაუფლებაში ხელშეწყობას (მაგ.: „დაგეხმარო ამონაწერის გაკეთებისას?“, „იქნებ, გონებრივი რუკის შექმნა დაგეხმაროს?“);
- გაკვეთილის ბოლოს სავარაუდო პროდუქტის მომზადების შეთავაზებას (მაგ. „შეგიძლიათ, მაგალითად, ამ თემაზე გაზეთი მოამზადოთ!“ „კარგი იქნებოდა, ამ თემაზე იმიტირებული სასამართლო მოგეწყობო!“);
- გაკვეთილის პროდუქტის დიზაინის ტექნიკურ მხარეში დახმარებას (მაგ. „გაზეთს აუცილებლად სჭირდება თავფურცელი!“)

- *საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფა*

სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეს ინფორმაციის სხვადასხვა წყარო (მაგ. ინტერნეტი, სახელმძღვანელო, წიგნები, დარგობრივი ტექსტები) შესთავაზოს. მრავალფეროვანი წყაროები მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს, ისინი ერთმანეთს კრიტიკულად შეადაროს. ჰეტეროგენულ ჯგუფში მუშაობისას მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს დავალებები დიფერენცირებულად მისცეს და დაავალოს მათ სხვადასხვა წყაროს შესწავლა მათი უნარის გათვალისწინებით. სასურველია, ძლიერ მოსწავლეებს დავალებად ინტერნეტის წყარო მივცეთ, ხოლო სუსტებს მკაფიოდ სტრუქტურირებული და მარტივი დარგობრივი ტექსტები შევთავაზოთ.

- *უნარების სანდოობის გადამოწმება*

თანამშრომლობითი სწავლება ხელს უწყობს შემენილი უნარების გაწაფვას. ჯგუფებში მუშაობისას მოსწავლეები მრავალჯერ იყენებენ მიღებულ ცოდნას იმ მიზნით, რომ გაკვეთილის ბოლოს ერთობლივი პროდუქტი შექმნან. გამოცდილებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი მოსწავლეებს დაეხმაროს შედეგების გადამოწმებაში, რაც მათთვის სრულიად ახალია (მაგ.: ორი ჯგუფი ერთმანეთს შეადარებს შედეგებს. შეიძლება ინდივიდუალური შედეგიც შედარდეს სხვა ჯგუფების შედეგებთან). მასწავლებელმა უნდა ცვალოს წევრების შემადგენლობა, რადგან ერთსა და იმავე ჯგუფებში მუშაობა მოსწავლეებისთვის მოსაწყენია და მათ დემოტივაციას იწვევს (მაგ.: ყოველი ორი მოსწავლე იცვლის ჯგუფს და მიღებულ პასუხებს ამოწმებს სხვა ორ მოსწავლესთან).

მასწავლებლისა და მოსწავლეების ერთობლივი პასუხისმგებლობაა უსაფრთხო და სასიამოვნო სასწავლო გარემოს შექმნა.

- *დებატის წესების დადგენა და ამ წესების დაცვა*

მასწავლებელი და მოსწავლეები დებატებამდე ერთობლივად ადგენენ წესებს, რომელთა გათვალისწინებით კონსტრუქციული დებატების ჩატარება იქნება შესაძლებელი. სასურველია, წესები გაკრული იყოს დაფაზე ან კედელზე, რათა მოსწავლეები დროდადრო ხედავდნენ და იყენებდნენ მათ. ყველა ვალდებულია, რომ დადგენილი წესები დაიცვას.

- *სასიამოვნო და უსაფრთხო გარემოს შექმნა*

წარმატებულ დებატებში ყველა მოსწავლეს შეუძლია აზრის გამოთქმა და საპირისპირო არგუმენტების წარდგენა. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მშვიდ და უსაფრთხო გარემოში. ერთი მხრივ, საჭიროა, დებატის მონაწილემ იცოდეს, რომ მხოლოდ საქმიანად უნდა იმსჯელოს, მეორე მხრივ, კი მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ დისკუსიებში მონაწილეობისას მათი მოსაზრება არ ფასდება. მოსწავლეს არ უნდა ეშინოდეს, რომ მისი ნათქვამი ვინმეს სასაცილოდ ან მცდარად მოეჩვენება. მასწავლებელმა ხაზგასმით და მკაფიოდ უნდა აღნიშნოს, რომ ღირებულებათა კონფლიქტებზე სწორი და მცდარი პასუხები არ არსებობს. მთავარია, მოსწავლეებმა მიიღონ დისკუსიებში მონაწილეობა და პროცესში აქტიურად ჩაერთონ.

- *სასწავლო მასალისა და სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევა*

სასურველია, მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღონ შესასწავლი საკითხის შინაარსის განსაზღვრაში. მასწავლებელმა უნდა სთხოვოს მოსწავლეებს, დაასახელონ მათთვის საინტერესო თემა. ეს მნიშვნელოვანია, რადგან მასწავლებელს მოსწავლეთა ინდივიდუალურ ინტერესებზე წარმოდგენა შეეძენება.

მოსწავლეები, ასევე, მონაწილეობენ VaKE-გაკვეთილისთვის ვადების განსაზღვრაში.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებს სწრაფად შეუძლიათ ინფორმაციის მოძიება. ისინი გაკვეთილის პროდუქტსაც იოლად ამზადებენ. დაბალი აკადემიური მიღწევის მქონე მოსწავლეები ამუშავებენ უფრო მცირე მოცულობის და ნაკლები სირთულის თემებს და, შესაბამისად, მასწავლებლისგან იღებენ მეტ დახმარებას (შდრ. Weiringer u.a. 2006, 35). საბოლოო შედეგების წარსადგენად მოსწავლეები ირჩევენ გაკვეთილზე შემუშავებული პროდუქტის ფორმატს (მაგ. გაზეთი, სლაიდშოუ). მოძიებული და დამუშავებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს როგორც ცოდნის, ასევე - ღირებულებით ასპექტებს.

- *საჭირო ინფორმაციის თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისთვის*

ცალკეული მოსწავლე თუ მოსწავლეთა ჯგუფი ერთი კონკრეტული საკითხის შესახებ ამუშავებს ინფორმაციას. აუცილებელია, მოძიებული და დამუშავებული ინფორმაცია მხოლოდ ერთ ჯგუფში ან ვიწრო წრეში კი არ გავრცელოს, არამედ მთელი კლასის წინაშე და ყველა მოსწავლისათვის იყოს ხელმისაწვდომი. მოსწავლემ ან მოსწავლეების ჯგუფმა მთელ კლასს უნდა გაუზიაროს მათ მიერ მოპოვებული ინფორმაცია. ასე ყველა მოსწავლეს ეცოდინება კლასში დამუშავებული ინფორმაცია და შეედლება, გამოიყენოს ის.

მოსწავლეთა, როგორც „შემსწავლელთა“ პასუხისმგებლობა:

- *კონსტრუქტივისტური მიდგომით სწავლა*

მოსწავლეებმა უნდა აიღონ მასწავლებლის მიერ გაზიარებული პასუხისმგებლობა. მხოლოდ ასე გახდება შესაძლებელი VaKE-ის გაკვეთილების წარმატებით ჩატარება. განვითარების ფსიქოლოგიის პერსპექტივიდან გამომდინარე, შესაძლებელია, მოსწავლეებმა სკოლაში მისვლისთანავე აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე (შდრ. Oerter 2001). VaKE-ის მოდელის შეტანისას პრობლემები წარმოიშვება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსწავლეები მხოლოდ ტრადიციულ გაკვეთილებს იცნობენ, ამ მიმართულებით უმუშავიათ და მათთვის დამოუკიდებლად მუშაობა და სასწავლო პროცესში აქტიურობა უცხოა. კონსტრუქციული თანამშრომლობა გაკვეთილზე პატარა ჯგუფებში მუშაობისა და დებატების წინაპირობაა.

- *სამუშაოს ორგანიზება და მომზადება*

მას შემდეგ რაც მოსწავლეები გადაინაწილებენ შესასწავლ საკითხებს, ისინი იწყებენ ინფორმაციის მოძიებას. ერთი მხრივ, მასწავლებელს შეუძლია, მიაწოდოს მოსწავლეებს ინფორმაცია (მაგ. დარგობრივი ლიტერატურიდან, საინფორმაციო ტექსტებიდან), მეორე მხრივ, კი მოსწავლეებს შეუძლიათ, თავად მოიძიონ ინფორმაცია (მაგ. ინტერნეტში, ბიბლიოთეკაში). დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს სასურველია, მასწავლებელი დაეხმაროს ამ პროცესში. მნიშვნელოვანია ის, რომ მოსწავლეებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, ვისთან იმუშავენ და თვითონ უნდა შეარჩიონ ჯგუფის წევრები. წარმატებისათვის მნიშვნელოვანია დადებითი სოციალური გარემო ჯგუფში. ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების მიზანი საგანმანათლებლო პროდუქტია, რომლის მომზადებაშიც ჯგუფის ყველა წევრმა მიიღო მონაწილეობა.

- *საკუთარი წარმატების შემოწმება*

VaKE-ის მიდგომით დაგეგმილი სხვადასხვა დებატი მოსწავლეებს ღირებულებებზე მსჯელობის შესაძლებლობას აძლევს და, შესაბამისად, ინფორმაციების მოძიებისა და დამუშავების შედეგად ისინი იუმჯობესებენ არგუმენტირების უნარს. შეძენილი ცოდნის საკუთარი მეგობრების წინაშე წარდგენით, მეგობრებისა და მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვების დახმარებით მოსწავლეებს შეუძლიათ დაადგინონ, მივიდნენ თუ არა სასურველ შედეგამდე.

გასათვალისწინებელია, რომ მასწავლებელმა უნდა შესთავაზოს დახმარება მოსწავლეებს, მაგრამ მის დახმარებას მიიღებენ თუ არა მოსწავლეები, ეს მათი

1.7. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა, შემსწავლელის ავტონომია და VaKE

კონსტრუქტივისტური მიდგომის თანახმად, სწავლა მხოლოდ მაშინაა წარმატებული, თუ მოსწავლე აქტიურია და დამოუკიდებლად ცდილობს პრობლემის გადაჭრას. მოსწავლის ავტონომიურობას სჭირდება ხელშეწყობა, რაც მასწავლებლის ფუნქცია უნდა იყოს.

VaKE-მეთოდი ეფუძნება:

- როგორც მორალური განვითარების თეორიასა და კონსტრუქტივისტურ მიდგომას, ასევე
- პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლასა და შემსწავლელის ავტონომიას.

1.7.1. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (Problem Based Learning/PBL), ან, როგორც ხშირად მას უწოდებენ, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლა (Problem Oriented Learning/POL), სწავლა-სწავლების ერთ-ერთი ფორმაა და ხასიათდება იმით, რომ მოსწავლეებმა დამოუკიდებლად უნდა შეძლონ სასწავლო პროცესში წამოჭრილი ერთი რომელიმე კონკრეტული პრობლემის იოლად გადაჭრა. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა პირველად კანადაში გამოიყენეს საუნივერსიტეტო სივრცეში, მაგრამ ის დღეს ნებისმიერ საგანმანათლებლო საფეხურზე გამოყენება და კვლევებით დადასტურებულია, რომ ამ მიდგომით სხვადასხვა საფეხურზე განათლებამიღებული ადამიანები წარმატებულად აღწევენ ნებისმიერ სფეროში, ეს იქნება პროფესიული ცხოვრება თუ აკადემიური სფერო (შდრ. Moust u.a. 1999).

დღეს საგანმანათლებლო სივრცის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, მოსწავლეებმა შეძლონ სკოლაში მიღებული ცოდნისა და ჩამოყალიბებული უნარ-ჩვევების გამოყენება ცხოვრებისეული პრობლემების გადასაჭრელად. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს საგნობრივ ცოდნასა და უნარ-ჩვევებთან ერთად განუვითარდეთ პრობლემების გადაჭრის უნარები, რაც მათ დაეხმარება ნებისმიერი სხვა პრობლემის შემთხვევაში, იქნება ის ყოფითი თუ პროფესიისთან დაკავშირებული.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლისას:

- სასწავლო პროცესი აგებულია პრობლემებთან დაკავშირებულ შეკითხვებზე;

- მოსწავლე აქტიურია, იღებს მეტ პასუხისმგებლობას საკუთარ სწავლაზე და მუშაობს, ძირითადად, პატარა ჯგუფში;
- მასწავლებელი არ არის გადამწყვეტი სასწავლო პროცესში და მას დამხმარის, მრჩეველის ფუნქცია აქვს.

ძველი, ტრადიციული სწავლებისგან განსხვავებით, *მოსწავლე* აქტიურია და ის წარმართავს სასწავლო პროცესს. სასწავლო პროცესი ასე მიმდინარეობს: მოსწავლე აწყდება რომელიმე პრობლემას, რომლის გადაჭრაც უჭირს იმ ცოდნით, რომელსაც მოცემული მომენტისთვის ფლობს. უჩნდება კითხვა: კიდევ რა ესაჭიროება იმისათვის, რომ პრობლემა გადაჭრას და ამიტომ მეტად აქტიურდება. ხვდება, რომ მეტი ინფორმირებულობა და, შესაბამისად, მეტი ცოდნის მიღება სჭირდება საკითხთან დაკავშირებით და იწყებს საჭირო ინფორმაციის მოძიებას (ეს იქნება ბეჭდური მასალა, კვლევების შედეგები, სხვადასხვა ტიპის ანგარიშები თუ ონლაინ მასალები და სხვა.). გარკვეული სამუშაოს შემდეგ შემსწავლელი აღჭურვილია ახალი ცოდნით და კვლავ ცდილობს პრობლემის გადაჭრას, რასაც, უმეტესწილად, წარმატებით ახერხებს. პროცესს ასრულებს თვითშეფასება, რაც მას ეხმარება, იყოს ავტონომიური და შეძლოს, ეფექტიანად და დამოუკიდებლად გადაჭრას მის წინაშე წამოჭრილი ყველა სახის პრობლემა.

ამდენად, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის დროს მოსწავლე არის პრობლემის გადამჭრელი, რომელიც ცდილობს პრობლემის გაგებას, ეძებს გამოსავალს და ამ პრობლემის მოგვარების საუკეთესო გზას. მოსწავლის მოტივაცია საგრძნობლად იზრდება და მისი ჩართულობა სასწავლო პროცესში მაღალია. სწავლა მისთვის საინტერესო და სახალისო ხდება და სწავლის პროცესში ის შეიმუშავებს კოგნიტურ სტრატეგიებს, რომლებიც მისთვის უჩვეულო, მოულოდნელი და არაგანმეორებადი/ყოველდღიური სიტუაციის ანალიზში ეხმარება.

რა ფუნქცია აქვს *მასწავლებელს*? რამდენადაც სასწავლო პროცესის ცენტრში მოსწავლე დგას და ის ძირითადად დამოუკიდებლად წარმართავს სასწავლო პროცესს, მასწავლებელს უმეტესად მოსწავლის ხელშეწყობის როლი უკავია. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების დროს მასწავლებლისა და მოსწავლის ტრადიციული როლები იცვლება. სწავლაზე მოსწავლეების პასუხისმგებლობა თანდათანობით იზრდება, მაღლდება მოტივაცია და ვითარდება სწავლის უნარ-ჩვევები. მასწავლებელი კი ხდება მრჩეველი, ინფორმაციის მიმწოდებელი და შემფასებელი. მასწავლებლის როლი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის თვალყურს ადევნებს, ეხმარება და ხშირ შემთხვევაში ხელმძღვანელობს მოსწავლეს პრობლემის გადაჭრის მცდელობისას.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის მთლიან პროცესს/ციკლს მკვლევარების ერთი ნაწილი 7 ნაბიჯად ყოფს (შდრ.ჯანაშია და სხვები. 2008), დანარჩენები - 8 ნაბიჯად (იხ. Becker 2012; Weber 2007; Barrow 1985). წარმოდგენილი ცხრილი (იხ. ცხრილი 3) ეყრდნობა მკვლევარების მეორე ჯგუფს და მოიცავს შემდეგ ნაბიჯებს:

1. განსაზღვრა; ახსნა-განმარტება

2. პრობლემის დეფინიცია
3. იდეების მოგროვება
4. სტრუქტურირება
5. სასწავლო მიზნის ფორმულირება
6. ინფორმაციის მოპოვება-მოგროვება/შინაარსის დამუშავება
7. პრეზენტაცია და დისკუსია
8. რეფლექსია

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის მთლიანი პროცესი/ციკლი

ნაბიჯები	აღწერა
ნაბიჯი 1 „განსაზღვრა“	პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის დასაწყისში სტუდენტებს პატარა ჯგუფებში სამუშაოდ მიეცემათ რეალური ან ფიქციური, მაგრამ რეალობასთან დაკავშირებული საკითხი, რომელიც, შესაძლოა, შეიცავდეს განსხვავებულ პრობლემურ ასპექტებს ერთი ან მეტი თემიდან. ჯგუფებში საკითხის შინაარსზე მუშაობისას, სავარაუდოდ, მოსწავლეები გადააწყდებიან გარკვეული გაუგებრობებს, რაც მათ დეტალების გარკვევისკენ უბიძგებს.
ნაბიჯი 2 "პრობლემის დეფინიცია"	მეორე ნაბიჯის დროს მოსწავლეები ჩამოწერენ იმ პრობლემებს, რომლებიც მათ წინაშე გაჩნდება. რადგანაც ერთ რომელიმე მზა კითხვას მათ (აქ: მასწავლებელ) არავინ უსვამს, ისინი თავად გამოკვეთენ ძირითად პრობლემას თუ პრობლემებს.
ნაბიჯი 3 "იდეების შეგროვება"	მესამე ფაზაში ხდება უკვე ხელთ არსებული იდენტიფიცირებული პრობლემების შეგროვება და მათი გენერირება. ჯგუფის წევრები საკუთარ მოსაზრებებსა და იდეებს აგროვებენ და მთლიან ჯგუფს წარუდგენენ.
ნაბიჯი 4 "სტრუქტურირება"	მეოთხე ფაზაში მიმდინარეობს შერჩეული იდეების სტრუქტურირება, შეჯერება და დაჯგუფება. განისაზღვრება მოსწავლეთა დავალებების სტრუქტურაც. ამ ფაზაშივე გადაწყდება, უნდა გამოირიცხოს თუ არა პრობლემის ცალკეული ასპექტები, ან უკვე განსაზღვრული ძირითადი პრობლემის ყველა ასპექტი არსებითია თუ არა.
ნაბიჯი 5	მეხუთე ფაზის მიმდინარეობისას ჯგუფის წევრები წერილობით ადგენენ, რომელი საკითხებია მნიშვნელოვანი პრობლემის

<p>"სასწავლო მიზნის ფორმულირება"</p>	<p>გადასაჭრელად. სასწავლო მიზნების ჩამოყალიბებით (სამუშაო დავალებების გათვალისწინებით) ჯგუფი განსაზღვრავს, თუ ვინ და როგორ უნდა შეავსოს არსებული ნაკლები ცოდნა. ამასთან, დგინდება, ჯგუფში პრობლემის გადაჭრის ყველა ასპექტი ცნობილია თუ არა, ან საჭიროა თუ არა ცოდნის ღიობების შევსება დავალების სრულად დასამუშავებლად.</p>
<p>ნაბიჯი 6</p> <p>"ინფორმაციის მოპოვება-მოგროვება/შინაარსის დამუშავება"</p>	<p>ინფორმაციის მოპოვება ემსახურება უკვე ჩამოყალიბებული სასწავლო მიზნების მიღწევას და, შესაბამისად, დავალებების შესრულებას. ამ ფაზაში, შესაძლოა, მოსწავლეებმა მასწავლებლის მიერ მიწოდებული მასალა დაამუშავონ და განავრცონ, ან საკუთარი ძალებით მოიძიონ სხვა რესურსები (მაგ., ბიბლიოთეკაში, ინტერნეტში, ექსპერტებთან საუბრით და სხვ.). შემუშავებული შინაარსის სტრუქტურირება და გადარჩევა მოგვიანებით, ბოლო ფაზაში, მასალის კლასის წინაშე პრეზენტაციის მიზნით მიმდინარეობს.</p>
<p>ნაბიჯი 7</p> <p>"პრეზენტაცია და დისკუსია"</p>	<p>ბოლოსწინა ფაზაში მოსწავლეები მიღებულ გადაწყვეტილებებს წარუდგენენ სხვა ჯგუფებს. ამ დროს მოსწავლეები სხვადასხვა ჯგუფის მიერ მიღებულ შედეგებს ადარებენ და ყველა ჩართულია განხილვაში.</p> <p>ხშირ შემთხვევაში პრობლემის გადაწყვეტის გონივრული გზა ერთი კი არა, რამდენიმეც შეიძლება იყოს. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა წარადგინონ არა რომელიმე ერთი ჭეშმარიტი გადაწყვეტილება და მასზე გამართონ დისკუსია, არამედ მთავარი პროცესის რეფლექსია და არგუმენტირებაა, რაც კონსტრუქტივისტური მიდგომის არსებითი მახასიათებელია.</p>
<p>ნაბიჯი 8</p> <p>"რეფლექსია"</p>	<p>მერვე, ე.წ. რეფლექსიის ფაზაში პატარა ჯგუფებში მოსწავლეები აანალიზებენ მიღებულ გადაწყვეტილებებს და მართავენ დისკუსიებს საკუთარი სწავლის პროცესის შესაფასებლად.</p>

ცხრილი 3. (შდრ. Fred G. Becker et al. 2010, 366)

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა, ამდენად, ხელს უწყობს მოსწავლეებში:

- პასუხისმგებლობისა და მოტივაციის გაზრდას;
- კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას;
- შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას;

- პირობისეული, ანუ ფუნქციური ცოდნის შეძენას და ა.შ.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლისას მოსწავლეები დამოუკიდებლად ცდილობენ, სასწავლო პროცესში წამოჭრილი ერთი რომელიმე კონკრეტული პრობლემის იოლად გადაჭრას. მასწავლებელი არ არის გადამწყვეტი სასწავლო პროცესში და მას დამხმარის, მრჩევლის ფუნქცია აქვს.

1.7.2. შემსწავლელის ავტონომია

ცნება „შემსწავლელის ავტონომია“ გასული საუკუნის 20-30 წლებში გაჩნდა. სერიოზული განხილვის საგნად ის 1960-1970-იანი წლებიდან ითვლება, როდესაც ის ზრდასრულთა განათლების შესახებ დებატების საგანი გახდა და წარმოდგენილი იყო როგორც "გაკვეთილის ჩატარების პედაგოგიური ალტერნატივა" (Martinez 2008). ტერმინის ზუსტი განსაზღვრება დღემდე რთულია კონცეფციის სხვადასხვა განმარტებისა და ინტერპრეტირების გამო (მაგ. შემსწავლელის ავტონომია, სწავლის ავტონომია, ავტონომიური შემსწავლელი და სხვა). Holec-მა (1981) ტერმინი „შემსწავლელის ავტონომია“ 1980-იან წლებში განმარტა, როგორც „მოსწავლის პასუხისმგებლობა საკუთარი ენის შესწავლისთვის უცხო ენის შესწავლისთვის". დღემდე ეს განმარტება ყველაზე ხშირად გამოიყენება და ჰოლეციც ერთ-ერთი ყველაზე ხშირად ციტირებული ავტორია ამ მიმართულებით. ჰოლეკი აღწერს ავტონომიას, როგორც საკუთარი სწავლაზე პასუხისმგებლობის აღებას და ლინგვისტური დარგობრივი ლიტერატურა დღემდე სწორედ ამ კლასიკურ თეორიას ეყრდნობა (შდრ. Wenden, 2002, 33).

ტერმინის აღწერით გამოყენება ეფუძნება კონსტრუქტივისტურ მიდგომას, და კერძოდ, იმას, რომ სწავლა ავტონომიის გარეშე შეუძლებელია და ის აუცილებელი პირობაა ინფორმაციის დამუშავების პროცესში. თუმცა ტერმინის ნორმატიული გამოყენება ორიენტირებულია იმ ფაქტზე, რომ კონსტრუქტივისტური სწავლის თეორიული მიდგომები საყოველთაოდ აღიარებული და მიღებული არ არის.

შემსწავლელის ავტონომიურობა მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში, რადგან:

- ანთროპოლოგიური განვითარების ფსიქოლოგიური მიდგომა ეფუძნება ადამიანის ძირითად საჭიროებას, რაც თვითგარკვევასა და თვითრეალიზაციას გულისხმობს. ეს კი ქმნის სწავლის მოტივაციის საფუძველს;
- კონსტრუქტივისტური მიდგომა ეხება ყოველი ინდივიდის მიერ საკუთარი სამყაროს დამოუკიდებლად შენებას, რაც გულისხმობს, პირველ რიგში, იმას, რომ სწავლა ნიშნავს ახალი გამოცდილების დამუშავებას უკვე არსებულ მენტალური ცოდნის სტრუქტურებზე დაყრდნობით

და ა.შ.

მოსწავლეები უნდა იღებდნენ პასუხისმგებლობას საკუთარ სასწავლო პროცესზე. ისინი თავად უნდა გეგმავდნენ და მართავდნენ მას. ამასთან, ეს უნდა ხდებოდეს მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობის შედეგად და მასწავლებელი ამ პროცესის ხელშემწყობი უნდა იყოს.

შემსწავლელის ავტონომიურობის ხელშეწყობაში, პირველ რიგში, იგულისხმება, რომ მოსწავლეები სწავლობენ მიზნების დასახვას. ეს მათ ეხმარება, შეაფასონ, კარგად იციან თუ არა ესა თუ ის საკითხი და გაარჩიონ, როდის, რომელი მასალით ან, თუნდაც, ვისთან ერთად სურთ სწავლა.

მასწავლებლის როლია, დაეხმაროს მოსწავლეებს, გახდნენ ავტონომიურები. მან ხელი უნდა შეუწყოს მათ ამ პროცესში, რაც, ძირითადად, საკლასო ოთახში იწყება (მაგალითად, მიზნების დასახვითა და საკუთარი შედეგების შეფასებით) და შემდგომ გრძელვადიან პერსპექტივაში გრძელდება.

რა თქმა უნდა, მოსწავლეები განსხვავებულად იღებენ პასუხისმგებლობას საკუთარ სასწავლო პროცესზე და ეს ლოგიკურია, რადგან მოსწავლეებს ასევე განსხვავებული სწავლის სტარტეგიები და ტექნიკები აქვთ.

სასწავლო პროცესის დამოუკიდებლად მართვის სწავლა შესაძლებელია და მოსწავლეებს ამაში მასწავლებელი ეხმარება. მოსწავლე ყოველდღიურად იფარტოვებს ცოდნასა და გამოცდილებას და საკუთარ შესაძლებლობებს დამოუკიდებლად გამოსცდის. ბავშვი ძალიან ცნობისმოყვარეა და ყველა სიახლისადმი დიდ ინტერესს იჩენს. ამიტომ მასწავლებელი უნდა შეეცადოს, რომ საგაკვეთილო პროცესი იმდენად საინტერესოდ წარმართოს, რომ მოსწავლეს სურვილი გაუჩნდეს, თავად მოიძიოს ეს სიახლეები და უფრო მეტი აღმოაჩინოს, მიიღოს გადაწყვეტილებები და გამოსცადოს ყველაფერი, რაც მის წინაშეა.

ავტონომიურობა მჭიდრო კავშირშია თვითმოტივაციასთან. მოტივირებულ მოსწავლეებს უმეტესწილად შეუძლიათ დამოუკიდებლად სწავლა. დამოუკიდებელი შემსწავლელები წარმატებას აღწევენ, რაც თავისთავად მათ მოტივაციაზე აისახება და მას ამაღლებს. ამდენად, ავტონომიურობა და მოტივაცია მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული.

ავტონომიური შემსწავლელი დამოუკიდებლად არჩევს, მაგალითად, სასწავლო მასალას და ამ მასალაზე მუშაობის მეთოდებს. მას, ასევე, დამოუკიდებლად შეუძლია დავალებების სირთულის მიხედვით შერჩევა და მათზე მუშაობა დასახული მიზნის მისაღწევად. ამ დროს მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა ყურადღება მიაქციოს, რომ მოსწავლის მიერ შერჩეული დავალება არ იყოს შემსწავლელის ცოდნის დონისთვის ზედმეტად რთული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს გამოიწვევს შემსწავლელის დემოტივაციას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე.წ. სუსტი შემსწავლელების დახმარება (შდრ. Schmenk 2008).

მასწავლებლის როლია, დაეხმაროს მოსწავლეებს, გახდნენ ავტონომიურები.

სასწავლო პროცესის დამოუკიდებლად მართვის სწავლა შესაძლებელია და მოსწავლეებს ამაში მასწავლებელი ეხმარება.

2. VaKE-მეთოდის მიზნები და მისი გამოყენება

თუ სასწავლო პროცესში დანერგილია VaKE, მოსწავლეს შეუძლია:

➤ *მიღებული ცოდნის გამოყენება*

მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, გაიაზრონ, რას სწავლობენ და როგორ შეუძლიათ ნასწავლის გამოყენება. სასწავლო პროცესის მიზანი ამ შემთხვევაში არ არის ფაქტების უმიზნო დამახსოვრება ან დახეპირება (მაგ. რომელიმე წესის), არამედ სასწავლო მასალის ინტენსიური განხილვა და საგანთაშორისი ცოდნის აგება.

➤ *ღირებულებების გააზრება და მათი გამოყენება კონკრეტულ სიტუაციებში*

კონკრეტულ პრობლემურ სიტუაციებში (ე.წ. ღირებულების კონფლიქტები) განხილვისას მოსწავლეები აფასებენ ღირებულებებზე განსხვავებულ მოსაზრებებს, რაც ხელს უწყობს მათ მიერ ღირებულებების სიღრმისეულ გაგებას და პრობლემების გადასაჭრელი სტრატეგიების ათვისებას. მნიშვნელოვანია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ მოსწავლეები ერთმანეთთან დისკუსიის დროს იღებენ პრობლემებთან დაკავშირებულ სხვადასხვა გადაწყვეტილებას და პრობლემების გადაჭრის ამგვარ გზას ეჩვენებენ.

➤ *კრიტიკული აზროვნების განვითარება*

მოსწავლეები პრობლემას სხვადასხვა კუთხით განიხილავენ, სწავლობენ პრობლემას სხვადასხვა პერსპექტივიდან, იხილავენ და იაზრებენ პრობლემასთან დაკავშირებულ განსხვავებულ მოსაზრებებს.

➤ *დამოუკიდებლად სწავლა*

მოსწავლეებმა უნდა შეძლონ, დამოუკიდებლად მოამზადონ მათთვის საჭირო ინფორმაცია (მაგალითად, აღმოაჩინონ და ჩაინიშნონ მნიშვნელოვანი ფაქტები); სწორად დაგეგმონ საკუთარი სასწავლო პროცესი (მაგალითად, შეაჯამონ და დასკვნები გამოიტანონ) და შესწავლილი თეორიული კონცეფციები დააკავშირონ პრაქტიკასთან (მაგალითად, თეორიული ცოდნა კონკრეტულ მაგალითებში გამოიყენონ).

გარდა ამისა, ისინი სწავლობენ:

- მოამზადონ საბოლოო პროდუქტი (მაგალითად, მოძიებული და დამუშავებული ინფორმაციის საბოლოო პროდუქტში შენახვა და სხვ.);
- შეაფასონ საკუთარი ნაშრომი და გადაამოწმონ მისი უტყუარობა/სიზუსტე;
- განაგრძონ ახალი ცოდნის მიღება შეფასებისას აღმოჩენილი ხარვეზების ან დამატებითი კითხვების შემთხვევაში და განიხილონ ღირებულებები.

➤ *პრობლემის გადაჭრის უნარის განვითარება*

მოსწავლეებს შეუძლიათ შეძენილი ცოდნის გამოცდა, ჰიპოთეზების ფორმულირება, ალტერნატიული მოსაზრების წამოყენება და საკუთარი მოსაზრებების შეფასება. ამის შედეგად ისინი დამოუკიდებლად შეძლებენ გააზრებული გადაწყვეტილების მიღებას.

➤ **გუნდური მუშაობის უნარის განვითარება**

უსაფრთხო და სასიამოვნო სამუშაო გარემო მოსწავლეებს უვითარებს მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობას და მათ გუნდის სრულყოფილ წევრებად აგრძნობინებს თავს. მოსწავლეებს უყალიბდებათ ახალი იდეებისა და საკუთარი ცოდნის გუნდში წარდგენის უნარი, სწავლობენ სხვის მოსმენას, განსხვავებულ მოსაზრებებზე შეთანხმებას, კონფლიქტებზე მსჯელობას, სხვებზე ზრუნვას და მიღებული შედეგების სხვებისთვის გაზიარებას. ხაზგასასმელია ის, რომ პროცესში მეტ მნიშვნელობას იძენს მსჯელობისას მოყვანილი არგუმენტები და არა მონაწილე ინდივიდები. მოსაზრებების წარდგენისას მნიშვნელობა აქვს, ასევე, აზრს და არა სქესს, წარმომავლობას, სოციალური პოზიციას და სხვა.

➤ **დისკუსიისა და არგუმენტაციის უნარის განვითარება**

მოსწავლეები სწავლობენ და იცავენ დისკუსიაში მონაწილეობის წესებს, ეჩვევიან კონსტრუქციულობას, უყალიბდებათ სანდო ფაქტებსა და მაგალითებზე დაფუძნებული არგუმენტების ჩამოყალიბების უნარი.

შეუქმენით მოსწავლეებს სასიამოვნო ატმოსფერო გაკვეთილებზე და მიეცით თავისუფლება!

დაეხმარეთ მათ, გახდნენ ავტონომიურები და საკუთარი სასწავლო პროცესის მართვა თავად შეძლონ!

2.1 VaKE-ის გაკვეთილის მსვლელობა (მოკლე გზამკვლევი)

VaKE-ით მუშაობა უკავშირდება დილემების სასწავლო პროცესში შეტანას. დილემა (ბერძნ: იძულებითი მდგომარეობა) შეიცავს ორ ერთმანეთის გამომრიცხავ დებულებას, რომელთაგან ერთ-ერთის არჩევა აუცილებელია, რაც ხშირად მორალური ღირებულებების კონფლიქტების საბაზი ხდება. მორალური ღირებულებების კონფლიქტის მიზეზი კი ისაა, რომ არჩევანი ორი არასასურველი შესაძლებლობიდან უნდა გააკეთოს ადამიანმა.³

ცოდნა და ღირებულებითი განათლება (VaKE), როგორც კონსტრუქტივისტური სწავლების მიდგომა, მორალური და ეპისტემური მიზნების დაახლოვებას მორალური დილემების განხილვის გზით ხდის შესაძლებელს. ამდენად, VaKE-ით მუშაობის მთავარი პრინციპია სასწავლო პროცესში დილემების შეტანა და მათი განხილვა. ეს კი საშუალებას იძლევა მოსწავლეების მიერ სრულყოფილი ცოდნის მიღებასა და, ამასთანავე, მათში ღირებულებების ჩამოყალიბებას. (მოსიაშვილი & შავერდაშვილი, 2018, 28)

დილემის სასწავლო პროცესში შეტანამდე, საჭიროა, მასწავლებელმა კარგად გაიაზროს მისი შეტანისა და VaKE-ის გამოყენების აუცილებლობა და ყველა ნაბიჯი კარგად

³ <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0dictiona--00-1----0-10-0---0---0prompt-10---6-----0-0l--11-ka-50---20-preferences---10-3-1-00-0-0-11-1-OutfZz-8-10&a=d&c=dictiona&cl=CL4&d=HASHed421a187e2f200fd747af.3.7#HASHed421a187e2f200fd747af.3.7>

დაგეგმოს. დილემის შერჩევისას კი აუცილებელია, რომ მასწავლებელმა დილემის თემა დაუკავშიროს შესასწავლ საკითხსა და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან თემას.

VaKE-ის გამოყენებისას შესაძლებელია, დილემის განხილვა უკავშირდებოდეს რამდენიმე საგანს, იკვეთებოდეს მათ შორის კავშირი (მაგ. ფიზიკა, ბიოლოგია, გეოგრაფია) და მუშაობაც ინტერდისციპლინურ რეჟიმში მიმდინარეობდეს.

კონკრეტული მიზნიდან, სამიზნე ჯგუფიდან და მისაღწევი შედეგებიდან გამომდინარე, მასწავლებელს შეუძლია, მეტი ან ნაკლები დრო დაუთმოს სამუშაოს, და მეტი ან ნაკლები ნაბიჯი გამოიყენოს მიზნის მისაღწევად.

VaKE-ის სასწავლო პროცესში შეტანა შემდეგი 11 ნაბიჯით ხორციელდება:

პირველ ოთხ ნაბიჯზე მოსწავლეები განიხილავენ დილემას და მსჯელობენ იმ ღირებულებების შესახებ, რომლებიც დილემას უკავშირდება. დისკუსიისას გამოიკვეთება თითოეული ღირებულების მომხრე და მოწინააღმდეგე არგუმენტები, როგორც ეს კონსტრუქტივისტურ ღირებულებით განათლებაშია (შდრ. Blatt&Kolberg 1975, Lind 2003)

დილემებზე დისკუსიისას მოსწავლე აცნობიერებს, რომ პროცესში სრულყოფილად ჩართვისა და საკუთარი მოსაზრების მყარი არგუმენტებით დასაბუთებისთვის ნაკლული ცოდნის შევსება სჭირდება. ამ დამატებით ცოდნას ის იღებს ცხრილში მოცემულ **მე-5 და მე-6 ნაბიჯზე**, სანამ სანამ ხელახლა მიიღებს მონაწილეობას დისკუსიებში (**ნაბიჯი 7 და 8**). თუ ხელახლა გამართულ დისკუსიებში დილემა ვერ გადაიჭრა, რადგან საკმარისი ცოდნა არ აქვს მოსწავლეს და მისი არგუმენტები მყარ საფუძველსაა მოკლებული, ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს. შესაბამისად, მოსწავლე ხელახლა ერთვება ახალი ინფორმაციის მოძიების პროცესში (**ნაბიჯი 9**) და პროცესი სრულდება შედეგების პრეზენტაციით, მოსწავლე კი თანატოლებთან ერთად დილემას ჭრის შეძენილი ცოდნის საფუძველზე (**ნაბიჯი 10 და 11**).

N	ნაბიჯი	შინაარსი	სწავლების სოციალური ფორმა	გაკვეთილი
1.	დილემის შეტანა	რომელი ღირებულებები დგას დისკუსიის ცენტრში?	კლასი	ღირებულებითი განათლება
2.	პირველი გადაწყვეტილება	რომელი მოსწავლე ეთანხმება და რომელი არ ეთანხმება დილემის გამომრიცხავ დებულებებს?	კლასი	ღირებულებითი განათლება
3.	პირველი არგუმენტირება	რომელი მოსწავლეა წინააღმდეგი ან მომხრე ამა თუ იმ გადაწყვეტილების? რომელი არგუმენტების მოყვანა შეუძლია მას საკუთარი აზრის დასაცვად?	ჯგუფი	ღირებულებითი განათლება
4.	გამოცდილების გაზიარება და არსებული ინფორმაციის ახლით შევსებისათვის მზადება	<ul style="list-style-type: none"> ო როგორ შეუძლია მოსწავლეს საკუთარი არგუმენტების გამყარება? ო რომელი კითხვები რჩება პასუხგაუცემელი? 	კლასი	ღირებულებითი განათლება
5.	ინფორმაციის მოძიება მოსწავლეების მიერ	რომელი ინფორმაციის/ინფორმაციების მოძიებაა საჭირო საკუთარი არგუმენტების გასამყარებლად?	ჯგუფი	ცოდნის შეძენა
6.	ინფორმაციის გაცვლა ერთმანეთს შორის	როგორია მიღებული შედეგები და საკმარისია თუ არა მოძიებული ინფორმაცია?	კლასი	ცოდნის შეძენა
7.	მეორადი არგუმენტირება დილემის შესახებ	რატომ არის მოსწავლე წინააღმდეგი და რატომ არ ეთანხმება წარმოდგენილ მოსაზრებას?	ჯგუფი	ღირებულებითი განათლება
8.	ინფორმაციის სინთეზი (დისკუსია დილემის შესახებ) (შდრ. მე-4 ნაბიჯს)	რომელი არგუმენტები ეყრდნობა მიღებულ ახალ ცოდნას?	კლასი	ღირებულებითი განათლება
9.	საჭიროების შემთხვევაში მე-4-დან მე-8 ნაბიჯების გამეორება	დარჩა თუ არა დილემასთან დაკავშირებული კითხვები პასუხგაუცემელი?	ჯგუფი/ კლასი	ღირებულებითი განათლება/ ცოდნის შეძენა
10.	ბოლო პროდუქტი, სინთეზი (ინფორმაციების შეჯერება)	რა შედეგამდე მივიდა კლასი?	კლასი	ღირებულებითი განათლება/ ცოდნის შეძენა
11.	განზოგადება	როგორ განზოგადდება საკითხი და წარმართება დისკუსიები სხვა თემებზე?	კლასი	ღირებულებითი განათლება/ ცოდნის შეძენა

ცხრილი 4. VaKE-ის გაკვეთილის მსვლელობა (შდრ. Patry&Weinberger 2008)

3. დილემებით მუშაობა გაკვეთილზე

VaKE-ის სასწავლო პროცესში შეტანამდე საჭიროა, მასწავლებელმა კარგად გაიაზროს მისი გამოყენების აუცილებლობა შესასწავლი საკითხის, კლასის, თუ გლობალური, ქვეყნის, ქალაქის, სოფლისა და სასკოლო თემის კონტექსტის გათვალისწინებით. გაკვეთილის წარმატებით განხორციელებისთვის აუცილებელია, შემუშავდეს გაკვეთილის დეტალური გეგმა.

VaKE-ის შეტანის პირველ ნაბიჯზე მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული რომელიმე საკითხი/საკითხები და გაიაზროს, შესაძლებელია თუ არა ამ საკითხთან/საკითხებთან დაკავშირებული დილემის შემუშავება. ამის შემდეგ, მასწავლებელი ქმნის ერთ ცალკეულ ან კომპლექსურ პრობლემას, რომელიც მოსწავლეებმა უნდა გადაჭრან და / ან მიიღონ გადაწყვეტილება.

დილემის შეტანა შესაძლებელია როგორც ცალკე საგნის, ასევე ინტეგრირებულ გაკვეთილებზე. დილემის შედგენისას გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ის უნდა უკავშირდებოდეს შესასწავლ საკითხსა და იმ აქტუალურ თემას, რომელიც მოსწავლისთვის საინტერესოა და სასკოლო საზოგადოებას აღელვებს. დილემის თემა შეიძლება უკავშირდებოდეს გლობალური მნიშვნელობის რომელიმე საკითხს, საქართველოს თუ მხოლოდ სასკოლო თემის რომელიმე მნიშვნელოვან და აქტუალურ პრობლემას.

დილემა ამბავია, რომელსაც ჰყავს მოქმედი პირები. ეს პირები ცხოვრებაში მოულოდნელად სხვადასხვა დილემის წინაშე დგებიან. დილემის შინაარსი შეიძლება შეეხებოდეს ეკოლოგიას, ადამიანის უფლებებს, ბიზნესს, გენდერულ თანასწორობას, ჯანსაღ კვებას, ქიმიურ ნარჩენებს და ა.შ.

დილემის შინაარსის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, მისი შეტანა შესაძლებელია როგორც ცალკე საგნის, ასევე ინტეგრირებულ გაკვეთილებზე. დილემა უნდა უკავშირდებოდეს შესასწავლ საკითხსა და იმ აქტუალურ თემას, რომელიც მოსწავლისათვის საინტერესოა და საზოგადოებას აღელვებს.

ქვემოთ წარმოდგენილი დილემის მაგალითი, შესაძლებელია, მასწავლებელმა გამოიყენოს უცხოური ენის, ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიის და რელიგიის გაკვეთილებზე.

გაკვეთილის თემაა „ატომური ელექტროსადგურის აშენება“, სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურის მოსწავლეები. საკითხზე მუშაობისას საჭიროა, სავარაუდოდ, 5-7 აკადემიური საათი.

პირველი ნაბიჯი: ღირებულებათა კონფლიქტის შეტანა დილემის სახით *(სამუშაო ფორმა: მუშაობა მთელ კლასთან)*

- თემის მიმართ ინტერესის გაღვივება მოსწავლეებში და მათი წინარე ცოდნის გააქტიურება: მაგ.: ჩერნობილის კატასტროფასთან დაკავშირებული რომელიმე ფილმიდან პატარა მონაკვეთის ჩვენება; ატომური ენერგიით გამოწვეული უარყოფითი შედეგების შემცველი ფოტოების ან სტატიების შეტანა გაკვეთილზე.
- რომელიმე პატარა ამბის/ისტორიის პროექტორით ჩვენება (ან ტექსტის ჯგუფებში დარიგება).

შესაძლებელია, მასწავლებელმა მოსწავლეებს წარუდგინს ასეთი დილემა:

ატომური ელექტროსადგური

თავართქილაძეების ოჯახი მრავალსართულიანი შენობის ერთ პატარა, ოთახნახევრიან ბინაში ცხოვრობს. მამა მშენებელია, თუმცა ერთი წელია, რაც უმუშევარია, რადგან მისი ფირმა გაკოტრდა. მამა ყოველდღე ეძებს სამსახურს, თუმცა ჯერჯერობით ვერაფერი იპოვა და არც დასაქმების პერსპექტივა ჩანს. დედა სახლის საქმეებს უძღვება და სამ შვილზე ზრუნავს. გიორგი 13 წლისაა, თინა - 12-ის და მიშკო - 3 წლის. ამას ემატება ისიც, რომ მიშკოს სერიოზული დაავადება აქვს და ძვირადღირებული მედიკამენტები სჭირდება. ოჯახს ახლობლები ეხმარებიან, თუმცა ეს დახმარება საკმარისი არ არის. ოჯახი პრობლემებს ვერ უმკლავდება. თუ მამა სამსახურს მალე ვერ იშოვის, ყველა პრობლემასთან ერთად, მიშკოს სიცოცხლე საშიშროების წინაშე აღმოჩნდება.

მათ ქალაქში სულ მალე უნდა დაიწყოს დიდი ხნის წინ დაგეგმილი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა. სამშენებლო ფირმას ესაჭიროება მუშახელი და მიშკოს მამასაც მაღალანაზღაურებადი სამსახურის შოვნის შესაძლებლობა ეძლევა.

მოსახლეობა აპროტესტებს სადგურის მშენებლობას, რადგან თვლის, რომ ის ახლოსაა მათ დასახლებასთან და მშენებლობისათვის არ არის უსაფრთხოება დაცული. მოსახლეობაში გამოკითხვა ტარდება იმის შესახებ, უნდა აშენდეს თუ არა ეს სადგური.

რა თქმა უნდა, თავართქილაძეების ოჯახისთვის მაღალანაზღაურებადი სამსახური აუცილებელია, თუმცა არ იცის, რა გადაწყვეტილება მიიღოს.

ტექსტი დილემას წარმოადგენს იმიტომ, რომ მასში დასმულია საკითხი, უნდა აშენდეს თუ არა ატომური ელსადგური. ელსადგურის აშენება, ერთი მხრივ, მიშკოს გადარჩენის წყაროა (მამის სამსახურის გამოჩენის შემთხვევაში ოჯახს შემოსავალი გაუჩნდება), მეორე მხრივ კი, მისი აშენება დიდი რისკის შემცველია. ელსადგურის აშენებისას, მაგალითად, შესაძლებელია რადიაციის გაჟონვა, რაც მრავალი ადამიანის მძიმე დაავადებას გამოიწვევს და ა.შ.; იმ შემთხვევაში კი თუ არ აშენდება ელსადგური, პატარა მიშკოს სიკვდილი გარდაუვალია, რადგან ოჯახი მის გადარჩენას ვერ შეძლებს. გამორიცხულია პრობლემის მოგვარების ალტერნატიული გზებიც, რადგან ოჯახმა ყველა სხვა არსებული გზა მოსინჯა, თუმცა უშედეგოდ.

მეორე ნაბიჯი: პირველადი გადაწყვეტილება (სამუშაო ფორმა: მუშაობა მთელ კლასთან)

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს:

- ინდივიდუალურად გამოთქვან მოსაზრება, რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მამამ?
- შეიძლება საცდელი კენჭისყრის ჩატარება: „ვინ არის მომხრე? ვინ არის მოწინააღმდეგე?“
- დისკუსიის წარმართვა: „რომელია ელსადგურში მუშაობის დაწყების მხარდამჭერი და საწინააღმდეგო მოსაზრებები?“

მესამე ნაბიჯი: პირველადი არგუმენტირება *(სამუშაო ფორმა: მუშაობა ჯგუფებში)*

- მოსაზრების დასაბუთებისათვის მოსწავლეებმა უნდა მოიძიონ სანდო არგუმენტები, რომელთაც მოსწავლეები და მასწავლებელი თემატურად აჯგუფებენ.

მეოთხე ნაბიჯი: გამოცდილების გაზიარება და არსებული ინფორმაციის ახლით შევსებისათვის მზადება *(სამუშაო ფორმა: მუშაობა მთელ კლასთან)*

მასწავლებელი მართავს დისკუსიას, რომ გააარკვიოს:

- საკმარისი ცოდნა გააჩნია თუ არა მოსწავლეს;
- რა არ იცის კონკრეტულად მოსწავლემ (რისთვისაც სვამს დამაზუსტებელ კითხვებს);
- როგორ დაგეგმოს დამატებითი ინფორმაციის მოძიების პროცესი *(სამუშაო ფორმა: თემატურ ჯგუფებში მუშაობა)*.

მეხუთე ნაბიჯი: ინფორმაციის შევსება *(სამუშაო ფორმა: მუშაობა ჯგუფებში)*

ნაკლული ცოდნის შევსების მიზნით მოსწავლეები

- ეძებენ ინფორმაციას სხვადასხვა წყაროში (მაგ. ინტერნეტი, დარგობრივი ლიტერატურა, მედია და სხვა);
- განიხილავენ მათ ჯგუფებში და აწარმოებენ დისკუსიებს;
- ამზადებენ შეჯერებულ ინფორმაციას კლასში პრეზენტაციისათვის (შესაძლებელია ისეთი პროდუქტის შექმნა ჯგუფებში, როგორიცაა გაზეთი, პოსტერი და სხვა);
- ეძებენ კონფლიქტების გადაჭრის შესაძლო ალტერნატიულ გზებს.

მეექვსე ნაბიჯი: ინფორმაციის გაცვლა *(სამუშაო ფორმა: მუშაობა მთელ კლასთან);*

მოსწავლეები

- ამზადებენ ჯგუფურ პრეზენტაციებს თემაზე „რომელი ინფორმაცია მოიძიეთ/შეაგროვეთ?“;
- უსვამენ ერთმანეთს კითხვებს მოძიებული ინფორმაციის შესახებ: „ხომ არ გექნებათ ამ ინფორმაციასთან დაკავშირებული კითხვები?“

მეშვიდე ნაბიჯი: მეორადი არგუმენტირება *(სამუშაო ფორმა: ჯგუფური მუშაობა)*

მას შემდეგ, რაც მოსწავლეებმა მოიძიეს დამატებითი ინფორმაცია და შეივსეს ნაკლული ცოდნა საკითხის შესახებ, მათ შესაძლებლობა აქვთ:

- დააზუსტონ საკუთარი არგუმენტები;
- გადაამუშავონ არგუმენტები და მოამზადონ წერილობითი მასალა ამ მიზნით;
- შეიცვალონ აზრი, თუ მათ განსხვავებული არგუმენტი ჩამოუყალიბდათ.

მერვე ნაბიჯი: ინფორმაციის სინთეზი/შეჯერება *(სამუშაო ფორმა: მუშაობა მთელ კლასთან)*

ღირებულებების კონფლიქტსა და მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით მოსწავლეები მართავენ დისკუსიებს (აქტივობა: ატომური ელექტროსადგურის აშენების მხარდამჭერი და საწინააღმდეგო არგუმენტების დისკუსია).

მეცხრე ნაბიჯი: მე-4-და მე-8 ნაბიჯების გამეორება საჭიროების შემთხვევაში *(სამუშაო ფორმა: მუშაობა ჯგუფებში და მთელ კლასთან)*

დამატებითი ცოდნის მოგროვების საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი იმეორებს მე-4 და მე-8 ნაბიჯებს, მოსწავლეები კი ემზადებიან ინფორმაციის შევსებისათვის. მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს კითხვებს: ხართ თუ არა კმაყოფილი საკუთარი არგუმენტირებით? დარჩა თუ არა პასუხგაუცემელი კითხვები? არის თუ არა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პროდუქტი საკმარისი/ სწორი? და ა.შ.

მეათე ნაბიჯი: საბოლოო პროდუქტი. სინთეზი/შეჯერება *(სამუშაო ფორმა: მუშაობა მთელ კლასთან)*

ამ მონაკვეთში მოსწავლეები ახალ კონტექსტში გამოიყენებენ შეძენილ ცოდნას (მაგალითად, ფორუმების მოწყობა მშობელთა სადამოებზე და ამ თემის განხილვა);

მეთერთმეტე ნაბიჯი: გენერალიზება/განზოგადება *(სამუშაო ფორმა: მუშაობა მთელ კლასთან)*

მასწავლებელი მართავს დისკუსიებს სხვა მონათესავე თემებზე (მაგალითად, საქართველოს პოლიტიკა ატომურ ელექტროსადგურებზე; ევროკავშირის დამოკიდებულება ატომური ელექტროსადგურების შენების საკითხზე და სხვა).

იმისათვის, რომ მასწავლებელმა ეს ნაბიჯები წარმატებით გაიაროს და დასახულ მიზანს მიაღწიოს, საჭიროა:

- შეთხზას ამბავი, რომელშიც არის ღირებულებების კონფლიქტი, ან გამოიყენოს ნამდვილი ამბავი, სადაც ეს კონფლიქტი თვალსაჩინოა;

- გააცნოს მოსწავლეებს დისკუსიის წესები და ყურადღება მიაქციოს მოსწავლეების მიერ ამ წესების დაცვას;
- გაუკეთოს ორგანიზება დისკუსიებს და კლასი გაყოს მოსაზრების მომხრე და მოწინააღმდეგე ჯგუფებად;
- შექმნას კლასში თავისუფალი და ლაღი ატმოსფერო (არ უნდა მიემხროს რომელიმე ჯგუფს; არ მიუთითოს, რომელია სწორი და რომელია მცდარი მოსაზრება და ა.შ.);
- დასვას კლასში მაპროვოცირებელი კითხვები დისკუსიების წარმართვისას (მაგ.: „რა მოხდებოდა, ყველა რომ ასე იქცეოდეს?“);
- დაეხმაროს მოსწავლეებს ნაკლული ინფორმაციის დადგენაში: „რა ინფორმაცია გაკლიათ იმისათვის, რომ თქვენი არგუმენტები უფრო მყარი იყოს?“
- დაეხმაროს მოსწავლეებს მოწინააღმდეგე ჯგუფის წევრებისთვის კითხვების დახვეწასა და დეტალიზებაში;
- შეძლოს გაკვეთილის სწორად დაგეგმვა და გაითვალისწინოს საჭირო დრო;
- საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებთან შეათანხმოს რიგი საკითხები და ა.შ.

მოსწავლეებს ყოველთვის აინტერესებთ დისკუსიები, რომლის დროსაც ისმენენ საწინააღმდეგო მოსაზრებებს და, ასევე, ძალიან უყვართ შეკითხვების დასმა. პასუხების გაცემის პროცესში ხვდებიან იმასაც, რომ მეტი ცოდნა ესაჭიროებათ დამაჯერებელი არგუმენტებისათვის. წარმოდგენილ მაგალითში: „უნდა აშენდეს თუ არა ატომური ელექტროსადგური?“ მოსწავლეებმა, სავარაუდოდ, უნდა დასვან შინაარსთან დაკავშირებული ისეთი კითხვები, როგორებიცაა: „სინამდვილეში რა მოხდა, მაგალითად, ჩერნობილში და ასეთ სავალალო შედეგები რატომ მოჰყვა?“, „რამდენად სარისკოა ის, რომ რადიაციამ გაჟონოს?“ „საერთოდ, რატომ აშენებენ ატომურ ელექტროსადგურებს, თუ ისინი ასეთი საშიშია?“ „რა არის რადიოაქტიურობა?“ „რა არის რადიაცია?“ ამ ტიპის შეკითხვები იმის საფუძველია, რომ მოსწავლეები დაინტერესდნენ, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოიძიონ დამოუკიდებლად და თანატოლები დაარწმუნონ ერთი ან მეორე მხარის სისწორეში. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ახალი ცოდნის შეძენა.

რამდენადაც თანამედროვე სკოლაში ინტეგრირებულ სწავლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, VaKE-მიდგომა სწავლების ამ ფორმას კიდევ უფრო გააძლიერებს.

წარმოდგენილი მაგალითის საფუძველზე სასწავლო მასალის ათვისება ხდება შემდეგ საგნებში:

- *გეოგრაფია და ეკონომიკა*: ენერგომომარაგება, ჩვეულებრივი და ალტერნატიული ენერგიის წარმოება, რადიოაქტიური ღრუბლების მოძრაობა (მაგ. ჩერნობილის მიხედვით); სამსახური და პროფესია;
- *ფიზიკა და ქიმია*: ატომური ენერგია; ბირთვული ელექტროსადგური; რადიოაქტივობა;
- *ბიოლოგია და გარემოსდაცვითი მეცნიერებები*: რადიოაქტიური გამოსხივებით გამოწვეული დაავადებები და გენეტიკური დარღვევები; რადიოაქტიური ნარჩენები;

- *უცხოური ენა:* ნაწყვეტი ტექსტიდან/ტექსტის მონაკვეთი; გაზეთის სტატია; ამ თემასთან დაკავშირებული საკითხავი მასალა; ანგარიში; სტატიები საკითხთან დაკავშირებულ დისკუსიებზე; სხვადასხვა განხილვები სტუდიებში და სხვა.;
- *ისტორია:* რელიგია და ღირებულებები.

გაკვეთილის ხანგრძლივობა დამოკიდებულია თემაზე, სამიზნე ჯგუფებსა და დროის ლიმიტზე.

მრავალფეროვანმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ VaKE-ით სწავლებას ძალიან კარგი შედეგი აქვს და გონივრულია მისი გამოყენება სასწავლო პროცესში (Weinberger და სხვ., 2008).

VaKE-მა ტრადიციული სასწავლო პროცესი კი არ უნდა შეცვალოს, არამედ მისი სრულყოფა უნდა შეძლოს !

VaKE მასწავლებლის მეთოდების ჩამონათვალში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს უნდა წარმოადგენდეს და ამდიდრებდეს მისი მეთოდების რეპერტუარს.

3.1. პრაქტიკული მითითებები I: VaKE-გაკვეთილის პროცესი (ნაბიჯების დეტალური აღწერა)

VaKE გამოცდილი და წარმატებული მეთოდია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და მისი ეფექტიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოარგებს მას მასწავლებელი საკუთარ სამიზნე ჯგუფს/ჯგუფებს და ცალკეულ მოსწავლეებს.

ნაბიჯი 1: ღირებულებებთან დაკავშირებული კონფლიქტის შეტანა გაკვეთილზე

1. *თემის მიმართ ინტერესის გაღვივება და მოტივაციის აღძვრა:*
ღირებულებებთან დაკავშირებული კონფლიქტის განხილვა გართულდება, თუ მოსწავლეებს მოტივაცია არ აქვთ. თემის მიმართ ინტერესის გაღვივება შეიძლება ისეთი დიდაქტიკური საშუალებების გამოყენებით, როგორებიცაა, მაგალითად, ფილმები, ფრაგმენტი ფილმიდან, საგაზეთო სტატიები, სურათები და სხვა. საფრანგეთის რევოლუციის სწავლებისას, ღირებულებითი კონფლიქტია, მაგალითად, „არის თუ არა რობესპიერი დამნაშავე? გამართლებული იყო თუ არა ის, რომ რობესპიერმა საკუთარი თანამებრძოლი - დანტონი მოაკვლევინა?“. მასწავლებელმა ამ სიტუაციაში, შეიძლება, მოსწავლეებს აჩვენოს ფილმი საფრანგეთის რევოლუციაზე ავთენტური სცენების ჩართვით.
2. *წინარე ცოდნის გააქტიურება:* წარმატებული დისკუსიისთვის აუცილებელია, რომ მოსწავლეები გარკვეულ წინარე ცოდნას ფლობდნენ. ამ ცოდნის მიღება შესაძლებელია თემასთან დაკავშირებული წიგნის წაკითხვით (კონფლიქტისას - „არის დანტონი დამნაშავე?“. გ. ბიუხნერის „დანტონის სიკვდილი“). ეს წიგნი შეიძლება იყოს გეორგ ბიუხნერის „დანტონის სიკვდილი“ ან ფილმის მონაკვეთი,

საგაზეთო სტატია და ა.შ., რომელთაც მასწავლებელი შემდგომ გამოიყენებს დიდაქტიკური მიზნებისთვის.

3. *ღირებულებითი კონფლიქტის, შესაბამისად, ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსის ისტორიის წარდგენა:* მასწავლებელი მოსწავლეებს წარუდგენს ღირებულებით კონფლიქტს განსხვავებული და ღირებულებებთან დაკავშირებული ურთიერთგამომრიცხავი ისტორიების სახით. ამისათვის მან შეიძლება მოამზადოს სლაიდშოუ ან ტექსტი და წარუდგინოს მოსწავლეებს. მოსწავლეები გაეცნობიან წინააღმდეგობრივ ისტორიებს.
4. *ღირებულებებზე მუშაობა:* მოსწავლეები ეცნობიან იმ ამბავს, რომელშიც რობესპიერმა საკუთარი ქმედება რესპუბლიკის შექმნის რევოლუციური მიზნით გაამართლა და განიხილავენ ამ ამბავს ალგორითმით: „დამნაშავეა“ vs „უდანაშაულოა“. საპირისპირო ღირებულებები ერთობლივად განიხილება და მუშავდება. შეიძლება მოხდეს ისე, რომ მოსწავლეებმა სხვა ღირებულებები ან განსხვავებული მოსაზრება წამოსწიონ წინ, მაგალითად, „სიმართლე“ (რობესპიერი მანიპულირებს სასამართლოში დანტონის წინააღმდეგ) და ა.შ.
5. *კონფლიქტის მოგვარების ალტერნატიული გზების გამორიცხვა:* ზოგიერთი მოსწავლე ცდილობს მორალური კონფლიქტისგან თავის არიდებას და პრობლემების გადაჭრის სხვა გზებს ეძებს. თუმცა, ღირებულებების სწორად შეფასება მხოლოდ მაშინ გამომუშავდება მოსწავლეებში, თუ ისინი ღირებულებით კონფლიქტს ჩაუღრმავდებიან. მომხრე და მოწინააღმდეგე მოსაზრებებს შორის დისკუსიის გამართვა მეტად მნიშვნელოვანია და ძალდატანებითი გადაწყვეტილების მიღებას არ აიძულებს მოსწავლეებს. მასწავლებელი ხაზს უსვამს იმას, რომ კონფლიქტის გადაჭრის სხვა საშუალებები ამოწურულია. ამას მოსდევს მოკლე ფაზა, რომელშიც მოსწავლეები საკუთარ მოსაზრებებს ეძებენ.
კონფლიქტის გადაჭრის ალტერნატიული გზები მე-5 ნაბიჯშია (ინფორმაციის მოძიება) წარმოდგენილი.

ნაბიჯი 2: პირველი გადაწყვეტილება

- 1) *გადაწყვეტილების და საკუთარი მოსაზრების წერილობით სახით მომზადება:* კარგია, თუ მოსწავლეები თავიანთ გადაწყვეტილებას და მოსაზრებას წინასწარ კენჭისყრამდე წერილობით მოამზადებენ. სხვა შემთხვევაში, შეიძლება მოხდეს ისე, რომ წინასწარი კენჭისყრისას შედარებით ნაკლებად თავდაჯერებული მოსწავლეები დომინანტურ მოსწავლეს მიემხრონ;
- 2) *წინასწარი კენჭისყრის ჩატარება:* ამ მომენტისთვის მოსწავლეთა პირველი გადაწყვეტილება უკვე არსებობს. ამ დროს მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ გადაწყვეტილების მისაღებად მეტი ცოდნაა საჭირო.
წინასწარი კენჭისყრით - „ვინ არის მომხრე? ვინ არის მოწინააღმდეგე?“ ხდება პირველადი დაყოფა მომხრე და მოწინააღმდეგე ჯგუფებად;
- 3) *დისკუსიის შესაძლებლობების შეფასება:* მასწავლებელმა უნდა შეაფასოს დისკუსიის შესაძლებლობები. არის თუ არა ორივე ჯგუფში თანაბარი რაოდენობის მოსწავლე? შესაძლებელია თუ არა, თითოეული პოზიცია თანაბრად იქნას განხილული? რაოდენობრივად მკვეთრად განსხვავებულმა ჯგუფებმა შეიძლება მოკლე და

არაპროდუქტიულ დისკუსიამდე მიგვიყვანოს. შეიძლება, ასევე, მოსწავლეებმა სუბიექტური და დაუსაბუთებელი არგუმენტებით დაიწყონ დებატი. როდესაც კენჭისყრისას მოსწავლეთა ჯგუფებს შორის თანაფარდობა 7:3-ზე, ან მეტია, შესაძლებელია, გაიმართოს საინტერესო დებატები, თუ

- ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი პოზიციის მქონე მონაწილეები მცირე ჯგუფებს გააძლიერებენ;
- მცირე ჯგუფის მონაწილეები რიტორიკულ უნარებს ფლობენ;
- მასწავლებელი წინააღმდეგობრივ ისტორიას ხელახლა წარადგენს და „სუსტ“ ღირებულებაზე/პოზიციაზე გააკეთებს აქცენტს.

- 4) *მოჩვენებითი დაპირისპირების დაუშვებლობა*: მოჩვენებითი დაპირისპირებაა, როდესაც მასწავლებელი მოსწავლეებისგან მათი მოსაზრების საპირისპიროდ, სხვა ჯგუფის პოზიციის არგუმენტირებას სთხოვს. ამას არაპროდუქტიულ დისკუსიამდე მიგყვართ. მოჩვენებითი დაპირისპირება თავიდან უნდა ავიცილოთ. ღირებულების გააზრება მხოლოდ ავთენტური დაპირისპირებით მიიღწევა და ეს მაშინ ხდება, როდესაც მოსწავლე საკუთარ და სხვის ღირებულებას აფასებს; იმ ღირებულებაზე აკეთებს სწორებას, რომელიც უფრო მაღალ დონეზეა. სხვა პოზიციის შესახებ მოსაზრების გამოთქმა შეიძლება როლური თამაშების დროს („ნაბიჯი 8“, ან „ნაბიჯი 10“). თუ მასწავლებელი ჩაატარებს სასამართლო პროცესს, დისკუსიას, მაშინ მოსწავლეები თამაშობენ ისეთი ადამიანების როლებს, რომელთა მოსაზრებაც მათ საკუთარ აზრს არ ემთხვევა.

ნაბიჯი 3: პირველი არგუმენტირება

- 1) *ჯგუფების შედგენა*: 3-4 მონაწილისგან მცირე ჯგუფების შედგენა. მნიშვნელოვანია, რომ ჯგუფის წევრებს შეეძლოთ განსხვავებული მოსაზრების წარმოდგენა.
- 2) *არგუმენტების გაცვლა და პრიორიტეტების მიხედვით დალაგება*: ჯგუფების დავალებაა, ერთმანეთს გააცნონ არგუმენტები, ერთობლივად მოიძიონ 2-3 ძლიერი არგუმენტი და კონტრარგუმენტი დროის დადგენილ მონაკვეთში პრიორიტეტების მიხედვით დააღაგონ და დაწერონ.

ნაბიჯი 4: გამოცდილების გაზიარება და არასრულყოფილი ინფორმაციის აღმოჩენა

- 1) *გამოცდილების გაზიარება*: ამ დროს სასურველია საკლასო გარემოს ისე მოწყობა, რომ ის ხელს უწყობდეს მოსწავლეებს შორის აზრთა გაზიარებას. მაგალითად, სკამები უნდა განლაგდეს წრიულად და საწინააღმდეგო აზრის მქონე ჯგუფები ურთიერთსაპირისპიროდ დასხდნენ. მოსწავლეთა ასეთი განლაგება ამძაფრებს მათ ინტერესს. მოსწავლეებს ყოველთვის აინტერესებთ, რომელი ჯგუფი წარმოადგენს ყველაზე ძლიერ არგუმენტს, რომელი იქნება დებატებში უფრო დინამიური და ა.შ. ბავშვებს ამ დროს გამარჯვების სურვილი უჩნდებათ. მასწავლებელი მოსწავლეებს ახსენებს დისკუსიის წესებს და ხაზს უსვამს იმას, რომ მნიშვნელოვანი არგუმენტები ერთობლივად არის მოსაძებნი. კონკურენციის ატმოსფერო მცირდება, თუმცა დისკუსიის დინამიურობა შენარჩუნებულია.
- 2) *თავისუფალი საკლასო გარემოს შექმნა*: წარმატებული დისკუსიისთვის გადამწყვეტი წინაპირობა თავისუფალი საკლასო გარემოა. ასეთ გარემოში

მოსწავლეებს თავისუფლად შეუძლიათ საკუთარი აზრის გამოხატვა და არ ეშინიათ, რომ რაიმე „არასწორს“ ან „სასაცილოს“ იტყვიან.

მოსწავლეებმა იციან, რომ:

- ყველა არგუმენტი დასაშვებია; არ არსებობს „კარგი“, ან „ცუდი“ არგუმენტი; არსებობს კარგი და უკეთესი;
- დისკუსიის შედეგს განსაზღვრავს წესებზე შეთანხმება (იხ. ილუსტრაცია 5);
- შესაძლოა დისკუსიის დამოუკიდებლად ჩატარება. ამ დროს მოსწავლეები თავად განსაზღვრავენ, ჯგუფის რომელმა წევრმა უნდა უპასუხოს მოწინააღმდეგეს;
- საჭიროა პასიური მოსწავლეების გამხმევება იმ მიზნით, რომ მათ დისკუსიაში მონაწილეობა შეძლონ,
- საჭიროა სუსტი მოსწავლეების დახმარება არგუმენტების ჩამოყალიბებაში.

დისკუსიის წესები

- სანამ საკუთარ არგუმენტს იტყვი, საპირისპირო არგუმენტის მოკლე შინაარსი თქვი! („შენ თქვი, რომ... მე ვფიქრობ, რომ ...“)
- დააცადე სხვას აზრის გამოთქმა!
- ხელი აიწიე, როცა რაიმეს თქმა გსურს!
- როდესაც ერთხელ უკვე თქვი შენი აზრი, სულ მცირე ორი სხვა პიროვნების შემდეგ აიწიე ხელი კვლავ რაიმეს სათქმელად!
- ვისაც მიმართავ, მასთან თვალეებით კონტაქტი გქონდეს!
- მხოლოდ საქმიანი არგუმენტები გააჟღერე და არანაირი აგრესია არ გამოხატო!
- პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზა ემეზე სხვებთან ერთად!
- საჭირო არაა გვერდითი საუბრები!
- არასდროს დასცინო სხვის აზრს!

ილუსტრაცია 5: დისკუსიის წესები

- 3) *დისკუსიის მართვა*: თუ ამის საჭიროებაა, მასწავლებელიც ერთვება დისკუსიაში. ის აძლიერებს იდეების კონფრონტაციას ძლიერი არგუმენტებით. შემოაქვს უყურადღებოდ მიტოვებული არგუმენტები და ერევა დისკუსიაში. მცირე ასაკის, ან დაბალი აკადემიური მოსწავრების მოსწავლეთა შემთხვევაში, ბლატისა და კოლბერგის მიხედვით (შდრ. Blatt, M. & Kohlberg, L. 1975), მასწავლებელმა უნდა მართოს დისკუსია, რომ დისკუსიის პოზიტიური ეფექტი უზრუნველყოს.
- 4) *მაპროვოცირებელი კითხვების დასმა*: მასწავლებლის მიერ დასმული მაპროვოცირებელი კითხვები მოსწავლეებს ეხმარება შეფასებაში, გადაწყვეტილების მიღებასა და დასაბუთებაში. ამ დროს მოსწავლეები ღირებულებით კონფლიქტს შემდეგისდაგვარად მრავალი პერსპექტივიდან ხედავენ და აქვთ უნარი, პრობლემა ამ პერსპექტივების შეფასების საფუძველზე გადაჭრან. მაპროვოცირებელი კითხვები წინ წამოიწევენ იმ პრობლემებს, რომლებიც უბრალოდ კამათის შემთხვევაში უყურადღებოდ დარჩებოდა.

- 5) „ბოლომდე კამათის“ საშუალება: როდესაც მოსწავლეებს „ბოლომდე კამათის“ საშუალება ეძლევათ, ისინი ეცნობიან ყველა შესაძლებელ არგუმენტს და უკეთ ხედავენ კონფლიქტის მრავალმხრივობას. ერთი შეხედვით, შეიძლება ეს თემიდან გადახვევადაც შეფასდეს, მასწავლებელს მოეჩვენოს, რომ ჩარევის დროა და კონფლიქტზე ყურადღების გადატანაა საჭირო. მასწავლებლის ჩარევა მხოლოდ მაშინაა საჭირო, როდესაც მოსწავლეები ვეღარ ამჩნევენ, რომ თემიდან გადახვევა პოზიციის ჩამოყალიბებას და დისკუსიის პროცესის მსვლელობას უშლის ხელს.
- 6) *ჯგუფის შეცვლის საშუალება*: შესაძლებელია, რომ დისკუსიის მსვლელობისას ზოგიერთმა მოსწავლემ პოზიცია შეიცვალოს. ზოგჯერ ეს გაუცნობიერებლადაც ხდება. თანაკლასელები კითხვასაც კი უსვამენ ასეთ მეგობარს „ვის მხარეს ხარ?“. ჯგუფის შეცვლა იმის ნიშანია, რომ მოსწავლეს საკუთარი არგუმენტი სანდოდ აღარ ეჩვენება, ან საპირისპირო არგუმენტი უფრო დამაჯერებელი ჰგონია. ამ შემთხვევაში, მას შეუძლია ჯგუფის შეცვლა, რომ ავთენტიკურად შეძლოს არგუმენტირება.
- 7) *შინაარსთან დაკავშირებული კითხვების დასმა*: საკითხის შინაარსის ცოდნა მნიშვნელოვანია არგუმენტირებისთვის. VaKE-ის მეხუთე ნაბიჯიც ცოდნის შეძენასა და განმტკიცებას ემსახურება. როდესაც მასწავლებელი აღმოაჩენს, რომ მოსწავლეთა არგუმენტებს აკლია ცოდნით განმტკიცება, მას შეუძლია მოსწავლეებს ჰკითხოვს: „უფრო ცხადი გადაწყვეტილებისთვის რისი ცოდნაა საჭირო?“, „რის გაგებას ისურვებდით ამ თემასთან დაკავშირებით?“
- 8) *ღია საკითხების შეჯამება*: მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ყველა არგუმენტს დაამუშავებენ, მასწავლებელთან ერთად გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ღიად დარჩენილ საკითხებს აჯამებენ.

მაპროვოცირებელი კითხვები

* ემპათიის ხელშესაწყობად

მაგ., ნეტავ, რას ფიქრობს (გრძნობს, განიცდის, სურს) დანტონის ცოლი? რას იფიქრებდა (იგრძნობდა, ისურვებდა) ფრანგი ხალხი, როცა გაიგებდა, რომ რობესპიერმა გავლენა მოახდინა დანტონის წინააღმდეგ წარმოებულ სასამართლო პროცესზე?

* როლების გასაცვლელად

მაგ., როგორ შეაფასებდა მოწინააღმდეგე მხარე ამ პრობლემას?

* უბიძგო მონაწილეობისკენ

მაგ., რას ფიქრობ ამასთან დაკავშირებით და რატომ?

* ცნების განსამართლად

მაგ., რას გულისხმობ „გულახდილობაში“?

* ღირებულებითი შეფასების ვალიდურობის განსაზღვრა

მაგ., რა მოხდება, ამას რომ ყველა აკეთებდეს? კარგია ის, რაც შესაბამის კულტურულ გარემოში მისაღებია?

* უფრო დეტალური დასაბუთებისთვის

მაგ., რატომ ფიქრობ ასე?

*** დასაბუთების, შესაბამისად ფაქტების გადამოწმება**

მაგ., სწორია, როგორც შენმა კლასელმა თქვა, რომ რობესპიერის ქმედებები პიროვნულ აშლილობაზე მეტყველებს?

*** ინფორმაციის შესაგროვებლად**

მაგ., რომელი ფაქტები გაამყარებდა შენს არგუმენტს?

ილუსტრაცია 6: მაპროგოცირებელი შეკითხვები დებატებისას

9. *შინაარსობრივი სფეროების განსაზღვრა:* მოსწავლეები განსაზღვრავენ იმ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებზეც მეტი ცოდნის შეძენა სურთ. თუ მოსწავლეებმა ვერ შეძლეს მნიშვნელოვანი საკითხების შერჩევა, მასწავლებელი ამ საკითხებს თავად სთავაზობს ან მიანიშნებს: „ერთად მოვიძიოთ უფრო ძლიერი არგუმენტი და კონტრარგუმენტი!“

ნაბიჯი 5: ინფორმაციის მოძიება

- 1) *მოსწავლეების ჯგუფებში განაწილება:* სასურველია თუ ინფორმაციის მოძიებას ღირებულებითი კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს მყოფი მოსწავლეები ჯგუფურად განახორციელებენ, რის შედეგადაც შეგროვდება გასხვავებული ინფორმაციები არგუმენტებისა და კონტრარგუმენტებისთვის. სასურველია ჯგუფში გაერთიანდეს 4-6 მოსწავლე წილის ყრით, ან ერთნაირი ინტერესების მიხედვით. მოსწავლეები ახალ პერსპექტივებს გაეცნობიან ერთმანეთისგან.
- 2) *გაკვეთილის პროდუქტის განსაზღვრა:* ჯგუფების შექმნის შემდეგ უნდა გაირკვეს:
 - a. რა პროდუქტს შექმნიან მოსწავლეები ბოლოს (მაგ., პლაკატი, პოსტერი, კომპიუტერით პრეზენტაცია, გაზეთი, ჟურნალი, ბროშურა, ვებგვერდი, ვიდეო, თეატრალური ტექსტი, საბრალდებო/დასაცავი სიტყვა სასამართლო განხილვისთვის და ა. შ.) და
 - b. რა სახის უკუკავშირი უნდა მისცეს მასწავლებელმა პროდუქტის შექმნის შემდეგ ამ პროდუქტთან დაკავშირებით.შეიძლება, ჯგუფმა საბოლოო პროდუქტის მხოლოდ ერთი ელემენტი მოამზადოს, ან სხვადასხვა ჯგუფმა სხვადასხვა შინაარსისა და ღირებულების მქონე პროდუქტზე იმუშაოს. სწავლის პროცესის გააზრების მიზნით, მოსწავლეები ინიშნავენ და ამუშავებენ მოპოვებულ ინფორმაციას. ეს ინფორმაციის გაცვლის თვალსაზრისითაც სასარგებლოა. ამას გარდა, მასწავლებელმა იცის, როგორია სწავლის პროგრესი. საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს მითითებებს და უყურადღებოდ დატოვებულ საკითხებზე უსვამს მათ კითხვებს. ინფორმაციის მოძიების პროცესში შეიძლება, მოსწავლეებმა კონფლიქტის გადაჭრის ალტერნატიული გზები ეძიონ და კრეატიული იდეები გააანალიზონ.
- 3) *გაკვეთილის/გაკვეთილების დროში გაწერილი გეგმის შეთანხმება:* მასწავლებელი მოსწავლეებს უთანხმებს ინფორმაციის მოძიებისა და პროდუქტის დამზადებისთვის საჭირო დროს. მაგალითად, გაზეთის მომზადებას მეტი დრო სჭირდება, ვიდრე დისკუსიის გამართვას. ამასთანავე, ინფორმაციის მოძიების ხანგრძლივობა დამოკიდებულია შესასწავლ თემაზე. გამოცდილებიდან

გამომდინარე, VaKE- გაკვეთილი რამდენიმე აკადემიური საათი გრძელდება (შდრ. Weinberger და სხვ. 2008, Weinberger და სხვ. 2006).

- 4) *ინფორმაციის წყაროების შეთავაზება*: მოსწავლეები ინფორმაციის მოსაძიებლად სხვადასხვა წყაროს ეცნობიან. მასწავლებელს შეუძლია, მათ შესთავაზოს ლექსიკონები, დარგობრივი ლიტერატურა, მასალა სახელმძღვანელოდან და ა. შ.), ან სთხოვოს მათ, მოიძიონ საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით. შეიძლება, მოსწავლეებმა ინფორმაცია სკოლის ბიბლიოთეკაში, ექსპერტებთან პირისპირ საუბრისას, ან სატელეფონო ინტერვიუებითაც მოიძიონ. მაგალითად, ღირებულებითი კონფლიქტისას - „რობესპიერი დამნაშავეა?“ ბავშვებს შეუძლიათ, ინფორმაცია ინტერნეტით და გეორგ ბიუხნერის „დანტონის სიკვდილის“ ავთენტიკური ტექსტიდან მოიძიონ. როდესაც მასწავლებელი ბავშვებს სთხოვს ინფორმაციის მოძიებას, უნდა გაითვალისწინოს მათი ასაკი, ინტერესების მრავალფეროვნება და შესაძლებლობები.
- 5) *მოსწავლეთა მიერ პროდუქტის შექმნის დროს მასწავლებელი*
 - აძლევს მიმართულებას მოსწავლეს საბოლოო პროდუქტის შექმნაში და, საჭიროების შემთხვევაში,
 - o ეხმარება დაბალი მოსწრების მქონე მოსწავლეებს (მაგალითად, გადაიწერონ მასთან ერთად ტექსტი წყაროდან);
 - o ეხმარება მათ საგაზეთო გვერდის აწყობაში და ა.შ;
 - უსვამს დამატებით კითხვებს, აწვდის იდეებს, აძლევს მითითებებს და რჩევებს, რომ გამორჩენილ საკითხებზეც იფიქრონ.

ნაბიჯი 6: ინფორმაციის გაცვლა (პრობლემების გადაჭრის სანდოობის შემოწმება)

- 1) *მოძიებული ინფორმაციის პრეზენტაცია*: ყველა ჯგუფი წარადგენს მოძიებულ ინფორმაციას და განმარტავს, რა პროდუქტის შექმნა გადაწყვიტეს. ამგვარად, თითოეულ მოსწავლეს ექმნება თემაზე ფართო წარმოდგენა, ეცნობა სხვა ჯგუფების მიერ მოძიებულ ინფორმაციას და ამოწმებს საკუთარ უნარს პრობლემების გადაჭრის სანდოობის კუთხით. ინფორმაციის გაზიარება მშვიდ ატმოსფეროში ხდება (მაგ, სკამების წრეში). ინფორმაციის გაზიარების პროცესში მონაწილეობენ სხვადასხვა აკადემიური მოსწრების მოსწავლეები.
- 2) *შედეგების განხილვა*: ჯგუფის პრეზენტაციის შემდეგ იწყება დისკუსია. დისკუსია წარმატებული იქნება, თუ:
 - მოსწავლეები სხვა ჯგუფების პრეზენტაციისას შეკითხვებს ინიშნავენ,
 - ისინი შეკითხვებს უსვამენ მთელ ჯგუფს, და არა მის რომელიმე წევრს,
 - მასწავლებელი ინიშნავს იმ საკითხებს, რომლებიც მოსწავლეებმა არ განიხილეს, ან იმ კითხვებს, რომლებსაც ვერ ან არასწორად უპასუხეს.ეს მნიშვნელოვანია, რადგან ცოდნის მოძიების, ანუ ინფორმაციის დაზუსტების პროცესი შეიძლება კიდევ გაგრძელდეს. ბოლოს მასწავლებელი აჯამებს დისკუსიას.

ნაბიჯი 7: მეორე არგუმენტირება

- 1) *არგუმენტების ჩამოყალიბება მოძიებული ცოდნის საფუძველზე.* მასწავლებელმა უნდა შეახსენოს მოსწავლეებს, რომ ინფორმაციის მოძიების მიზანი სანდო არგუმენტების ჩამოყალიბებაა.
- 2) *არგუმენტების გაზიარება:* როგორც მესამე ნაბიჯზე, მოსწავლეები აქაც ცვლიან არგუმენტებს მცირე ჯგუფებში. მათ, შეიძლება, საკვანძო სიტყვების სახით ჩაინიშნონ მნიშვნელოვანი ფაქტები, რაც შემდგომი დისკუსიისას გამოადგებათ.

ნაბიჯი 8: ინფორმაციის სინთეზი (შდრ. ნაბიჯი 4)

ერთსა და იმავე საკითხზე რუტინულად მუშაობა, შეიძლება, მოსაწყენი გახდეს. დისკუსიის დაწყებამდე მასწავლებელმა, შეიძლება, მოსწავლეებს სთხოვოს მოწინააღმდეგეთა არგუმენტები თანამიმდევრობით დააღაგონ, ან შეფასების სკალის გამოყენებით შეაფასონ ისინი.

ნაბიჯი 9: საჭიროების შემთხვევაში ნაბიჯების 4-8 გამეორება

- 1) *ახალი საკითხების განმარტება:* დისკუსიისას, შესაძლებელია, გაჩნდეს ისეთი საკითხები, რომელთა განმარტებაცაა საჭირო. საფრანგეთის რევოლუციასთან დაკავშირებული ღირებულებითი კონფლიქტის განხილვისას მეორე დისკუსიისას წამოიჭრა კითხვა, რომელიც რობესპიერის სასჯელის შესაძლო სიმძიმეს ეხებოდა. მოსწავლეებმა მოიძიეს ინფორმაცია საკანონმდებლო ბაზის შესახებ.
- 2) *ახალი ღირებულებითი კონფლიქტების განხილვა:* შესაძლებელია, ახალი ცოდნის შეძენასთან ერთად, ახალი ღირებულებითი კონფლიქტი გამოჩნდეს, რომლის განხილვისთვის საკმარისი ცოდნა მოსწავლეებს არ გააჩნიათ.

ნაბიჯი 10: საბოლოო პროდუქტის სინთეზი

მნიშვნელოვანია შეძენილი ცოდნის გამოყენება ახალ კონტექსტში, რა დროსაც მნიშვნელოვანია არგუმენტაცია.

არგუმენტებისთვის შესაძლებელია შემდეგი მეთოდების გამოყენება:

- *ინტერვიუ მშობლებთან ან სხვა პირებთან.* მოსწავლეები ეკითხებიან მათ აზრს ღირებულებით კონფლიქტთან დაკავშირებით, რაც კონფლიქტის მოგვარების საკუთარი გზების წარდგენისას შეიძლება გამოადგეთ;
- *საჯარო დისკუსია მშობლებთან ან სხვა პირებთან.* დისკუსიაში მონაწილე პირები იყოფიან მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. მათ შორის იმართება დისკუსია. მოსწავლეებს შეუძლიათ თითოეული ჯგუფის ცალკეულ წევრს დაუსვან კითხვები, რომლებიც დისკუსიას უფრო საინტერესოს გახდის;
- *პრესკონფერენცია:* მოსწავლეები საკუთარ შედეგებს პრესკონფერენციაზე წარმოადგენენ;
- *პროდუქტის პრეზენტაცია და დისკუსია:* პროდუქტის პრეზენტაციის შემდეგ შეიძლება გაიმართოს დისკუსია დამსწრე საზოგადოებასთან.

გაკვეთილზე როლური თამაშები კარგ შედეგს იძლევა. როლური ატრიბუტები (მაგ., სპეციფიური ტანსაცმელი, ან ტანსაცმლის ერთ დეტალი) აძლიერებს კონკრეტულ პიროვნებასთან იდენტიფიცირების განცდას და ამ დროს როლების არევის რისკი მცირდება. გაკვეთილზე შეიძლება გამოიყენოთ შემდეგ როლური თამაშები:

- *სასამართლო პროცესის ინსცენირება*: მრავალი ღირებულებითი კონფლიქტი საშუალებას იძლევა, გათამაშდეს სასამართლო პროცესი (მაგ., „რობესპიერი დამნაშავეა?“). მონაწილეები თამაშობენ როლებს და შეუძლიათ, არაავთენტური არგუმენტებიც წარმოადგინონ. პუბლიკა კი ნაფიცი მსაჯულების როლში ესწრება პროცესს;
- *დისკუსია*: შესაძლოა სატელევიზიო დისკუსიის ინსცენირების მოწყობა;
- *თეატრი-ფორუმი*: თეატრალური ინსცენირების სახით წარმოადგენენ ღირებულებით კონფლიქტს, რა დროსაც პუბლიკაც ჩართულია გადაჭრის გზების ძიებისას.

ნაბიჯი 11: განზოგადება

დისკუსია მონათესავე თემებზე: იმართება ერთობლივი დისკუსია სხვა მონათესავე თემებზეც. მაგალითად, VaKE-გაკვეთილზე საფრანგეთის რევოლუციასთან დაკავშირებით დისკუსია გაიმართა სხვა რევოლუციებზე, მათ მიზნებსა და მიზეზებზე. ნიმუშად გამოდგება ამერიკის რევოლუცია დამოუკიდებლობისთვის, რუსეთის რევოლუცია, ჩინეთის კულტურული რევოლუცია და სხვა.

3.2. პრაქტიკა II: VaKE - გაკვეთილის დაგეგმვა

3.2.1. მომზადება

VaKE - კონცეფციის გამოყენება შესაძლებელია როგორც ერთ საგანში, ასევე ინტეგრირებულად. ის შესაძლებელია ძალიან შემჭიდროებულ ვადებში, ერთ გაკვეთილზე განხორციელდეს. თუმცა, გამოცდილებიდან გამომდინარე, რამდენიმე გაკვეთილზე მისი შეტანა უფრო მიზანშეწონილია, რადგან ვრცელი ინფორმაციის მოსაძიებლად გარკვეული დროა საჭირო.

VaKE-ის ხანგრძლივობას განსაზღვრავს გაკვეთილის საბოლოო პროდუქტიც, ასევე - ცოდნის შეძენისთვის საჭირო დრო. VaKE-გაკვეთილის მოსამზადებლად გასათვალისწინებელია შემდეგი ნაბიჯები:

1) მოსწავლეთა წინაპირობების დადგენა

- აქვთ თუ არა მოსწავლეს ავტონომიური სწავლის გამოცდილება (მაგ., მიზნის დასახვის, დროის გეგმის შედგენისა და განხორციელების, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიების უნარი)?
- შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს ინფორმაციის მომზადება (ფლობენ თუ არა სწავლის ისეთ ტექნიკებს, როგორიცაა, მაგალითად, ტექსტიდან მნიშვნელოვანი ინფორმაციის იდენტიფიცირება და სხვა)?

2) თემის დადგენა და სასწავლო გეგმასთან შესაბამისობის განსაზღვრა

VaKE-ს ტიპის გაკვეთილისთვის ყველა თემა არ გამოდგება. მნიშვნელოვანია, რომ თემა სხვადასხვა პერსპექტივიდან განხილვის საშუალებას იძლეოდეს (მაგ. ისტორიული მოვლენების შეფასება, საბუნებისმეტყველო თემები, ტექნიკური გამოგონებები). აუცილებელია, თემა იყოს სასწავლო გეგმის ნაწილი.

3) ღირებულებითი კონფლიქტის შედგენა

ღირებულებითი კონფლიქტის შედგენისას, მასწავლებელმა პასუხი უნდა გასცეს კითხვას: „რა უნდა იცოდეს მოსწავლემ, რომ გადაწყვეტილება მიიღოს?“. აქ ის ცოდნა მოიაზრება, რომელიც VaKE გაკვეთილზე მოსწავლემ უნდა შეიძინოს.

4) საფუძვლიანი ანალიზი

დაგეგმვის დროს მასწავლებელმა უნდა შეისწავლოს ღირებულებითი კონფლიქტის სხვადასხვა პერსპექტივა. წინასწარ მოიძიოს წყაროები. მოსწავლეებმა ღირებულებითი კონფლიქტი შეიძლება ისე გადაჭრან, რომ სხვადასხვა სასწავლო საგანს დაუკავშირდეს. ამიტომ, ბევრი ფაქტის, არგუმენტისა, თუ კონტრარგუმენტის ცოდნაა საჭირო.

5) საპირისპირო პერსპექტივების გადამოწმება

მასწავლებელმა უნდა გადაამოწმოს:

- თანაბარზომიერია თუ არა შეპირისპირებული ღირებულებები, მნელი ხომ არ არის ალტერნატიულ ქმედებებს შორის რომელიმეზე არჩევანის შეჩერება, თუ ერთმნიშვნელოვნად საუკეთესო გამოსავალი არსებობს? შეიძლება, მან სხვა კლასის მოსწავლეებთან გამოსცადოს არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების თაბარზომიერება და დააკვირდეს, რამდენად ადვილი იყო გადაწყვეტილების მიღება;
- საჭიროა თუ არა დამატებითი ცოდნა გადაწყვეტილების მისაღებად? სხვა შემთხვევაში, ღირებულებითი კონფლიქტის გამოყენება VaKE-გაკვეთილისთვის გამოუსადეგარია.

6) გაკვეთილის ორგანიზება

VaKE-გაკვეთილის ჩატარებამდე უნდა გაირკვეს შემდეგი საკითხები:

- რამდენი გაკვეთილი დაეთმობა თემის შესწავლას?
- გაკვეთილი ერთი საგნის ფარგლებში უნდა ჩატარდეს თუ ინტეგრირებულად?
- ვის უნდა ვაცნობოთ გაკვეთილის შესახებ (მაგ., კოლეგები, მშობლები)?
- როგორ უნდა წარმოადგინონ მოსწავლეებმა შედეგები, ანუ პრეზენტაციის რომელი ფორმები უნდა გამოიყენონ მათ?
- რომელ წყაროებს უნდა გაეცნონ? (ბეჭდვითი მასალა, ინტერნეტი და სხვა)

- რა მეთოდით უნდა წარადგინოს მასწავლებელმა დილემის ამბავი (მაგ., ფილმის მონაკვეთის ჩვენებით; ფოტოსურათის წარდგენით და სხვა)?
- რომელი საგანმანათლებლო სტრატეგიები უნდა გამოყენოს მასწავლებელმა, რომ მოსწავლეებმა საჭირო ცოდნა მოიძიონ? რა რესურსებს (ფილმები, საგაზეთო სტატიები, დოკუმენტები და სხვ.) უნდა გაეცნონ მოსწავლეები?
- როგორ უნდა გადამოწმდეს შეძენილი ცოდნა (მაგ., პრეზენტაცია, წერილობითი ნამუშევრის შემოწმება და სხვ)?

7) მიზნების დასახვა

გაკვეთილის ზოგადი მიზნები თავიდანვე უნდა განისაზღვროს მოსწავლეებთან ერთად, ხოლო სპეციფიკური მიზნები (კონკრეტულად რა საკითხზე უნდა მოიძიოს ინფორმაცია ცალკეულმა მოსწავლემ) - VaKE - პროცესის მესამე ნაბიჯის ბოლოსთვის (დისკუსია მთელ კლასთან).

3.2.2. წინაპირობები

- *მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის პასუხისმგებლობის გადანაწილება*

მასწავლებელი გაკვეთილზე მოსწავლეებს აცნობს VaKE-გაკვეთილის თავისებურებებს, მასწავლებლისა და მოსწავლეების როლსა და პასუხისმგებლობას.

სანამ მასწავლებელი დაგეგმავს და შეათანხმებს მოსწავლეებთან როლების გადანაწილებას, მნიშვნელოვანია, გაიაზროს, როგორ იმუშავებს ასე დაგეგმილი გაკვეთილი, და კერძოდ:

- შეიძენენ თუ არა ჩემი მოსწავლეები საკმარის ცოდნას;
- როგორ შევინარჩუნებ დისციპლინას;
- რატომ უნდა ველოდო ამჯერად უკეთეს შედეგს, რადგან ჩემი გამოცდილება ავტონომიურ სწავლასთან დაკავშირებით ძირითადად ნეგატიურია და სხვა.

მოზარდებს მხოლოდ ნაბიჯ-ნაბიჯ შეუძლიათ პასუხისმგებლობის აღება. მთელ პროცესზე პასუხისმგებლობა და ყველაფრის დამოუკიდებლად სწავლა მათთვის ზედმეტი ტვირთია. თუ მასწავლებელი რეგულარულად ატარებს კონსტრუქტივისტურ გაკვეთილებს, მისი მოსწავლეებისთვის ბევრი რამ ნაცნობი იქნება. ხოლო თუ მოსწავლეებს კონსტრუქტივისტური სწავლების გამოცდილება არ აქვთ, სასურველია, მასწავლებელმა VaKE-გაკვეთილის წინა გაკვეთილზე ჩართოს კონსტრუქტივისტური სწავლების ისეთი ელემენტები, როგორებიცაა, მაგალითად:

გაკვეთილზე დისკუსიების წილის გაზრდა;

- მოსწავლეებისათვის ინფორმაციის მოძიება და დახარისხება;
- და ა.შ.

- *მოულოდნელი სასწავლო შედეგებისათვის მზაობა*

მოსწავლეები საკუთარ სასწავლო პროცესზე თავად არიან პასუხისმგებელნი და ხშირ შემთხვევაში პრობლემას სწრაფად ჭრიან. მასწავლებელი შედეგს მხოლოდ მაშინ აფასებს, თუ ამას პროცესის შესაბამისად მიიჩნევს.

▪ დისციპლინური პრობლემების თავიდან არიდება

როდესაც მოსწავლეები საკუთარ სასწავლო პროცესზე პასუხისმგებლობას იღებენ და ავტონომიურები არიან, მათი ქმედებები ნაკლებად იგეგმება სხვა პირის (აქ: მასწავლებლის) მიერ, ვიდრე ტრადიციული გაკვეთილის დროს. ამ შემთხვევაში შესაძლებელია დისციპლინის შესუსტება. მასწავლებლის როლი იმაში მდგომარეობს, რომ პროცესის სწორად წარმართვაში დაეხმაროს მოსწავლეებს, რაშიც მას სამუშაო სტრატეგიების უფრო დიდი სპექტრი დასჭირდება. დუბსის მითითებებზე დაყრდნობით (Dubs 1995, 426) ავტონომიური სწავლისას რეკომენდირებულია პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც წარმოდგენილია მე-5 ცხრილში.

დისციპლინური პრობლემების პრევენცია

- სასწავლო პროცესში VaKE-ის ეტაპობრივი შემოტანა (მაგ., მორალური დილემის განხილვა ცოდნის შეძენის გარეშე; მოკლე საგაკვეთილო ფაზების ჩატარება, როცა მოსწავლეები ინფორმაციას დამოუკიდებლად მოიძიებენ);
- VaKE-ის ფაზებს შორის გამოკვეთილი გადასვლები, რათა მოსწავლეებმა იცოდნენ, რომელი ფაზაა იმ მომენტში აქტუალური;
- გაკვეთილის გეგმის განხილვა;
- ჯგუფური სამუშაოს შეფასების ფორმის კრიტერიუმებზე შეთანხმება;
- მოსწავლეების მიერ ერთმნიშვნელოვანი უკუკავშირის მიცემა;
- მოსწავლეებისთვის გამოწვევების შემცველი საინფორმაციო წყაროების მოზადება და სწავლის გეზის მიცემა ზედმეტი და საკმარისზე ნაკლები დატვირთვის თავიდან ასაცილებლად;
- ავტონომიური სწავლისას წესების ერთობლივად შემუშავება;
- დროის ზუსტი განაწილება (მაგ., რამდენ ხანს გრძელდება ინფორმაციის მოძიება; როდის უნდა გადამოწმდეს ინფორმაცია);
- დავალებების მკაფიო განაწილება ჯგუფის წევრებს შორის. თითოეულმა მოსწავლემ უნდა იცოდეს, რას აკეთებს.

ცხრილი 5: პროფილაქტიკური-პრევენციული ღონისძიებები

• შეცდომების „მიმღებლობა“ სწავლის გააქტიურების მიზნით

პრობლემების გადაჭრისას მოსწავლეები ხშირად უშვებენ შეცდომებს. მასწავლებელმა გაკვეთილებზე უნდა აღნიშნოს, რომ შეცდომა დაშვებულია და ამ შეცდომაზე შესაბამისი უკუკავშირიც გააკეთოს, თუმცა ეს ისე უნდა მოხდეს, რომ მოსწავლეებს შეცდომების დაშვების არ უნდა შეეშინდეთ. მოსწავლეებმა ასევე უნდა იცოდნენ, რომ შეცდომები მათ შეფასებაზე არ იმოქმედებს.

როგორც კონსტრუქტივისტური სწავლების დროს, ასევე VaKE-ის გაკვეთილებზეც, ყველა სუბიექტური მოსაზრება სწორია და დაშვებულია. ამიტომ VaKE-ის პირველივე გაკვეთილზე მოსწავლეებს ეძლევათ იმის საშუალება, რომ ნებისმიერი მოსაზრება თავისუფლად წარადგინონ, რაც შემდეგ გაკვეთილებზე უფრო ღია დისკუსიებში გადავა. მოსწავლეები ცდილობენ, იაქტიურონ და გაკვეთილის მსვლელობისას, დისკუსიებზე მეტი

არგუმენტები წარადგინონ. განმსაზღვრელმა შეფასებამ შეიძლება ცდისა და შეცდომის მეთოდით სწავლას ხელი შეუშალოს, რადგან მოსწავლეებს შეცდომების თავიდან აცილების სურვილი უჩნდებათ (Patry 1999, გვ. 25). სასურველია, განმსაზღვრელი შეფასების წილი მინიმუმამდე შემცირდეს. თუ მოსწავლეებს უჭირთ პრობლემის გადაჭრა, მასწავლებელს შეუძლია დამაზუსტებელი კითხვების დასმა (მაგ.: „დარწმუნებული ხარ?“ „სხვამაც ასე გადაწყვიტა?“ „ამის დასაბუთება ვინმეს შეუძლია?“).

3.3. ღირებულებითი კონფლიქტი და წინააღმდეგობრივი ისტორიები

VaKE-გაკვეთილზე წარმოდგენილი ღირებულებითი კონფლიქტები და წინააღმდეგობრივი ისტორიები განსხვავდება კოლბერგისეული ტრადიციული დილემებისგან იმით, რომ მათი შინაარსი შეესაბამება ერთი ან რამდენიმე საგნის სასწავლო მასალას.

ქვემოთ წარმოდგენილია ერთ საგანთან დაკავშირებული წინააღმდეგობრივი ისტორია, რომელშიც განხილულია ნაწარმოები „ოსკარი და საწამლავის აფერა“ (Wendelken 2006; შინაარსი: დეტექტივი ბავშვები იძიებენ მეზაღობაში პესტიციდების შეტანის აკრძალვის საქმეს)⁴.

მცენარეთა დაცვის საშუალებები

ლემანების ოჯახმა იყიდა პატარა ბიო-მეურნეობა. რადგანაც მათ საკმარისი თანხა არ ჰქონდათ, ამისათვის კრედიტი აიღეს. ცოტა ხნის შემდეგ მათ 10 წლის ვაჟს მარიოს განუკურნებელი ონკოლოგიური დაავადება აღმოაჩნდა და ტკივილებით იტანჯება. სამკურნალო საშუალებები ძალიან ძვირი ღირს, რასაც ცოლ-ქმრის შეზღუდული ფინანსები ვერ სწვდება. მათ ყველაფერი სცადეს დამატებითი თანხების მობილიზებისთვის, მაგრამ ამაოდ. ერთ-ერთი ნაცნობი ბაჭყაძეებს მეტი ფულის საშოვნელად მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების (პესტიციდების) გამოყენებას ურჩევს. მათ იციან, რომ ბიომეურნეობაში პესტიციდების გამოყენება აკრძალულია და ამიტომ ვერ გადაუწყვეტიათ, რა ქნან. უნდა გამოიყენონ პესტიციდები თუ არა? რატომ?

ღირებულებითი კონფლიქტისთვის, ისევე, როგორც წინააღმდეგობრივი ისტორიისთვის დამახასიათებელია შემდეგი:

1. იწვევს მოსალოდნელი, თუ განხორციელებული მორალური საქციელის პრესკრიპტიულ განსჯას (უნდა გამოიყენოს ოჯახმა პესტიციდები? არის/იყო გამართლებული....? არის XY დამნაშავე?)
2. პასუხობს კითხვაზე: რა გადაწყვეტილება უნდა მიღოს მთავარმა გმირმა? რა არ უნდა მიიღოს? შენ რა გადაწყვეტილებას მიიღებდი?
აქ საქმეში ერთვება მორალური ღირებულებები და პრინციპები, რადგან მოსწავლეები სიტუაციას მთავარი გმირის პოზიციიდან განსჯიან. სხვა შემთხვევაში

⁴ Patry და სხვ. 2008, 53.

კონფლიქტის რაციონალურ აცილებასთან გვექნებოდა საქმე (მაგ., „ეს მე არ დამემართება!“).

3. არსებობს ქმედების ორი ვარიანტი: პირდაპირ, ან ირიბად ყველა გადაწყვეტილებას გავლენა აქვს სხვა პიროვნებაზე. თუკი ოჯახი პესტიციდებს გამოიყენებს, ბიოხილისა და ბიობოსტნეულის მომხმარებლები დაზარალებიან, ხოლო თუ არ გამოიყენებს, განუკურნებელი ონკოლოგიური დაავადების მქონე ვაჟი ისევ ტკივილებით დაიტანჯება.
4. არსებობს, სულ მცირე, ორი შეპირისპირებული ღირებულება, ან ღირებულების სულ მცირე ორი პერსპექტივა, რომელიც დაკავშირებულია ორ შესაძლო ქმედებასთან. ამ ისტორიაში ორი კონკურენტული ღირებულებაა წარმოდგენილი: ერთი მხრივ, პატიოსნება და მეორე მხრივ, სუსტის დახმარების სურვილი ან შვილის სიყვარული. ქმედება (პესტიციდების გამოყენება - არგამოყენება) შესაძლებელია განვსაჯოთ ამ ორ ღირებულებაზე მინიშნებით:
 - „ოჯახმა პესტიციდები უნდა გამოიყენოს, რომ ვაჟიშვილის ტკივილები შეამსუბუქოს“ (ღირებულება = სუსტის დახმარების სურვილი/შვილის სიყვარული);
 - „ოჯახმა არ უნდა გამოიყენოს პესტიციდები, რადგან მომხმარებლებს მოატყუებს“ (ღირებულება = პატიოსნება, სიმართლე).

ინდივიდუალური განსჯის დროს მოსწავლეებს სხვა ღირებულებების გამოკვეთაც შეუძლიათ, მაგალითად:

- „ოჯახმა არ უნდა გამოიყენოს პესტიციდები, რადგან მომხმარებლების ჯანმრთელობას შეუქმნის საფრთხეს“ (ღირებულება = ჯანმრთელობა, ცხოვრების ხარისხი);
 - „ოჯახმა არ უნდა გამოიყენოს პესტიციდები, რადგან ეს კანონით აკრძალულია ბიომეურნეობაში“ (ღირებულება = კანონის შესაბამისად ქმედება);
 - „ოჯახმა უნდა გამოიყენოს პესტიციდები, რადგან ამით ცხოვრების ხარისხს გაიუმჯობესებს“ (ღირებულება = ცხოვრების ხარისხი);
 - „ოჯახმა უნდა გამოიყენოს პესტიციდები, რადგან დატანჯული შვილის შემყურეს სინდისი შეაწუხებს“ (ღირებულება = სინდისი).
5. ამბავს გააჩნია ასაკის შესაფერისი შინაარსი: კონკურენტული ღირებულებები ორიენტირებულია მოსწავლეთა უმრავლესობის ასაკზე და საფეხურზე:
 - პირველიდან მეორე ნაბიჯამდე: საკუთარი ინტერესები სხვათა ინტერესების საპირისპიროდ (მაგ., საკუთარი გართობა vs ავტორიტეტების მორჩილება);
 - მეორეიდან მესამე ნაბიჯამდე: ორმხრივი შეთანხმების ნორმები სხვათა ინტერესების საპირისპიროდ (მაგ., დაპირება vs დახმარებისთვის მზადყოფნა);
 - მესამედან მეოთხე ნაბიჯამდე: გარკვეული ჯგუფის ინტერესები კანონის საპირისპიროდ (მაგ., მეგობრული ლოიალობა vs კანონმორჩილება);
 - მეოთხიდან მეხუთე ნაბიჯამდე: კანონი უნივერსალური პრინციპების საპირისპიროდ (მაგ., კანონი vs აზრის თავისუფლების პრინციპი).

მაგალითად, კონფლიქტი, რომელიც აზრის გამოხატვის თავისუფლებასა და კანონთან კონფრონტაციას ეხება, ზედმეტი დატვირთვა იქნებოდა დაწყებითი სკოლის მოსწავლეთათვის.

6. დაპირისპირებულია თანაბარი ღირებულებები: რაც უფრო ურთიერთსაპირისპირო ჩანს სიტუაცია, მით უფრო ნაყოფიერია დისკუსია. თუ ერთმნიშვნელოვანი საუკეთესო გადაწყვეტილება არსებობს, მაშინ ნამდვილ ღირებულებით კონფლიქტთან არ გვაქვს საქმე;
7. წინააღმდეგობრივი ისტორიის ენა და შინაარსი შეესაბამება მოსწავლეთა ასაკს. მათ შეუძლიათ წარმოიდგინონ ალტერნატიული მოქმედებები;
8. ისტორიას რეალისტური შინაარსი აქვს: ისტორია, შესაძლებელია, რეალურადაც მომხდარიყო და მოსწავლეებს მისი წარმოდგენა არ უჭირთ. თემები რეალური ცხოვრებიდანაა და ხშირად მოსწავლეთა ცხოვრებისეულ სიტუაციებს ეხება;
9. ისტორიის მოქმედ პირებთან იდენტიფიკაციის შესაძლებლობა არსებობს. მოსწავლეებს თავისუფლად შეუძლიათ, საკუთარი თავი ისტორიის მონაწილეთა ადგილას წარმოიდგინონ და ისე განსაჯონ;
10. გამორიცხულია პრობლემის ისე გადაჭრა, რომ მორალური კონფლიქტი თავიდან ავიცილოთ. ოჯახმა უკვე ყველაფერი სცადა, ვერ იშოვა თანხა სპეციალური მედიკამენტის შესაძენად. ყოველდღიურ ცხოვრებაში მიზანშეწონილია ისეთი ღირებულებითი კონფლიქტების თავიდან არიდება, რომლის დროსაც ერთისთვის პოზიტიური შედეგი სხვის ხარჯზე მიიღწევა. თუმცა, თუკი სასწავლო პროცესში მორალური განვითარება გვაქვს მიზნად, გადაწყვეტილების მიღების იძულებას გადაწყვეტილების განმარტებამდე მივყავართ;
11. თემები სკოლისთვის რელევანტური სფეროებიდანაა. სხვადასხვა საგნის სფეროდან თემების გააქტიურება მოსწავლეებს აჩვენებს, რომ მორალურად ნეიტრალური სფეროების ფარგლებშიც შესაძლებელია მორალური განზომილება არსებობდეს (მაგ., ლიტერატურა, ფიზიკა, გეოგრაფია);
12. თემატიკა (მაგ, პესტიციდები, ატომური ენერგია, ეკოლოგია, ცდები ცხოველებზე, ევთანაზია, ისტორიული მოვლენების შეფასება) პრობლემაზე ორიენტირებულია: თემები იძლევა ანტაგონისტური ქცევების საშუალებას;
13. საჭიროა დამატებითი ცოდნა: როდესაც მოსწავლეებს საკითხის შესახებ საკმარისი ცოდნა არ აქვთ, უჭირთ ძლიერი არგუმენტების შემუშავება. როდესაც ინფორმაციის დეფიციტია და სრულყოფილი არგუმენტების წარმოდგენა შეუძლებელია, მოსწავლეებს მხოლოდ მნიშვნელოვანი ცოდნის შემენით (მაგ., პესტიციდების გავლენა ჯანმრთელობაზე, პესტიციდების სახეობები) შეუძლიათ მორალურ ღირებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება.

გამოცდილებიდან გამომდინარე, ხშირად ბავშვებისთვისა და მოზარდებისთვის განკუთვნილი წინააღმდეგობრივი ისტორიას ფორმულირება ზრდასრულის პერსპექტივიდან აყალიბებენ. საჭიროა, მოსწავლეთა ადგილას წარმოვიდგინოთ თავი. ზრდასრულებისთვის, რომლებიც უკვე ფლობენ საჭირო ცოდნას, წინააღმდეგობრივ ისტორიაში არ არსებობს ღირებულებითი კონფლიქტი, მაგრამ ბავშვები პრობლემას ამ ცოდნის გარეშე ვერ გადაჭრიან.

არანარატიული ღირებულებითი კონფლიქტი

მორალური კონფლიქტის შეთავაზება არანარატიული ფორმითაც შეიძლება. ამ დროს არ არსებობს „ისტორია“ და ხშირად თვალსაჩინო არც დაპირისპირებული ღირებულებებია. ღირებულებები მხოლოდ ქცევათა ვარიანტებისთვის არგუმენტების მოაზრებისას გამოჩნდება. ამიტომ, ღირებულებითი კონფლიქტის შემოტანისას მნიშვნელოვანია

- ა. ღირებულებების სიღრმისეული განხილვა;
- ბ. გაკვეთილზე საგანმანათლებლო რესურსების (მაგ., ფილმების) ჩართვა, რაც გაზრდის მოსწავლეთა ინტერესს.

არანარატიული ღირებულებითი კონფლიქტებისა და შესაბამისი ღირებულებითი მსჯელობების მაგალითებია:

- *უნდა მოხდეს თუ არა ნარკოტიკების ლეგალიზაცია?*
არგუმენტი: „... რადგან ეს პიროვნული თავისუფლების თვითნებური შეზღუდვაა.“ ღირებულება = თვითგამორკვევის უფლება;
კონტრარგუმენტი: „... რადგან ნარკოტიკების ლეგალიზებით მეტი ადამიანი დაიტანჯება.“ ღირებულება = სიცოცხლის დაცვა;
- *არის თუ არა რობესპიერი დამნაშავე?* (შეადარეთ თავი 3.1)
არგუმენტი: „... რადგან ის დანტონის სიკვდილზე აგებდა პასუხს.“ ღირებულება = სიცოცხლის უფლება;
კონტრარგუმენტი: „... დანტონმა თავის საქციელით საფრთხე შეუქმნა რევოლუციის მიზანს.“ ღირებულება = ხალხის თავისუფლება;
- *უნდა აშენდეს თუ არა კაშხალი სვანეთში?*
არგუმენტი: „... რადგან ამგვარად მეტი ელექტრო ენერგია იწარმოება და ეკონომიკა სარგებელს მიიღებს.“ ღირებულება = ცხოვრების ხარისხი უმჯობესდება;
კონტრარგუმენტი: „... ამით იზრდება მეწყერის საფრთხე.“ ღირებულება = სიცოცხლის დაცვა.
და სხვა.


შენიშვნა: შედარებით პატარა ასაკის მოსწავლეთათვის წინააღმდეგობრივი ისტორია უფრო გამოდგება, რადგან ღირებულებითი კონფლიქტი სცენარის სახითაა წარმოდგენილი. მოსწავლეები მას უკეთ იაზრებენ და უკეთესად ერთვებიან დისკუსიაში. ამასთანავე, ისტორიის დეტალების შეცვლით, შესაძლებელია, გარკვეული გადაწყვეტილებების ალბათობაზე მსუბუქი გავლენის მოხდენაც.

3.4. დიფერენცირებული სწავლება და VaKe+

ტიპური VaKE-გაკვეთილი, რომელიც მე-4 ცხრილშია წარმოდგენილი, განსაკუთრებით მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებისთვის

გამოდგება. ისინი კონსტრუქტივისტური სწავლებით უფრო მეტ სარგებელს იღებენ (შეადარეთ Cronbach & Snow 1977), ვიდრე დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები. დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს წარმატებისთვის, უფრო მეტად სტრუქტურირებული VaKE-გაკვეთილი სჭირდებათ, ასეთ გაკვეთილებს პირობითად ვუწოდებთ VaKE+ .

VaKE+ გაკვეთილი სპეციალურად შემუშავდა ჰეტეროგენული ჯგუფებისთვის, რომლის წევრებიც არიან განსხვავებული აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები (შდრ. Weinberger 2006). VaKE+ გაკვეთილი გულისხმობს VaKE - გაკვეთილის მეხუთე და მეექვსე ნაბიჯის მრავალჯერად განმეორებას. მოძიებულ ინფორმაციას მოსწავლეები რამდენჯერმე უზიარებენ ერთანეთს (მაშინ, როცა ტიპურ VaKE-გაკვეთილზე მხოლოდ ერთხელ ახორციელებენ ამას). ამ დროს ავტონომიური სწავლა (მეხუთე ნაბიჯი - ინფორმაციის მოძიება) რამდენიმე მოკლე ფაზად იყოფა, რაც სასარგებლოა დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებისთვის. მოსწავლეები მაშინვე იღებენ უკუკავშირს, მომზადებულ მასალას ხვეწენ და ხელახლა წარადგენენ. განმეორებითი პრეზენტაცია მოსწავლეების მოტივაციის ამაღლებს, საკუთარი წვლილის ჩვენება ხომ ჯგუფის ყველა წევრს სურს.



	ნაბიჯი	შინაარსი	სწავლების სოციალური ფორმა	გაკვეთილი
5	ინფორმაციის მოძიება	სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიება	ჯგუფური მუშაობა	ცოდნის შეძენა
6	ინფორმაციის გაზიარება	ხშირად გამოყენებული შეკითხვები: - წარმოადგინეთ თქვენი შედეგები! - საკმარისია თუ არა შედეგები?	მთელ კლასთან მუშაობა	ცოდნის შეძენა

ცხრილი 6: VaKE გაკვეთილის მე-5 და მე-6 ფაზის მრავალჯერადი გამეორება VaKE+ გაკვეთილზე (შდრ. Weinberger 2008. 58)

ინფორმაციის მრავალჯერადი პრეზენტაციის გარდა, აუცილებელია სხვა აქტივობებიც:

- *შეკითხვების კატალოგის შეთავაზება:* მასწავლებელი ინიშნავს მოსწავლეების მიერ დასმულ კითხვებს და ქმნის კითხვების კატალოგს, რის შემდეგაც ყველაზე

ხშირად დასმულ კითხვებს (VaKE-გაკვეთილის მეოთხე ფაზა) წარადგენს კლასში. მოსწავლეები კითხვების კატალოგიდან შეარჩევენ იმ კითხვებს, რომლებზეც სურთ ინფორმაციის მოძიება;

- *საინფორმაციო მასალის მიზნობრივი მიწოდება:* ზოგიერთ მოსწავლეს არ შეუძლია საჭირო ინფორმაციის მოძიება. მასწავლებელი ასეთ მოსწავლეებს შესაბამის საინფორმაციო მასალას თავად აწვდის, ან მიუთითებს, სად შეიძლება ინფორმაციის მოძიება;
- *დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების დახმარება:* მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები ავტონომიური სწავლის პროცესს წარმატებით ართმევენ თავს, მასწავლებელს კი დრო რჩება, დაეხმაროს დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს წინააღმდეგობრივი ისტორიის გაგებაში, მათთან ერთად წაიკითხოს ტექსტი და დაეხმაროს მნიშვნელოვანი ინფორმაციის განსაზღვრაში.
- *ჰეტეროგენული ჯგუფების შექმნა:* ჯგუფების შედგენისას მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ განსხვავებული აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებმა ერთად იმუშაონ. ეს აუშჯობებს მოსწავლეთა შორის ურთიერთობებს და შედეგად უკეთესია.

მასწავლებელმა წინასწარ უნდა დაადგინოს ჯგუფური მუშაობის შეფასების კრიტერიუმები, გაითვალისწინოს თითოეული მოსწავლის წვლილი. სხვა შემთხვევაში, მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები თითქმის არ იმუშავენ დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებთან. (შდრ. Weinberger და სხვ. 2008, გვ. 59)

4. პრაქტიკაზე ორიენტირებული მინი-კვლევა VaKE-ით მუშაობისას

VaKE-ით მუშაობისას მასწავლებელს შეუძლია მინიკვლევის ჩატარება, რისთვისაც საკმარისია დილემის შეტანისას შეამოწმოს, რამდენად წარმატებული და ეფექტიანია VaKE-ის გამოყენებით დილემებზე მუშაობა.

დილემით მუშაობის შედეგის გაზომვა შესაძლებელია

- გაკვეთილზე *დაკვირვებით* წინასწარ მომზადებული დაკვირვების ფურცლის (ანკეტა) დახმარებით (დანართი 1)⁵,
- *მოსწავლეთა გამოკითხვით* მინიკითხვარის დახმარებით (დანართი 2)⁶.

მე-7 ცხრილში წარმოდგენილია მინიკვლევის ჩატარების პროცესი 10 ნაბიჯის სახით.

⁵ საკუთარ გაკვეთილზე დაკვირვების შემთხვევაში შესაძლებელია ასევე *პედაგოგის ჩანაწერებით* მოხდეს დაკვირვება, ან გაკვეთილის ბოლოს დაკვირვების ფურცლის შევსებით

⁶ აქ წარმოდგენილია მინიკვლევის ნიმუში. შესაძლებელია, მასწავლებელმა სხვა მეთოდით ჩაატაროს კვლევა და გაზომოს მიღებული შედეგი

ათი ნაბიჯი პრაქტიკის კვლევის პროექტის (პკპ) განხორციელებისათვის

1. ამოირჩიეთ მეწყვილე ან ჯგუფის წევრი;
2. გადახედეთ მასალას და შეარჩიეთ თქვენთვის სასურველი საკითხი პკპ-ის გასაკეთებლად და/ან მიყევით კითხვებს: რა იყო ახალი ამა თუ იმ თემაში ჩემთვის? რამ გამაკვირვა? რას ვთვლი ყველაზე საინტერესოდ? რისი გამოცდა/პილოტირება მინდა ამ თემიდან კლასში?
3. გაუზიარეთ ერთმანეთს ჯგუფში თქვენი მოსაზრება და გააკეთეთ პკპ-ის ფორმულირება ერთად⁷;
4. გააანალიზეთ ერთად ის კონტექსტი, რომელშიც პკპ-ის ჩატარება გასურთ (ანუ კონკრეტული კლასი, გარემო პირობები და ა.შ.);
5. დაგეგმეთ თქვენი პროექტი და იფიქრეთ იმაზე, რომ ყველაფერი „მოკლედ, მაგრამ გონივრულად“ უნდა გაკეთდეს!
6. განახორციელეთ პროექტი და შეაგროვეთ მონაცემები:

ა. დააკვირდით პროცესს დაკვირვების ფურცლით (ან ე.წ. მასწავლებლის ჩანაწერებით) და

ბ. ჩაატარე გამოკითხვა კლასში კითხვარის დახმარებით მოსწავლეთა მოტივაციის და ა.შ. დასადგენად;

7. შეაფასეთ შედეგები და ნახეთ, რა ისწავლეთ ამ პროექტიდან;
8. გაუზიარეთ ერთმანეთს თქვენი მოსაზრებები შედეგებზე და შეაჯერეთ პროექტის შედეგების საბოლოო პასუხები;
9. ერთად გააკეთეთ ზეპირი პრეზენტაცია სლაიდშოუს სახით (დანართი 3);
10. პროექტის შედეგების დოკუმენტირება კი გააკეთეთ ინდივიდუალურად ვორდის დოკუმენტით (დანართი 4).

ცხრილი 7. ათი ნაბიჯი პკპ-ს განხორციელებისათვის (Legutke u.a. 2013).

დანართები

დანართი 1

მასწავლებლის ჩანაწერი

კლასი, სკოლა:

⁷ ამ სამუშაოსთვის სასურველია ტრიდემებში მუშაობა

პედაგოგი:

სწავლა-სწავლების მიზანი/თემა:

დილემა:

თარიღი:

თვითდაკვირვების ფურცელი	კი	ნაწილობრივ	არა
მოსწავლეებმა დავალება კარგად გაიგეს			
დავალება მათთვის საინტერესო იყო			
მოსწავლეები პროცესში აქტიურად ერთვებოდნენ			
მოსწავლეებმა საჭირო პრობლემას თავად მიაკვლიეს და თავადვე იპოვნეს ამ პრობლემის გადაჭრის გზა			
მოსწავლეებმა შეიძინეს საკითხთან დაკავშირებული ცოდნა			
მოსწავლეებს შეუძლიათ, შეაფასონ საკუთარი სწავლის პროგრესი			

დანართი 2.

მოსწავლის კითხვარი

კითხვა	კი	არა	პასუხი მაქვს	არ
დილემაზე მუშაობა მომეწონა და ჩემთვის საინტერესო იყო				
ამ ტიპის დავალებით კარგად დავინახე ჩემი პრობლემა/პრობლემები				
პროცესში აქტიურად ვიყავი ჩართული				
მომეწონა ინტერნეტში, ბიბლიოთეკაში ... მუშაობა				
ამ გაკვეთილზე კარგად ვიმუშავე და ბევრი რამ ვისწავლე				

მომავალშიც ვიმუშავებ დილემებით			
--------------------------------	--	--	--

დანართი 3 (სლაიდშოუს ნიმუში. PDF უნდა ჩაემატოს აქ!)

დანართი 4.

პრაქტიკის კვლევის პროექტის ანგარიში⁸

სახელი:

ინსტიტუცია:

თარიღი:

ადგილი/სკოლა:

დილემა:

კლასი:

პედაგოგი:

1. დილემა:

დაასახელეთ დილემა, რომლის შეტანაც გაქვთ დაგეგმილი კონკრეტულ კლასში

2. დილემის არგუმენტირება:

დაწერეთ, რატომ დაინტერესდით ამ კონკრეტული დილემით? რა არის თქვენი არგუმენტი/არგუმენტები? (მაქსიმუმ ნახევარი გვერდი)

3. დილემის შეტანის პროცესის ნაბიჯები

მოკლედ წარმოადგინეთ თქვენი გეგმა იმ ნაბიჯების მიხედვით, რომელთა მიხედვითაც განახორციელეთ თქვენი გეგმა დილემაზე მუშაობისას სამიზნე ჯგუფში

4. მიღებული შედეგები (მონაცემთა ანალიზი, რომელსაც თანდართული ექნება დაკვირვების ფურცელი და მოსწავლის კითხვარი/მაქსიმუმ ნახევარი გვერდი):

წარმოადგინეთ მიღებული შედეგები (თვით)დაკვირვების ფურცლებისა და მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგად (გრაფიკები, ტექსტი და სხვ.)

⁸ კეთდება ინდივიდუალურად და, შესაბამისად, ფასდება ინდივიდუალურად, განსხვავებით პრეზენტაციისა, რომელიც ჯგუფში მზადდება და შეფასებაც ჯგუფისავე ხდება

კარგი იქნება, თუ კლასში გადაღებულ რამდენიმე ფოტოსაც დაურთავთ ანგარიშს (თუმცა სავალდებულო არ არის!)

5. საკუთარი დასკვნები ამ მიდგომის შემდგომი გამოყენების/არგამოყენების შესახებ:
წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრება იმის შესახებ, იმუშავებთ თუ არა ამ მიდგომით (შეიტანთ თუ არა დილემებს სასწავლო პროცესში და ა.შ.).

დილემის მაგალითები

ქვემოთ წარმოდგენილია დილემის მაგალითები. შესაძლებელია, ისინი პირდაპირ, ან მცირე ცვლილებით იქნას შეტანილი VaKE-გაკვეთილებზე.

სამიზნე ჯგუფები/კლასები არ არის მითითებული, რადგან მასწავლებელს თავად შეუძლია, ეს განსაზღვროს.

საკუთარი სამიზნე ჯგუფიდან, მიზნებიდან და თემიდან გამომდინარე შესაძლებელია მასწავლებელმა თავად მოიფიქროს დილემა (ანუ რაიმე ისტორია/ამბავი) და შეიტანოს გაკვეთილზე. მთავარია, დილემის შეტანამდე კარგად იქნას გააზრებული დილემის თემა და საკვანძო კითხვები.

დილემა 1.

კლასი/საფეხური: საბაზო და საშუალო სკოლა

საგნები: ბიოლოგია; სამოქალაქო განათლება

შინაარსები: ეკოლოგიაზე ზრუნვა; შვილის გაზრდაზე ზრუნვა

დილემა:

მეცნიერებმა ერთ-ერთ ძროხაში ჩააშენეს ადამიანის გენი, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით რკინას, რის შედეგადაც შესაძლებელია ჩვილი ბავშვების კვება ხელოვნური ძროხის მეშვეობით.

ლილი მარტოხელა დედაა, ჰყავს ჩვილი ბავშვი. ბავშვის შენახვაში მას ეხმარებიან პენსიონერი მშობლები. ბავშვის გაჩენამდე ლილის ქმარს კარგი შემოსავალი ჰქონდა, მაგრამ ბავშვის მამა დაბადებამდე მოულოდნელად გარდაიცვალა და მარტო დარჩენილი ლილი ფინანსურად ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ბავშვი ორი თვისაა და ის ლილის ბუნებრივ კვებაზე ჰყავს. ცოტა ხნის წინ მან კარგი სამსახურის შემოთავაზება მიიღო, თუმცა არ იცის, რა ქნას. ექიმმა ურჩია, რომ ბავშვის ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვანია მისი ძუძუთი კვება, თუმცა, თუ მუშაობა დაიწყო, ამას ვეღარ იზამს.

ლილიმ გადაწყვიტა, გენმოდირიცირებული ძროხის რძე მისცეს ჩვილს საკუთარი რძის ნაცვლად, რაც იოლი გზაა მისი კომფორტულად გაზრდისათვის. ასე ბავშვისთვის ძუძუს წოვებას აიცილებს თავიდან, დაიწყებს მუშაობას და ფინანსურ პრობლემებს მოაგვარებს.

სავარაუდო კითხვები:

- როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორად იქცევა ლილი?
- უნდა მისცეს ჩვილს გენმოდირიცირებული რძე?
- რატომ არ უნდა მისცეს, მასში ხომ ადამიანის გენია და თითქმის იგივე ვიტამინებს შეიცავს, რასაც დედის რძე?
- დასაშვებია თუ არა, ჩვილმა ბავშმმა მიიღოს გენმოდირიცირებული პროდუქტი? და ა.შ.

დილემა 2.

კლასი/საფეხური: საბაზო და საშუალო სკოლა

საგნები: ფიზიკა, ქიმია, გეოგრაფია, რელიგია, ბიოლოგია; უცხოური ენა

შინაარსები: ეკოლოგია; რელიგიის დაზიანება; ეკონომიკა/მათემატიკა; სამეტყველო უნარ-ჩვევებზე (ლაპარაკი, მოსმენა) ვარჯიში

დილემა:

ერთ-ერთ მთიან სოფელში ხალხს დენი არ აქვს. მთავრობამ გადაწყვიტა დიდი ელექტროსადგური აშენება, რადგან პატარა სადგური შენება ბევრ ვერაფერ შედეგს მოიტანს. დიდი სადგურით ის არა მარტო იმ სოფლის, არამედ მთელი მხარის ელექტროენერგიით მომარაგებას შეძლებს. ელექტროსადგურის ასაშენებლად მშენებლებმა ორი მთა უნდა ააფეთქონ და რიგი ისეთი სამუშაოები აწარმოონ, რომლებიც დააზიანებს ლამაზ ბუნებას. შესაძლოა, სოფელიც და მთლიანად მხარეც ეკოლოგიური საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ.

ერთი მხრივ, სჭირდება სოფლის მოსახლეობას ელექტროენერგია, მაგრამ მეორეს მხრივ, არსებობს ბუნების დაზიანების საფრთხე.

უნდა აშენდეს თუ არა ელექტროსადგური?

სავარაუდო კითხვები:

- თქვენი აზრით, უნდა აშენდეს თუ არა ელექტროსადგური სოფელში?
- როგორ მოიქცეოდით თქვენ მოსახლეობის ადგილას? შეუშლიდით თუ არა მთავრობას მშენებლობაში ხელს?
- რას მოუტანს სოფლის მოსახლეობას (განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობას) უშუქობა?
- რამდენ მოგებას მოუტანს მთიან რეგიონს ელექტროსადგური? დაასაბუთეთ? თქვენი არგუმენტები სანდოა?

- ბუნების დაზიანების რა რისკები არსებობს? დაასაბუთეთ? თქვენი არგუმენტები სანდოა?
და ა.შ.

დილემა 3.

კლასი/საფეხური: საბაზო და საშუალო სკოლა

საგნები: სამოქალაქო განათლება; უცხოური ენა

შინაარსები: ეკოლოგიაზე ზრუნვა; სამოქალაქო ცნობიერება; საზოგადოებისადმი პასუხისმგებლობა; დარგობრივ ენაში (იურიდიული) ლაპარაკის უნარ-ჩვევაში ვარჯიში

დილემა:

ნინომ განათლება ევროპაში მიიღო. წლების განმავლობაში ცხოვრობდა და სწავლობდა ლონდონში და მან ყველანაირი ცოდნა და გამოცდილება დააგროვა სამართლის სფეროში. ლონდონში რამდენიმე წელი მუშაობდა სასამართლო სისტემაში, ახლა კი გადაწყვიტა, დაბრუნდეს საქართველოში. თვლის, რომ მისი ცოდნა შესაძლებლობას მისცემს, სამშობლოში გააუმჯობესოს სასამართლო პრაქტიკა. ნინოს უნდა, გახდეს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, თუმცა ჰყავს კონკურენტები ქვეყანაში, რომლებსაც თანამდებობისთვის შესაბამისი ასაკი აქვთ, მაგრამ დასავლური განათლება და გამოცდილება - ნაკლები. ნინოს მეგობარმა ურჩია, რომ შეხვედროდა ერთ-ერთ ნაცნობ გავლენიან პოლიტიკოსს, რომელიც მას დაეხმარებოდა სასურველი თანამდებობის დაკავებაში.

ნინო დგას დილემის წინაშე: გამოიყენოს პოლიტიკოსის ნაცნობობა და მხარდაჭერა, რითაც შეძლებს სასამართლო სისტემის გაუმჯობესებას, თუ არ დაარღვიოს კანონი და უარი თქვას მიზანზე.

სავარაუდო კითხვები:

- რატომ უნდა დაიკავოს ნინომ აღნიშნული თანამდებობა? რატომ არ უნდა დაიკავოს?
- არის თუ არა მნიშვნელოვანი ის ფაქტორი, რომ ნინომ განათლება ევროპაში მიიღო და აქვს დიდ ბრიტანეთში მუშაობის გამოცდილება?
- შეძლებს თუ არა თავისი შესაძლებლობებით ნინო ამ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ მოვალეობების შესრულებას? რამ შეიძლება შეუშალოს ხელი?
- რა არის ნინოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი?
და ა.შ.

დილემა 4.

კლასი/საფეხური: საბაზო და საშუალო სკოლა

საგნები: გეოგრაფია; უცხოური ენა; სამოქალაქო განათლება

შინაარსები: მიგრაცია; სამოქალაქო ცნობიერება; მშობლისადმი პასუხისმგებლობა; კულტურათა დიალოგი; სამშობლოს სიყვარული

დილემა:

გოგის და სალომეს სამი შვილი ჰყავთ. მათთან ერთად ცხოვრობს სალომეს მოხუცი დედა. ოჯახს ძალიან გაუჭირდა ეკონომიურად. გოგი მესამე წელია, უმუშევარია და ბევრი მცდელობის მიუხედავად, ვერანაირ სამსახურს ვერ შოულობს. მხოლოდ სალომე მუშაობს ძიძად, მაგრამ დაბალი შემოსავალი აქვს. მისი შემოსავლით სამი შვილის და მოხუცი დედის შენახვა ძალიან უჭირს ოჯახს.

გუშინ საღამოს გოგიმ თავის ცოლ სალომეს გამოუცხადა, რომ გერმანიაში უნდა წავიდნენ საცხოვრებლად, რადგან გოგის გერმანიაში დიდი ხნის წინ გადასახლებული მეგობარი დახმარებას შეჰპირდა და მათ უკეთესი ცხოვრების გარანტია მისცა.

ამ საუბარს ჩუმად ისმენდა იქვე მჯდარი მართა ბებო, რომელმაც შვილებს განუცხადა, რომ საკუთარ მიწა-წყალს და კერას არ მიატოვებდა: “აქ დავიბადე და აქ უნდა მოკვდე!”. სალომეს, რა თქმა უნდა, არ უნდა დედის მიტოვება და გოგის არ ეთანხმება ამ ნაბიჯის გადადგმაში. გოგი დაბნეულია და არ იცის, როგორ მოიქცეს. მარტო ვერ წავა, რადგან მეგობრის რჩევით, აუცილებლად ოჯახთან ერთად უნდა ჩავიდეს გერმანიაში. დარჩენაც არ გამოდის, რადგან ასე ცხოვრების გაგრძელება არ შეიძლება.

სავარაუდო კითხვები:

- როგორ უნდა მოქცეს გოგი? სალომე?
 - უნდა დატოვონ თუ არა მათ მართა ბებო?
 - რატომ არ უნდა მართა ბებოს წასვლა? რა აკავებს მას საქართველოში?
 - ზოგადად, რატომ ტოვებს ხალხი საცხოვრებელს და რატომ რჩებიან მოხუცები, რა აკავებს მათ?
 - რა სარგებლობა და ზიანი მოაქვს მიგრაციას ინდივიდისთვის, სამშობლოსა და მიმღები ქვეყნისთვის?
- და ა.შ.

დილემა 5.

კლასი/საფეხური: საშუალო სკოლა

საგნები: ბიოლოგია; სამოქალაქო განათლება; უცხოური ენა

შინაარსები: ეკოლოგიაზე ზრუნვა; საკუთარი დის გადარჩენა vs სხვისი სიცოცხლის ხელყოფა; ენაში ვარჯიში

დილემა:

გია და დათო კარგი მეგობრები არიან. ბავშვობიდან მუდამ ერთად იყვნენ: ჯერ საბავშვო ბაღში, შემდეგ სკოლაში და ბოლოს უნივერსიტეტში. ასე ბედნიერად ატარებდნენ დროს, სანამ მოულოდნელად გიას 12 წლის და არ გახდა ავად. მას ლეიკემია აღმოაჩნდა და ძვირადღირებული მკურნალობა დასჭირდა. ოჯახს არ აქვს შესაძლებლობა, დაფაროს მკურნალობის ხარჯები. ამის გამო გიამ სწავლა მიატოვა და სხვა ქალაქში წავიდა სამსახურის საძებნელად. მოხდა სასწაული და მან ძალიან მალე გამოაგზავნა სამკურნალოდ იმდენი თანხა, რომ დას პირველი მკურნალობა ჩაუტარდა.

გავიდა კვირები და თვეები. დათოს ძალიან მოენატრა მეგობარი. გადაწყვიტა, მისთვის სიურპრიზი გაეკეთებინა და სტუმრებოდა. ამისათვის კრედიტის აღება დასჭირდა და ერთ კვირაში იმ მისამართზე აღმოჩნდა, რომელი მისამართიც გიას მიერ ბოლოს გამოგზავნილ ფულიან კონვერტს ეწერა.

ბედნიერებისგან გაბრწყინებულ დათოს კარი ახალგაზრდა ქალმა გაუღო და გიას სახელის ხსენებაზე მას ხელში სწრაფად ჩაუდო თეთრი ფხვილიანი პატარა პაკეტი და ჩაუჩურჩულა: „გრამი 40 ევრო. ფულს გიას მისცემ დათქმულ ადგილზე“ და ასევე სწრაფად გაუჩინარდა.

დათოს თავში ისე აირია ყველაფერი, თითქოს ქვეყანა ჩამოენგრა თავზე და მხოლოდ ისღა ამოილულლულა: „მე მხოლოდ გიას ნახვა მინდოდა“.

სავარაუდო კითხვები:

- რას ფიქრობთ, რა მოხდა?
- რა იყო იმ პაკეტში?
- რატომ აერ-დაერია დათოს ყველაფერი თავში?
- თქვენი აზრთ, როგორ უნდა მოიქცეს დათო? უნდა დარჩეს და გიას უთხრას, რომ მიატოვოს ეს საქმე, თუ დის გადამრჩენ მეგობარს არაფერი უთხრას და ამით უამრავი სხვა ადამიანის სიცოცხლებს შეუქმნას საშიშროება?
- რა არის ლეიკემია და რამდენად საშიში დაავადებაა ის? არსებობს თუ არა სახელმწიფოში რაიმე პროგრამა ლეიკემიით დაავადებულთა დასახმარებლად? და ა.შ.

დილემა 6.

კლასი/საფეხური: საშუალო სკოლა

საგნები: სამოქალაქო განათლება; რელიგია; მშობლიური ენა; უცხოური ენა

შინაარსები: რელიგია; კულტურათა დიალოგი; ენაში ვარჯიში; ტრადიციების პატივისცემა

დილემა:

23 წლის ამერიკელი მსახიობი მაიკლი და 18 წლის ირანელი ნიქა ერთმანეთს გადაღებებზე ხვდებიან. მათ შორის გარკვეული სიმპათიები ჩნდება და ნელ-ნელა მათი ურთიერთობა სიყვარულში გადაიზარდა. ხშირად დადიან კინოში, სასეირნოდ და დროს ერთად სასიამოვნოდ ატარებენ. გარკვეული პერიოდის შემდეგ ვითარება რადიკალურად იცვლება. ნიქას ოჯახისთვის ტრადიციების პატივისცემა მნიშვნელოვანია, შესაბამისად მისმა მშობლებმა მას მკაცრი პირობა წაუყენეს, მოსთხოვეს მათი ურთიერთობისთვის სერიოზული სახე მიეცათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი ურთიერთობა უნდა დასრულებულიყო. ეს ყველაფერი ნიქამ მაიკლს უამბო, თუმცა მაიკლის პოზიცია ამასთან დაკავშირებით ნიქას მშობლებისაგან განსხვავებული აღმოჩნდა. მაიკლი ვერ ხედავს იმის აუცილებლობას, რომ მათ ურთიერთობას ოფიციალური სახე ჰქონდეს. ამასთანავე, ნიქას დედას ჯანმრთელობის მხრივ გარკვეული პრობლემები აქვს და ექიმის თქმით მის გადაღლასა თუ ნერვიულობას შესაძლოა სავალალო შედეგი მოჰყვეს. როგორ უნდა მოიქცეს წყვილი?

სავარაუდო კითხვები:

- რა იცით „შარიათის წესის შესახებ“?
- მიღებულია ირანში სხვა სარწმუნოების მამაკაცზე ქორწინება?
- როგორი სიტუაციაა ამერიკაში, სარწმუნოების მრავალფეროვნების მიხედვით?
- როგორ უნდა მოიქცეს წყვილი?

დილემა 7.

კლასი/საფეხური: საბაზო და საშუალო სკოლა

საგნები: ბიოლოგია; სამოქალაქო განათლება

შინაარსები: ეკოლოგიაზე ზრუნვა; საზოგადოებისადმი პასუხისმგებლობა; სინდისი და პატიოსნება

დილემა:

გიორგის პატარა მაღაზია აქვს სახელად „ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი“ და მხოლოდ ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტს სთავაზობს მყიდველებს. მართალია, მისი შემოსავალი ძალიან დიდი არ არის, მაგრამ მყიდველი კმაყოფილია და თავადაც ოჯახის რჩენისთვის შემოსავალი ჰყოფნის და ბედს არ უჩივის.

ცოტა ხნის წინ მის ოჯახს ძალიან დიდი პრობლემა შეექმნა: მის მცირეწლოვან შვილს აღმოაჩნდა კიბო, მას საზღვარგარეთ მკურნალობა სჭირდება. ამის გამო, მან გადაწყვიტა მეტი შემოსავლის მიღება და ბიზნესის წარმოება. აღმოაჩინა ადგილი, სადაც იაფად იყიდება გენმოდირეცირებული ორაგული და იგი შეაქვს თავის მარკეტში, სადაც ზღვის პროდუქტებიც იყიდება. მარკეტში იყიდება ორაგულიც, რომელსაც პედიატრები უნიშნავენ ბავშვებს ჯანსაღი კვების მიზნით.

გიორგიმ იცის, რომ ორაგული არ არის ეკოლოგიურად სუფთა, თუმცა საზოგადოების მისი მარკეტისადმი დამოკიდებულების გამო იგი ცრუობს და ამბობს, რომ თევზი არ არის გენმოდირეცირებული. იგი, რა თქმა უნდა, ამით პატარა ბავშვების ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს, მაგრამ თუ ტყუილს არ იტყვის, შვილს ვერ უმკურნალებს საზღვარგარეთ.

სავარაუდო კითხვები:

1. თქვენი აზრით, სწორად იქცევა თუ არა გიორგი?
2. რა უნდა გააკეთოს მან იმისათვის, რომ არც სხვისი შვილის ჯანმრთელობას შეუქმნას საფრთხე და თავისი შვილიც გადაარჩინოს? თქვენი აზრი დაასაბუთეთ.
3. როგორ მოიქცეოდით თქვენ გიორგის ადგილას? გააგრძელებდით თუ არა ორაგულის გაყიდვას? დაასაბუთეთ.

დილემა 8.

კლასი/საფეხური: საბაზო სკოლა

საგნები: მათემატიკა

შინაარსები: პროცენტი და ანაბრები; მოგება

დილემა:

18 წლის გიორგის ნათესავმა მემკვიდრეობით 20 000 ლარი დაუტოვა. გიორგის უნდოდა ეს თანხა ანაბარზე შეეტანა, ვინაიდან ასე თანხაც შეენახებოდა და ყოველწლიური (3%) დანამატიც ექნებოდა. ამის საშუალებით სწავლის დამთავრების შემდეგ გიორგის ანაბარზე სოლიდური თანხა დაუგროვდებოდა საკუთარი ბიზნესის წამოსაწყებად.

გიორგის მშობლებმა შესთავაზეს სხვა ვარიანტი. მათ ყველის ბიზნესი აქვთ, თუმცა, იმპორტული საქონლის გამო მათი ბიზნესი კრიზისშია. ბიზნესის გაფართოვებისა და მეტი მოგებისთვის სჭირდებათ თანხა. თუ ბიზნესი გაფართოვდება წლიური მოგება დაახლოებით 15000-ს გაუტოლდება.

მშობლების იდეის მოსმენის შემდეგ გიორგის გადაწყვეტილების მიღება უჭირს. ანდოს მშობლებს თანხა ბიზნესისთვის და, შესაბამისად, მოგებული თანხის ნაწილი თვითონაც აიღოს, თუ ანაბარზე შეიტანოს და ყოველწლიური მინიმალური თანხის დანამატიც დაკმაყოფილდეს.

სავარაუდო კითხვები:

- უნდა ჩაედო თუ არა გიორგის მშობლების ბიზნესში თანხა? რატომ?
- უნდა შეეტანა თუ არა გიორგის თანხა საკუთარ ანაბარზე? რატომ?
და ა.შ.

ტერმინების განმარტებები/მინილექსიკონი

- ❖ **ავტონომიური სწავლა** არის ინდივიდის ფსიქოლოგიური ნიშან-თვისება, დამოუკიდებლად მართოს სწავლის პროცესი (*Knowles, 1980; Ponton, 1999*)
- ❖ **ბიჰევიორიზმი** სწავლობს ქცევას. ბიჰევიორიზმის მიხედვით, ყველა ქცევა დასწავლადია, თუ ფორმირდება სტიმულსა და რეაქციას შორის კავშირი.
<http://dictionary.css.ge/content/behaviorism>
- ❖ **VaKE** სწავლების მეთოდია, რომლის კონცეფცია ეფუძნება კონსტრუქტივისტური სწავლების პრინციპებს და მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, საგნის ცოდნის მიღებასთან ერთად განივითარონ ეთიკური ფასეულობები და ღირებულებები (*Patry 2004, 2008, 2013, 2017* და სხვ.).
- ❖ **კოგნიტური ფსიქოლოგია** ეფუძნება კოგნიტურ მიდგომას და ცდილობს პასუხი გასცეს კითხვებს: როგორ ხდება გარე სამყაროდან ინფორმაციის მიღება, როგორ გადაამუშავებს და ინახავს ადამიანის გონება მიღებულ ინფორმაციას, როგორ ხდება პრობლემის გადაჭრა და რა გავლენას ახდენს ეს ინფორმაცია ქცევაზე.
<http://dictionary.css.ge/content/cognitive-psychology>
- ❖ **კონსტრუქტივისტური მიდგომის მიხედვით** ადამიანების სწავლობენ აზროვნებისა და გამოცდილების საფუძველზე. მოსწავლეები სწავლების აქტიური მონაწილეები არიან და სწავლის პროცესში აშენებენ საკუთარ ცოდნას უკვე ნაცნობისა და წინა გამოცდილების საფუძველზე.
<http://dictionary.css.ge/content/cognitive-psychology>

- ❖ **ლევ სიმონის ძე ვიგოტსკი**, საბჭოთა ფსიქოლოგი, 1896, — 1934, სსრკ: სოციალ-კულტურული თეორიის ავტორი. ვიგოტსკის მიხედვით ინდივიდუალურ განვითარებასა და სწავლას განაპირობებს სოციალური ურთიერთობა, კულტურული ინსტრუმენტები და საქმიანობა.
- ❖ **ლოურენს კოლბერგი**, ამერიკელი ფსიქოლოგი, 1927-1987, აშშ: მორალური განვითარების თეორიის ავტორი, ჰარვარდის და ჩიკაგოს უნივერსიტეტების პროფესორი. **კოლბერგის მორალური განვითარების თეორია** აღწერს მორალური განვითარების საფეხურებს, ამ საფეხურების მიხედვით სხვადასხვა საკითხების განსჯის განსხვავებულ პერსპექტივებს.
- ❖ **მაქსიმილიან ფრანსუა მარი ისიდორ დე რობესპიერი** (1758-1794), თანამედროვეებისთვის ცნობილია როგორც „მოუსყიდავი ფრაგი“, იყო დიდი ფრაგული რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერი, იაკობინელების მეთაური. მნიშვნელოვანი ფიგურა საფრანგეთში და ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი მმართველი მსოფლიოში. რობესპიერმა დაახლოებით 40000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. 1794 წლის 27 ივლისს ჩამოაგდეს, ხოლო მომდევნო დღეს კი თანამებრძოლებთან ერთად გილიოტინაზე თავი მოკვეთეს.
- ❖ **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება** (PBL), რომელსაც ხშირად პრობლემაზე ორიენტირებულ სწავლებასაც (POL) უწოდებენ, სწავლა-სწავლების ერთ-ერთ ფორმასა და ხასიათდება იმით, რომ მოსწავლეებმა დამოუკიდებლად შეძლონ სასწავლო პროცესში წამოჭრილი *ერთი* რომელიმე კონკრეტული პრობლემის იოლად გადაჭრა (*Moust u.a. 1999*)
- ❖ **ჟან პიაჟე**, შვეიცარელი ფსიქოლოგი, 1896 - 1980, შვეიცარია: (კოგნიტური) კონსტრუქტივიზმის წარმომადგენელი. შეისწავლა შემეცნების საფეხურები. პიაჟეს აზრით, განვითარების ოთხ საფეხურს ყველა ადამიანი სხვადასხვა ასაკში გადის.
- ❖ **შემსწავლელის ავტონომიას** განსაზღვრავენ როგორც პასუხისმგებლობის აღებას სწავლის ყველა ასპექტთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე (Holek 1981; Benson, 1996:27).
- ❖ **ცოდნა** ნიშნავს რაიმეს შესახებ ინფორმაციის ქონას და რაიმე საქმის ან მოქმედების შესასრულებლად საჭირო ხერხების ფლობას. (განმარტებითი ლექსიკონი/ესგ ცენტრი. - [თბ., [2008]. ISBN: 978-9941-0-0541-1 <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=16441>)
- ❖ **ღირებულებები** - ცალკეული ადამიანების ან ადამიანთა ჯგუფის წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა არის სასურველი, მართებული, კარგი ან ცუდი, რაც ყალიბდება იმ სპეციფიკური კულტურის ზეგავლენით, რომელშიც ისინი არსებობენ. (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=16010>(Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი

გამოყენებული ლიტერატურა:

- Arnold, K.-H., Hascher, T., Messner, R., Niggli, A., Patry, J.-L., & Rahm, S. 2011: Empowerment durch Schulpraktika. Bad Heilbrunn: Klinkhardt.

- Barrows H. S., Tamblyn R. M., Problem-Based Learning: An Approach to Medical Education, New York 1980.
- Barrows, H. S., How to Design a Problem-Based Curriculum for the Preclinical Years, New York 1985.
- Becker, F. G., et al., „Einsatz des Problemorientierten Lernens in der betriebswirtschaftlichen Hochschullehre“, WiSt, 39 Jg., Heft 8, August 2010, S. 366-371.
- Becker, F. G., Friske, V., Problemorientiertes Lehren und Lernen in der Betriebswirtschaftslehre: Entwicklung eines Moduls, in: M. Mair, G. Brezowar, G. Olsowski, J. Zumbach (Hrsg.), Problem-Based Learning im Dialog. Anwendungsbeispiele und Forschungsergebnisse aus dem deutschsprachigen Raum, Wien 2012, Teil I, S. 85-97.
- Bimmel, Peter; Rampillon, Ute (2000): Lernerautonomie und Lernstrategien. Berlin. München. Wien. Zürich. New York: Langenscheidt.
- Blasi, A. (1995). Moral Understanding and the Moral Personality: The Prozess of Moral Integration. In W.M. Kurtines & J.L. Gewirtz (Eds). Moral Dewelopment: An Introduction. Boston: Allyan and Bacon, S. 229-253.
- Blatt, M. & Kohlberg, L.(1975). The effects of classroom moral discussion upon children's le- vel of moral judgement. Journal of Moral Education, 4, S. 129-161
- Bloom, B. S. (1972): Taxonomie von Lernzielen im kognitiven Bereich (4. Aufl.): Weinheim: Beltz.
- Colby, A., & Kohlberg, L. (1987). The measurement of moral judgment, Vol. 1. Theoretical foundations and research validation; Vol. 2. Standard issue scoring manual. New York, NY, US: Cambridge University Press
- Decke-Cornill, Helene; Küster, Lutz (2010): Fremdsprachendidaktik. Eine Einführung. Tübingen: Gunter Narr Verlag.
- Dubs, R. (1995). Lehrerverhalten. Zürich: Verlag des Schweizerischen Kaufmännischen Verbandes.
- Fred G. Becker et al. (2010): "Einsatz des Problemorientierten Lernens in der betriebswirtschaftlichen Hochschullehre". WiSt, 39 Jg., Heft 8, August 2010, S. 366-371.
- Fritz Oser , Wolfgang Althof. 2001. Moralische Selbstbestimmung: Modelle der Entwicklung und Erziehung im Wertebereich. Ein Lehrbuch Gebundenes Buch – Januar 2001.
- Holec, H., 1981: Autonomy and foreign language learning. Oxford: Pergamon. (First published 1979, Strasbourg: Council of Europe)
- Holec, Henri (1980): Autonomie et apprentissagedes langues etrangères. Strasbourg : Conseil de l'Europe.
- <https://www.hueber.de/wiki-99-stichwoerter/index.php/Lernerautonomie>
- Hubert Feger (1978). Konflikterleben und Konfliktverhalten. Bern Huber
- J. H. C. Moust, P. A. J. Bouhuijs, H. G. Schmidt: *Problemorientiertes Lernen*. Ullstein Medical, Wiesbaden 1999.
- Kohlberg Lawrence (1981): Essays on Moral Development. The Philosophy of Moral Development. Vol 1: Moral Stages and the Idea of Justice. San Francissco: Harper&Row.
- Kohlberg Lawrence (1981): The Philosophy of Moral Development Moral Stages and the Idea of Justice. San Francissco: Harper&Row

- Kohlberg Lawrence (1984): Essays on Moral Development. The Psychology of Moral Development. Vol 2: The Nature and Validity of Moral Stages. San Francisco: Harper&Row.
- Marks, F., Thömen, D., Die Moderation des Problemorientierten Lernens (POL) – Die Rekonstruktion der Wirklichkeit, in: B. Berendt, H.-P. Voss, J. Wildt (Hrsg.), Neues Handbuch Hochschullehre: Lehren und Lernen effizient gestalten, Berlin 2002, Teil C 1.4, S. 1–23.
- Martínéz, Hélène (2008): Lernerautonomie und Sprachlernverständnis. Tübingen: Gunter Narr Verlag.
- Michael Legutke & Michael Schar: DLL 01: Lehrkompetenz und Unterrichtsgestaltung: (dll - deutsch lehren lernen: Fort- und Weiterbildung weltweit). 2013 Deutsch als Fremdsprache&Goethe-Institut&Klett.
- Nussbaumer, M., Patry, J.-L., Weyringer, S., & Weinberger, A. (2018). VaKE: Complementary double assignment in teacher education. Menon, Online Journal of Educational Research, third issue, 106-124.
- Oerter, Rolf: Was können Kinder und Jugendliche? Was können sie verantworten?, in: Oerter, Rolf/ Höfling, Siegfried (Hrsg.): Mitwirkung und Teilhabe von Kindern und Jugendlichen, München 2001.
- Patry J.-L. 1978. A Summative Assessment of Constructivist Teaching. Salzburger Beiträge zur Erziehungswissenschaft, 5, 2, S.49-63.
- Patry, J.-L. 2001: Die Qualitätsdiskussion im konstruktivistischen Unterricht. In Schwetz, H., Zeyringer, M., & Reiter, A. (Hrsg.): Konstruktives Lernen mit neuen Medien. Beiträge zu einer konstruktivistischen Mediendidaktik. Innsbruck: StudienVerlag, 73-94.
- Patry, J.-L., & Weinberger, A. 2004: Kombination von konstruktivistischer Werterziehung und Wissenserwerb. Salzburger Beiträge zur Erziehungswissenschaft, 8, 2, 35-50.
- Patry, J.-L., Frewein, K., Nussbaumer, M., Weinberger, A., Weyringer, S., Wohlmuth, G. (2013) VaKE (Values and Knowledge Education) in der Berufsbildung. In: M. Stock, A. Dietzen, L. Lassnigg, J. Markowitsch & D. Moser (Hrsg.), Neue Lernwelten als Chance für alle. Beiträge zur Berufsbildungsforschung. Innsbruck: StudienVerlag, 322-338. Patry, J.-L., Weinberger, A., Weyringer, S., Nussbaumer, M. (2013) Combining values and knowledge education. In: B.J. Irby, G. Brown, R. Lara-Alecio & S. Jackson (Eds.) and R. A. Robles-Piña (Sect. Ed.), The handbook of educational theories. Charlotte, NC: Information Age Publishing, 565-579.
- Patry, J.-L., Weinberger, A., Weyringer, S., & Nussbaumer, M. (2013). Combining values and knowledge education. In B. J. Irby, G. Brown, R. Lara-Alecio & S. Jackson (Eds.), The handbook of educational theories (pp. 565-579). Charlotte, NC: Information Age Publishing.
- Patry, J.-L., Weinberger, A., Weyringer, S., & Nussbaumer, M. in press: Combining values and knowledge education. To be published in Robles-Piña, R.A. (Ed.): Moral developmental theory. Series handbook of educational theories. Charlotte, NC: Information Age Publishing.
- Reusser, K., Problemorientiertes Lernen - Tiefenstruktur, Gestaltungsformen, Wirkung, in: Beiträge zur Lehrerbildung, 23. Jg. (2005), Heft 2, S. 159-182.
- Schmenk, Barbara (2008): Lernerautonomie. Karriere und Sloganisierung des Autonomiebegriffs. Tübingen: Gunter Narr Verlag.

- Vgl.: Fred G. Becker et al. (2010): "Einsatz des Problemorientierten Lernens in der betriebswirtschaftlichen Hochschullehre". WiSt, 39 Jg., Heft 8, August 2010, S. 366-371.
- Vygotsky, L. S. (1978). *Mind in Society: The Development of Higher Psychological Processes*. Cambridge, MA: Harvard University Press.
- Weber, A., *Problem-Based Learning: Ein Handbuch für die Ausbildung auf der Sekundarstufe II und der Tertiärstufe*. 2., überarb. Aufl., Bern 2007.
- Weinberger, A., Patry, J.-L., & Weyringer, S. 2008: *Das Unterrichtsmodell VaKE*. Ein Handbuch für Lehrerinnen und Lehrer. Innsbruck: StudienVerlag.
- Weinberger, A., Patry, J.-L., & Weyringer, S.: 2008. *Das Unterrichtsmodell VaKE*. Ein Handbuch für Lehrerinnen und Lehrer. Innsbruck: StudienVerlag.
- Weinberger, A., Patry, J.-L., & Weyringer, S.: 2018. Förderung moralisch-ethischer Ziele durch Values *and* Knowledge Education (VaKE) in der Ausbildung von Lehrpersonen.
- Wenden, Anita L. (2002). Learner Development in Language Learning. *Applied Linguistics*, Volume 23, Issue 1, 1 March 2002, Pages 32–55 (<https://academic.oup.com/applij/article-abstract/23/1/32/204483>).
- Weyringer, S. (2006). VaKE – Values *and* Knowledge Education: Theoretischer Hintergrund einer effizienten Methode zur Realisierung der Idee „Bildung“ in der (Hoch-)Begabtenförderung. *Labyrinth – Zeitschrift der DGhK*, Ausgabe Nov. 06, S. 37 – 38.
- Weyringer, S. (2007) Research on VaKE and the gifted. In: T. Kirsi, M. Ubani (eds.). *Holistic education and giftedness*. Helsinki: University of Helsinki, S. 126 – 137.
- Weyringer, S., Patry, J.-L., Weinberger, A., Nussbaumer, M. (2013) Values *and* Knowledge Education in der Entwicklung pflegeethischer Kompetenzen. In: Ganthaler, H., Menzel, C.R., & Morscher, E. (Hrsg.), *Aktuelle Probleme und Grundlagenfragen der Medizinischen Ethik*. Sankt Augustin: Academia, 155-201 . Beiträge zur Angewandten Ethik, Herausgegeben von Christian R. Menzel, Edgar Morscher & Otto Neumaier, Band 9.
- Weyringer, S., Patry, J.-L., Weinberger, A. (2012) Values *and* Knowledge Education. Experiences with Teacher Trainings. In: Alt, D., & Reingold, R. (eds.): *Changes in Teachers' Moral Role. From Passive Observers to Moral and Democratic Leaders*. Rotterdam: Sense, 165-179.
- *განვითარებისა და სწავლის თეორიები*. ნათია ჯანაშია, ნათელა იმედაძე, სოფიო გორგოძე. 2008. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი.
- ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები. ეროვნული სასწავლო გეგმა. 2004 <https://edu.aris.ge/news/ra-unda-miscs-saskolo-ganatlebam-mozards-ra-weria-zogadi-ganatlebis-erovnuli-miznebis-shesaxe-b-dokumentshi.html>.
- თ. მოსიაშვილი & შავერდაშვილი (2017): ღირებულებისა და ცოდნის განათლება. სამეცნიერო კონფერენცია 1. "ღირებულებები & განათლება" თეზისების კრებული. სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. 20-23.
- თ. მოსიაშვილი & შავერდაშვილი (2018): ცოდნა და ღირებულებითი განათლება სასკოლო პრაქტიკაში. სამეცნიერო კონფერენცია 2. "ღირებულებები & განათლება" თეზისების კრებული. სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. 27-30

- <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0dictiona--00-1----0-10-0---0---0prompt-10---6-----0-0l--11-ka-50---20-preferences---10-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&c=dictiona&cl=CL4&d=HASHed421a187e2f200fd747af.3.7#HASHed421a187e2f200fd747af.3.7>
- <http://dictionary.css.ge/content/behaviorism>
- <http://dictionary.css.ge/content/cognitive-psychology>
- <https://bit.ly/2V8BcHL>
- <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=16441>
- <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=16010>

ფილმი: (ფილმი CD-ს სახით დაერთვება წიგნს ბოლო გვერდზე)

<https://drive.google.com/file/d/1fPYn5ULNDN1dd8TLgHEEMT4kYNS323KQ/view?ts=5a58d62a>

უკანა ყდაზე

